

არნოლდ ჩიქობავას

საკითხავები

XXIV

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

არნოლდ ჩიქობავას საკითხავები

XXIV

2013 წლის 23-26 აპრილი
მასალები

თბილისი
2013

სამეცნიერო სესია გაიმართება არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (პ. ინგო-
როვას ქუჩა №8, მეორე სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს — 10 წუთი
მსჯელობაში მონაწილეს — 3 წუთი

რედაქტორი — **ვ. შენგელია**

მ უ შ ა ო ბ ი ს გ ე გ მ ა

23 აპრილი, 11 საათი

- ვ. შენგელია, ფრაგმენტები მოგონებიდან აქაღემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე. LVIII-LX
- მ. სუხიშვილი, აუსლაუტის უ დაბოლოების შესახებ ძველ ქართულში
- ი. ჩანტლაძე, სამედიცინო ლექსიკა ქართველურ ანთროპონიმიაში
- გ. გოგოლიშვილი, პირის ნიშანთა სისტემის ზოგადი საკითხები
- ა. არაბული, შე- ზმნისწინის ფუნქციური გააქტიურებისა და ბრალ- ფუძის ახალი სემანტიკისათვის „ვეფხისტყაოსანში“
- თ. ვაშაკიძე, „სცემს“ მეშველი ზმნა ძველ ქართულში
- მ. ჩუხუა, ლაზური ზოდა „ზღვა“ ფუძის მეგრული ეკვივალენტისა- თვის
- თ. ბურჭულაძე, ერთი ტიპის მყარი სინტაქსური მოდელის აღრევისათვის ბეჭდურ მედიაში
- რ. ლოლუა, ლატერალური თანხმოვნები საერთოლეზგიურში და მათი კავკასიის ალბანური შესატყვისები
- ლ. კელაურაძე, აქტიურ და ინაქტიურ ბრუნვათა ნიშნების რე- კონსტრუქციისათვის საერთო-ქართველურ-მედიტერანულში
- ნ. ფონიავა, თანხმოვანთკომპლექსები აბაზურ ზმნურ ძირებში

24 აპრილი, 11 საათი

- ე. გაზდელიანი, მოქმედებითი ბრუნვის ალომორფები სვანურში
- ჩ. ჭკადუა, მოქმედების მრავალგზისობის ორგანული გამოხატვის ანალიზისათვის სვანურში
- მ. რობაჭიძე, „გეფხიტყაოსნის“ ერთი ტაეპის მნიშვნელობის დაღვენისათვის
- ი. ჩახანიძე, თ. გუჩუა, მე-19 საუკუნის ქართულში არსებული რუსიციზმების შესახებ
- მ. საღლიანი, ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში შემავალ ძირითად ზმნათა სემანტიკური შესაძლებლობანი სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მიხედვით
- ნ. წულეისკირი, „დარღი“ და „სევდა“ — სემანტიკური ორგანიზაციის პრობლემა
- ც. ჯანჯღავა, მეგრული **ბჟა** „მზე“ ნაწარმოებ სიტყვებსა და იდიომატურ გამოთქმებში
- ლ. გიგლემიანი, მიზეზისა და მიზნის ზმნისართები სვანურში
- ნ. შავრეშიანი, მ. საღლიანი, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადაღებისათვის სვანურში
- ნ. ფარცენაძე, შავშურის სინტაქსურ თავისებურებათა შესახებ
- ხ. ყანდაშვილი, მრავალგზისობის გამოხატვა თანამედროვე ქართულში (კ. გამსახურდიასა და მ. ჯავახიშვილის პროზის მიხედვით)

25 აპრილი, 11 საათი

6. ა რ დ ო ტ ე ლ ი, ხუნძურა-ანდიურ-დიდოურ საკუთარ სახელთა
ქართულად გადმოცემისა და მართლწერისათვის
7. მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე, დაქტილური სისტემები
8. მ ა გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი, ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ერთი
ტიპისათვის სვანურ ენაში
9. ჭ ი რ ი ა, მყოფადის წრე ლაზურში
10. ბ ე რ ი ძ ე, თედო სახოკია და სოფელი ფურტიო
11. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ოლარად სიტყვის წარმომავლობისათვის მეგრულში
12. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, „ზ“ და „ქ“ ძირებისათვის ქართულში
13. ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ტოპონიმები
ფრონეს ხეობაში
14. მ ი თ ა გ ვ ა რ ი ა, ზოონიმების შემცველი გვარები სხვადასხვა სის-
ტემის ენებში
15. ც ე ც ხ ლ ა ძ ე, თემის ნიშანთა უნიფიკაციის ტენდენცია ქართული
ენის სამხრულ კილოებში
- თ. ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი, ტრანსლაციასთან დაკავშირებული რამდე-
ნიმე საკითხისათვის

26 აპრილი, 11 საათი

- გ. კვარაცხელია, ლექსიკური სემანტიკა და თანამედროვე პარადიგმები
- რ. ფარეცხლია ქ, „შედარებითი „პრუნვის“ საკითხისათვის ჩეჩენურში
- ნ. ჭობონელია ქ, **თორნ-**, **თორ-** ფუძიანი ომონიმური ცალების წარმომავლობისათვის ქართულში
- ს. ობიაძე, დისკურსული კომპეტენციის დეფიციტი პოლიტიკურ რიტორიკასა და მასმედიის ენაში
- თ. ლომთაძე, ტერმინისათვის „ემფატიკური ა“
- მ. ბუკია, ქართველურ-აფხაზური ლინგვოულტურული ურთიერთობის ისტორიიდან — VII. ლანდშაფტთან დაკავშირებული ლექსიკა
- ნ. ხახიაშვილი, **ციქუ-** სიტყვის სემანტიკისათვის
- მ. კიკვაძე, ქვემოგურული მეტყველების სპეციფიკა „ჭანჭათის საღლეგრძელოს“ მიხედვით
- მ. ჩახანიძე, ნ. რაზმაძე, ნ. მაისურაძე, ლექსიკის მინი-მიზაციის საკითხისათვის
- ლ. Тупцока, О некоторых глагольных частицах адыгейского языка

ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა რ ა ბ უ ლ ი

შე- ზმნისწინის ფუნქციური გააქტიურებისა და ბრალ-ფუძის ახალი სემანტიკისათვის „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ენობრივი მახასიათებელი ჩანს შე- ზმნისწინის წარმომქმნელ-სემანტიკური როლის თავისებური გა-აქტიურება, რის მიზეზადაც შეიძლება პოეტის მასაზრდოებელი ენობრივი გარემო დავსახოთ, შეიძლება შესაბამისი შემოქმედებითი ამოცანის გადაწყვეტას დავუკავშიროთ. ერთ ასეთ შემთხვევად შეიძლება განვიხილოთ წარმოდგენილი ზმნური ფორმა- და სიტყვაწარმოება.

ნესტანის ამბის მოსმენის შემდეგ ავთანდილი ასე ეუბნება ფატმანს:

„მის ქალისა **სიბრალული** ამანთებს და მიღებს ალსა,
მაგრა ქახნი უხორცონი რას აქნევენ, მიკვირს, ქალსა?!“

(1242, 1-2).

სახელზმნის ამ ფორმის (სიბრალული) გამოყენების ეს ერთა-დერთი შემთხვევა „ვეფხისტყაოსნაში“; ამავე დროს, სტროფის ავთენტურობა ეჭვევეშ არავის დაუყენებია.

სი-ბრალული- საწყისი (აბსტრაქტული სახელი) არქაული სტრუქტურის იშვიათი წარმოება (სი-ყუარ-ულ-, სი-ქად-ულ-...), მაგრამ ის „ვეფხისტყაოსნამდე“ არ ვლინდება. სულხან-საბას ლექსიკონშიც ის წყაროს მიუთითებლად არის შეტანილი: **სიბრალული** — შებრალების ქონება ZAB.

საბასეულ განმარტებაში შემოსული შე- ზმნისწინიანი მასდარი და შესაბამისი ზმნური წარმოება ასევე რუსთაველის ეპოქაში ჩანს თავჩენილი (ანდა — გააქტიურებული); მაგ.:

„ვეხვეწები, საყვარელსა შემახვეწე, **შემაბრალე**“ (1284, 3).
„მიჯნურისა **შებრალება** ხამს, ესეცა გაიგონე!“ (244, 2).

რაც მთავარია, როგორც ჩანს, ეს არის კიდევ ერთი საინტერესო ისტორიული შემთხვევა ე. წ. სემანტიკური პოლარიზაციისა; შდრ.:

ისუ 6. 22. 16: რად არს **ბრალი** უგე, რომელ იბრალეულეთ წინაშე ისრატლისად

- ვეფხ. 915, 4: ვად შენი **ბრალი**, დავ, თვარა სიკვდილი ჩემი ლხინია. ფსევდომაქ. 215, 9: არცამცა იყო **საბრალის** კაცი, რომელი მივიღოდის დის გევენიასა, და არცამცა საქებელ, რომელი მივიღოდის სასუჯეველსა.
- ვეფხ. 810, 2: შერმადინცა დააბრუნვა, **საბრალომან** ცრემლნი ღვარნა. ვეფხ. 864, 4: იძლერს ღევჟთა **საბრალოთა**, ღვარისაებრ ცრემლნი სლიან

ნოდარ არ დოტელი

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ საკუთარ სახელთა ქართულად გადმოცემისა და მართლწერისათვის

1. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ანთროპონიმიაში გამოიყოფა საკუთარ სახელთა ორი ძირითადი ჯგუფი: ა) ადამიანის საკუთრივ ხუნძურ-ანდიურ-დიდოური სახელები, რომელთა რიცხვიც ნაკლებია და მეტწილად ძველისძველ წარმოებას მიეკუთვნება; ბ) არაბული, თურქული და სპარსული საკუთარი სახელები, რომელთა ფართოდ გავრცელება დაკავშირებულია დალესტანში ისლამური აღმსარებლობის ექსპანსიასთან, რამაც საკუთარი ეთნონიმების შევიწროება და, არაიშვიათად, მათი გაქრობა გამოიწვია. შედარებით ნაკლებად გვხვდება ქართული საკუთარი სახელები. ბოლო დროს რუსული ენის ძლიერი ზეგავლენის პირობებში უხვად ვრცელდება რუსული და ევროპული პირთა სახელებიც.

2. საკუთრივ ხუნძური სახელები მცირე რაოდენობით გვხვდება და უბირატესად მარტივი აგებულებით გამოიჩინება: ჰაუიავ-ი (ჰაუი-მაუ)¹, ყებედავ-ი (ყებედაუ ზედმიწ. „მჭედელა“), ნუცალ-ი (I კლ.), ნუცალაი (II კლ.), ადალავ-ი (ადალაუ), მესედო (ზედმიწ. „ოქრუა“),

¹ ფრჩხილებში მოცემულია სათანადო სახელი ხუნძური ტრანსკრიფციით, ხოლო ფრჩხილებს გარეთ წარმოდგენილია მისი ქართული ეკვივალენტი. თუ ხუნძური და მისი ქართულად გაღმოცემული ფორმა ერთნაირია, ხუნძური ვარიანტი აღარ მიეთითება. მარტოოდნენ სახელობითი ბრუნვის ნიშნის გამოყოფა ხდება.

ხანდულაი (კანდულავ), მამალავ-ი, ცევეხან (ცეულექან ზედმიწ. „წინამძღოლი“), ხერღუ (კერღუ ზედმიწ. „ქორია“), ხაიდაყავ (ხადაყავ), ლაჩენილავ-ი (ზედმიწ. „ქევარდენა“) და სხვ.

3. ანდიურ-დიდოურ ენებშიც ძირეული საკუთარი სახელები ბევრი არ არის, მაგ.:

კარატაული: ადილავ-ი, ბოლაჩ-ი, აშუ (ცაშუ), ლალბაწ-ი (ზედმიწ. „ლომა“), ზალალავ-ი, მიკო (ზედმიწ. „პატარა“), ჰადუ (ჰადუ ზედმიწ. „სწრაფი“), ჰეტლელავ-ი ((ჰეტლელაუ), მესედო (ზედმიწ. „ოქროუა“), ბერქუტა (ზედმიწ. „განძი“, „თილისმა“), ბერცინაი (ბერცინავ, ზედმიწ. „ტურთა“), ნუცალაი, ტავუს-ი (ზედმიწ. „ფარშავანგა“)...; **ახვახური:** ლაბაწე (ზედმიწ. „ლომა“), ზალალა, ყამაჩი, ხოჩბარე (= ხუჩბარი), ბეცენა (ზედმიწ. „ტურთა“), ქვანთო (ქუანთო), მისედო (ზედმიზ. „ოქროუა“), ჭუპარა (ჭუპარა ზედმიწ. „თავკერა“, „ამაყი“) და სხვ. მისთ.

დიდოურ ენათა სინამდვილეში პირთა სახელები, რომლებიც ისტორიულად ამ ენათა კუთვნილებას შეადგენდა, მცირე რაოდენობით შემოგვენახა, მაგ.: ჰეთუ (ჰეთუ), კუზი, აცა (ზაცა), მანკო, ჰენტლო (ჰენტლო), ჰლოპე (ლოპე), ჰეთუ (ჰეთუ), ტერყო, ნაყი...

4. ზემომყანილ და ზოგ სხვა საკუთარ სახელთა ქართულად გაღმოცემისას საკვლევ ენათა ფონოლოგიური სისტემების სპეციფიკური რიგების ტრანსლიტერაცია ასე გვესახება: ა) ლატერალები: სპირანტი ლ' – ჰლ, ფშვინვიერი აფრიკატი ლ – თლ, აბრუპტიული აფრიკატი ტა – ტლ; ბ) ფარინგალები: ფშვინვიერი აფრიკატი გ – ხ, მულერი სპირანტი გ – ი, ყრუ სპირანტი ჸ, – ჸ; გ) სონანტები: პალატალური უ – ი, წყვილბაგისმიერი უ – ე; დ) ლარინგალური ხშული ც – ო.

რაც შეეხება სათანადო თანხმოვანთა მაგარ კორელატებს და სპეციფიკურ (პალატალიზებულ, ფარინგალიზებულ, ნაზალიზებულ...) ხმოვნებს, რომლებიც საკუთარ სახელებში ძალიან იშვიათად იჩენენ თაგს, მათი ტრანსლიტერაცია უნდა მოხდეს შესაბამისი მარტივი (ნეიტრალური) თანხმოვნების (resp. ხმოვნების) საშუალებით, მაგ.: ხუნძ. ცეულექან — ქართ. ცევეხანი, ახვ. კაჩილა (ზედმიწ. „ქორია“) — ქართ. ხაჩილა და ა. შ.

5. ორკომპონენტიანი ანთროპონიმები განსაკუთრებით დამახა-სიათებელია თურქული წარმომავლობის საკუთარ სახელთათვის, რო-მელთა მეორე ნაწილი ქშირად წოდების ან თანამდებობის (სულთა-ნი, ხანი, ბეგი...) გამომხატველია: აპედ-ხან-ი, ჰამზათ-ბეგ-ი, ხან-ბიქა, ზაჰრა-ბიქა და მრ. სხვ.

ჩვენი შეხედულებით, ამგვარი კომპოზიტური სტრუქტურის პირთა სახელები ერთ ცნებას აღნიშნავენ და ერთ მთლიან მონოლი-თურ ერთობას ქმნიან, ამიტომ ერთად უნდა იწერებოდნენ, მაგ.: ჰარუნბეგი, დელიმხანი, ხანბიქა...

იშვიათად გვხვდება ბიბლიური პერსონაჟებისა და ებრაულ-ბერძნული წარმომავლობის სახელები, რომლებიც არაბული ან ქარ-თული ენების გზით არის შემოსული, მაგ.: ახვ. ადამე „ადამი“, ილი-ასი, მარია; საკ. დიდ. ისაყ-ი (ძვ. ებრ. ისააკ), ილიას (ძვ. ებრ. ელია), იაყუფ-ი (დაყუფ, ძვ. ებრ. იაკობ), სულეიმან-ი (სულეიმან < სოლომონ), ისა (ცისა < იესო), ჰავა (ჰავა < ევა) და მისთ.

6. ბოლო დროს თავი იჩინა რთული აგებულების მრავალმარ-ცვლიან საკუთარ სახელთა გამარტივების ტენდენციამ, რომლებიც იკუმშებიან ან იკვეცებიან, მაგ.: ფახზულაჳ > ფახზუ, აბუბაქარ > აბაქარ, უზლიფათ > უზი, აბულმუსლიმ > აბუსი... ენის ამგვარი ქცევა მისი იმანენტური პოტენციის გამოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ამ ენათა ფონოტაქტიკის მიხედვით, მრავალმარცვლიანობა დამახასი-ათებელი არ არის, ამიტომ ენა მის დაძლევას ამ გზით ცდილობს. ეს გარემოება კი დამატებითი დასტურია იმისა, რომ კომპოზიტური აგებულების საკუთარი სახელები საერთო ოდენობას ქმნიან და მათი კომპონენტები ერთი მახვილის ქვეშ ექცევიან. ამის საფუძველზე ენა-ში ჩნდება არაკანონიკური სტრუქტურები, რომელთა გამარტივების ტენდენცია ამჟამად თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი.

ეთერ ბერიძე

თედო სახოკია და სოფელი ფურტიო

სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კუთხის აჭარის ისტორიის შექმნაში, მისი ეთნოგრაფიულ-ლინგვისტურ-ტოპონიმიკური ასპექტების ასახვისა და საზოგადოებისათვის გაცნობის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს XIX-XX საუკუნის გამოჩენილმა მკვლევრებმა გიორგი ყაზბეგმა, დიმიტრი ბაქრაძემ, ზაქარია ჭიჭინაძემ და სხვებმა. ამ გამოჩენილ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე — თედო სახოკია.

„გასული საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ, როცა თედო სახოკიას ვრცელმა ნაშრომმა „მოგზაურობანი“ (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი) დღის სინათლე იხილა, არ მეგულება დასავლეთ საქართველოს წარსულით დაინტერესებული მკვლევარი, ვინც გვერდს აუვლის ამ ნაშრომს და მასში ჩამოყალიბებულ დებულებებს თავისი დასკვნების გასამაგრებელ არგუმენტებად არ გამოიყენებს“ (რ. სურმანიძე).

განსაკუთრებულად მახლობელი გახდა თედო სახოკია ზემო-აჭარისათვის, რადგან ეს ერთადერთი წიგნი იყო რომელიც ვრცლად, სიზუსტით, უბრალოდ, მაგრამ აკადემიურად გადმოსცემდა ზემო აჭარის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, მეურნეობას, ანთროპონიმიას, ტოპონიმიას და ხშირად მის ეტიმოლოგიას, ლეგენდებს, თქმულებებს ამ მხარეზე, მის წარსულზე. ღირსეულმა მამულიშვილმა ამ წიგნით თავისი სახელი სამუდამოდ დაუკავშირა აჭარას.

მოხსენებაში, როგორც სათაურშია ნაჩვენები, ყურადღებას მივაძყრობთ თედო სახოკიას მოგზაურობას ზემო აჭარის ერთ-ერთ მშვენიერ სოფელში, ფურტიოში.

ფურტიო მდებარეობს ხულოსა და შუახევის საზღვარზე, მისი საზღვარი სხვა სოფელებთან დადებულია აჭარისწყლისა და სხალთის-წყლის შესართავთან და აჭარისწყალზე გამართული თაღოვანი, აგრეთვე თანამედროვე, რკინაბეტონის ხიდთან და მთავრდება სხალთისწყალზე ადრე არსებული თაღოვანი და დღეს არსებული სხალ-

თის (ყინჩაურის) თანამედროვე რკინა-ბეჭონის ხიდით. სოფელი მთის ფერდობზეა შეფენილი, (%ღვის დონიდან 790 მ) და თავისივე საცხოვრებელი უბნებითა შემოსაზღვრული: ბარი, ელვაური, ფოთე-ლური მჭედლური, ფორჩითი მომწვარი...

სოფელს თავს დაჰყურებს ფურტიოს მთა (1558 მ. %ღვის დო-ნიდან) რომელიც სხალთისწყლისა და ჩირუხისწყლის წყალგამყოფს წარმოადგენს.

ფურტიოს საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სოფელია, რომ-ლის დარსება-დაფუძნების თარიღი დღემდე უცნობია, მაგრამ უძვე-ლესი ნასახლარები, სასაფლაოები და რაც მთავარია მე12 საუკუნის თაღიანი ხიდი მეტყველებს, რომ ეს სოფელი ერთ-ერთ არქაულ და-სახლებას მიეკუთვნება.

ტოპონიმ ფურტიოს ეტიმოლოგია ჯერ კიდევ საკვლევია.

ლაზეთში არსებული მდინარის სახელი „ფურტუნა“ საქარ-თველოში ფურტ ფუძისაგან ნაწარმოები სხვა სახელების არსებობასა და დაკარგვაზე უნდა მიუთითებდეს (ი. ბექირიშვილი).

მწერალ ნოდარ ხვედელიძის აზრით, ჩვენს წინაპარ ქურუმებს ჰელიოცენტრული სისტემის სქემაზე მისადაგებული პქონდათ ერ-თმარცვლიანი ასტრონომიული ტერმინები, მათ შორის „ფურ“ და ამ ფუძიდან წარმოიშვა ფურტიო (ნ. ხვედელიძე).

არ არის გამორიცხული ფურტიოს სახელის წარმოქმნა ტერ-მინ ფურთუნადან, რომელიც ქარიშხალს, ქარბუქს, ქარაშოტს ნიშ-ნავს (შ. ნიუარაძე). (ორი მდინარისა და ხეობის შესაყარზე ფურტი-ოს გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნების ამ მოვლენების გავლენას მართლაც განიცდის) ამიტომ სოფლისათვის ამ სახელის დარქმევაც ნიშანდობლივია.

ფურტიოს სახელის წარმოშობა შეიძლება ვივარაუდოთ იტა-ლიური სიტყვისაგან — ფორტუნა, ფურტიოში ხომ (სამანქანე გზების არსებობამდე) ფურტიოს მთის გადავლით ხდებოდა ღორჯო-მისა და დიდაჭარის ხეობებისა და თვით სხალთის ხეობისა დაკავში-რება მარეთის (მარითის, (ყარაღერეს, თურქობისღროინდელი სახე-ლია) ხეობასთან, აქედან კი საგაჭრო-საქარავნო გზა მიემართებოდა სამხრეთ- აღმოსავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთში.

ფურტიოს შესახებ მამის მონათხრობს ასე იგონებს ინდირა ბერიძე, თელო სახოკიას „ჩიჩერონებს“ შვილთაშვილი: ძველად მტრის ჭარი თავს დასხმია საქართველოს სოფლებს, მათ ფურტიოც აუწიო-კებიათ, პირუტყვი მთლიანად გაურეკავთ, როცა მცხოვრებლებს ჰქი-თხეს სოფლის მდგომარეობა, მათ უპასუხნიათ, ერთი ფურტიც არ და — ტიფ-სო და ეს სახელიც -ფურტიც და -ტიფ ძირებისაგან წარმოდგე-ბაო. თქმულება საკმაოდ მიმზიდველია, ასეთი შედგენილობის ტოპო-ნიმები საქართველოში მრავლადაა (ნორიო, გონიო, დობრიო კირ-ნათში, ვაიო), ამიტომ მათი ეტიმოლოგიის დადგენა სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს (ე. ბერიძე).

ზემო აჭარის ლიგის დიდ დავთარში“ ფურტიო გვხდება ფურდი ფორმით (ზ. შაშიკაძე), მაგრამ ოსმალურ ტრანსკრიფციაში ბევრი სოფლის სახელი აღმოჩნდა შეცვლილი ფორმით. დავთრის აღწერაში, 1566-1574 წლები, სოფელში 4 კომლია. ზემო აჭარის ლიგის დავთარში მოხსენიებულია ფურტიოს მოსაზღვრე სოფელი მე-ლიქწმინდა (14 კომლი, დღევანდელი ფურტიოს უბანი — მჭედლუ-რი, საღაც ცხოვრობენ მელიქიშვილები (თურქობის დროს მელიქოლ-ლებად წილებული), სავარაუდოდ, 1566-1574 წლებში ფურტიო ტე-რიტორიულად უფრო პატარა იყო, ვიდრე მელიქწმინდა და კომლთა რაოდენობის ასეთი მონაცემიც ამის შედეგი უნდა იყოს. თელო სა-ხოკიას აღწერით (1898 წელი), ფურტიოში 50 კომლი იყო (თ. სა-ხოკია), დღეს კი მისი რიცხვი 300 აღწევს.

მაზრაში და სოფლიდან სოფელში გადაადგილების დროს თე-დო სახოკიას ახლონენ ადგილობრივი მცხოვრებლები, ჩვენი აზრით, საგანგებოდ შერჩეული ადამიანები, რომლებიც კარგად ფლობდნენ თავიანთი მხარის ისტორიას, წეს-ჩვეულებებს, ადგილთა სახელებსა და ცალკეული გვარების წარმომავლობას. ისინი სტუმრისათვის ინ-ფორმატორებიც იყვნენ და საუკეთესო მთხოვბელებიც, მაგრამ დღე-მდე ჩვენი მკითხველი, ჩვენი საზოგადოება ყველაზე მეტად იცნობდა იუნუს-აღა ბერიძეს, ფურტიოს მკვიდრს (ჩ. სურმანიძე)

შეიძლება ითქვას ის ძვირფასი მასალა, თქმულებებისა და ლე-გენდებისა (რომელშიც განსაკუთრებით ჩანს ხსოვნა თამარ მეფისა), ტოპონიმებისა და ხშირად მათი ეტიმოლოგიისა, შესაძლოა ზეპირსი-ტყვიერებას დღემდე ვერ შემოენახა, თელო სახოკიამ კი ეს გააკეთა კალმით, დაუღალავი შრომით და თავისი მეგზურის „უებრო მოამ-ბის“ (თ. სახოკია), იუნუს ბერიძის მეშვეობით.

ნაშრომს ზოგადად აქვს ისტორიული და მეცნიერული ღირებულება, მაგრამ ეს საუცხოოდ და განსაკუთრებულად გამოიხატება სოფელ ფურტიოს ფონზე, მაგალითზე. აკი თავად ავტორიც ამბობს: რაც საზოგადოდ აჭარის შესახებ ითქმის, განსაკუთრებით ითქმის ამ მხარის სოფლის, ფურტიოს შესახებო (თ. სახოკია).

ფურტიო ისტორიული გახდა, ისტორიული გახდა წიგნში მოხსენიებული გვარები, რომელთა მემკვიდრეები ყოველთვის ცდილობენ აკეთონ საზოგადო-სასარგებლო საქმენი სოფელში, ესეც „მოგზაურობანის“ ავტორის დამსახურებაა.

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან — VII. ლანდშაფტთან დაკავშირებული ლექსიკა

ლანდშაფტთან დაკავშირებულ საერთო ქართველურ-აფხაზურ ლექსიკაში თითქმის თანაბარი რაოდენობით ფიქსირდება ურთიერთნასესხობანი, აფხაზური ლექსიკა გავრცელებულია მეგრულში, აფხაზიზმები გვხვდება ლაკადაში, მთიან სამეგრელოში.

ქართველურიდან აფხაზურში შეთვისებული ტერმინებად მიგვაჩინია:

ა-დგილ „ადგილი, მიწა“ < **ადგილი** „1. სივრცის ნაწილი დედამიწის ზედაპირზე, მიდამო. 2. მამული...“ (ქეგლ), **ადგილი** (ძვ. ქართ.) „საცხოვრისი, სამყოფი“, **არდგილი** (მეგრ.), **პდგილ / პდგი / ადგილ** (სვან.). ფორმა **ადგ გლ** გვაქვს აბაზურშიც; სიტყვა ხშირად გვხვდება აფხაზურ კომპოზიტებსა და ტოპონიმებში.

ა-შარდა „აღმართი“ < **აღმართი** „დაქანებული ადგილი — ქვევიდან მაყურებლის თვალსაზრისით“.

ა-დაშრა „აკლდამა“ < **დარანი** „გამოქვაბული კლდეში ან მიწაში“ (ქეგლ), **დარანი** „კლდეში, ანუ მიწის ქვეშ შესასვლელი“ (საბა),

დარანი (მეგრ.) „დარანი, გვირაბი წყლის დონისა, წყალქვეშა ბუდობი თევზებისა, ნაპრალი, გამოქვაბული კლდეში, წყალში“

ა-პაპანწყარი „საშინელი, ძნელად მისაღწევი ადგილი < პაპან-წყვილი / პაპანწყვირი „წყლიანი ორმო; საშიში გუბე ძნელად გადასასვლელი; სახიფათო გზა, ადგილი“

ა-სანძლი (აბუ.) „საზღვარი“ < **საზღვარი** „ხაზი, რომელიც რისამე ფარგლებს აღნიშნავს, რომელიც ორ ტერიტორიას, ორ ადგილს ჰყოფს ურთიერთისაგან, — მიჯნა, ზღვარი“ (ქეგლ), **სანძლო** (მეგრ.) „საზღვარი“, **სამძლუქარი** (სვან.) „საზღვარი“

ა-საფარა / ა-საფარი „ხერგი, ზვავი“, „საფარი“, „ჭებირი“ < **საფარი** „3. თხრილი ან საგანგებო ადგილი შესაფარებლად“ (ქეგლ)

ა-ტყაბა „ტალახი, ლაფი, ტლაპო“ < **ტლაბო** „თხელი ტალახი, ლაფი“ (ქეგლ)

აფხაზურიდანაა შემოსული მეგრულში შემდეგი სიტყვები:

აზმახი / აზიმახი / აძმახი / აძმახე / ადმახე „გუბე, ტბორი, გამოყენებულია საქონლის სარწყულებლად სამეგრელოს მთიანეთში“ < **ა-ძმახ „ჭიობი, ჭანჭყობი“**

ახრა „ციცაბო, შვეულკლდოვანი მთა; ჭიუხი“ (ქაჯაია, 2001, 208) < **ა-ხრა** „ციცაბო კლდე“

აჰაფუ-ფოქვა „გამოქვაბული, კლდიანი ადგილი, ქვაბი“, **აჰაფუ** „გამოქვაბული, კლდიანი ადგილი, ქვაბი“ < **ა-ჰაფვ** „გამოქვაბული, მღვიმე“. „

აფხაზური წარმომავლობის გვერდი მეგრული **ალგედი** „ქვაბივით ჩაგარდნილი ადგილი მთაში“. „

საერთო ძირები ჩანს ქართულ **ახო** „საყანედ გაკაფული ტყე“ (ქეგლ) და აფხაზურ **ა-შეგ** „ყანა“ სიტყვებში; გვაქვს აბაზურშიც: **შხვ** „ნათესი, მოსავალი“. „

ლანდშაფტის აღმიშვნელი ქართული ტერმინებია გამოყენებული აფხაზურ ტოპონიმებშიც: **ობარახა** — მიკროტოპონიმი ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კინდლში, **მგვეგებრხეა** მგუძიხვა — სოფელი გუდაუთის რაიონში, **არგუნფაუ** ტყიანი დაფერდება სოფ. ატიშადუში...“

თე ა ბურჭულ აძე

ერთი ტიპის მყარი სინტაქსური მოდელის აღრევისათვის ბეჭდურ მედიაში

1. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი წინადადების მიმართ დამოკიდებულის დაქვემდებარება სხვადასხვა სინტაქსური საშუალებით ხორციელდება. დაქვემდებარების ძირითადი საშუალება საგანგებო სიტყვებია: 1.მაქვემდებარებელი კაგშირები(რით, თუ, რათა...); 2. მიმართებითი სიტყვები: ა)მიმართებითი ნაცვალსახელები (ვინც, რაც, რომელიც, როგორიც...) და ბ)მიმართებითი ზმნიზედები (სადაც, საითკენაც, საიდანაც, როგორც...). წშირად მიმართებითი სიტყვა არა მხოლოდ დაქვემდებარების საშუალებაა, არამედ წინადადების წევრიც (წევრ-კაგშირი) არის ხოლმე. მაშასადამე, პარატაქსულ წინადადებაში მოიპოვება საკვანძო სიტყვა (მისამართი, ასასნელი წევრი), რომელსაც უშუალოდ მიემართება დამოკიდებული წინადადების წევრ-კაგშირი. ასე იქმნება წყვილ-წყვილი სიტყვები: **ისე-რომ, ისეთი-რომ, იმიტომ-რომ, ისე-როგორც, ისეთი-როგორიც, იქ-სა-დაც, მაშინ-როცა, იმიტომ-რომ, იმისთვის-რომ, ის-ვინც, ის-რომე-ლიც...** ესენი მყარი სინტაქსური მოდელებია, რომელთა მართებულად გამოყენებასაც წინადადების აგებისას ყურადღება უნდა მიექცეს.

2. ჩვენი დაკვირვებით, მასმედიის წარმომადგენლების მხრიდან, განსაკუთრებით კი ბეჭდურ მედიაში, ნაკლებად ექცევა ყურადღება **ის-ვინც — ის-რომელიც** კონსტრუქციათა მართებულად გამოყენებას. შეუსაბამოდ იყენებენ **ვინც** და **რომელიც** მიმართებით სიტყვებს: „ჩვენ არ ვინდა რევანში, მაგრამ დამოუკიდებელმა სასამართლომ უნდა გაასამართლოს **ის ადამიანები, ვისაც** დანაშაული იქვთ ჩადენილი“; **იმ ხალხმა, ვისაც** სხვის კეთილმოწყობილ სახლში შეეძლო ცხოვრება, ამ ქალაქის ცენტრს მიაშურა და დღემდე იქ არიან“; „ძალინ დიდი იმედი მქეს, რომ **იმ ადამიანთა** რიცხვი იწურება, **ვინც** ასეთ გადაწყვეტილებას იღებს ან მიიღებს“; „**იმ ადამიანები, ვინც** ჯერ კიდევ 3 თვის წინ პარლამენტში მმართველი პარტიის სიით გავიდნენ, სხვა პოლიტიკურ პარტიაში გადადიან“.

3. მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა წევრს მიემართება მიმართებითი სიტყვა — არსებით სახელს თუ ნაცვალსახელს. თუ წევრ-

კავშირი მიემართება არსებით სახელს, მაშინ ბუნებრივია **რომელიც** ფორმა. ხოლო, თუ ასახსნელი წევრი ნაცვალსახელია, მაშინ უნდა მივუსადაგოთ **ვინც** მიმართებითი სიტყვა.

როცა წევრ-კავშირი მიემართება არსებით სახელს, მას, თავის მხრივ, ახლავს ნაცვალსახელით გამოხატული მსაზღვრელი. ასეთ შემთხვევაში, მართალია, მსაზღვრელად ნაცვალსახელი გვაქვს, მაგრამ მიმართება გრამატიკულადაც და შინაარსობრივადაც საზღვრულ წევრთანაა. რაკი საზღვრული სიტყვა არსებითი სახელითაა გადმოცემული, **რომელიც** წევრ-კავშირი უნდა იყოს წარმოდგენილი.

მაშასადამე, წინადადებები ასე გაიმართება: ჩვენ არ გვინდა რევანში, მაგრამ დამოუკიდებელმა სასამართლომ უნდა გაასამართლოს **ის ადამიანები, რომელთაც** დანაშაული აქვთ ჩადენილი; **იმ ხალხმა, რომელსაც** სხვის კეთილმოწყობილ სახლში შეძლო ცხოვრება, ამ ქალაქის ცენტრს მიაშურა და დღემდე იქ არიან; ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ **იმ ადამიანთა** რიცხვი იწურება, **რომლებიც** ასეთ გადაწყვეტილებას იღებენ ან მიიღებენ; ის ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ 3 თვის წინ პარლამენტში მმართველი პარტიის სიით გავიღნენ, სხვა პოლიტიკურ პარტიაში გადადიან.

წევრ-კავშირის შერჩევისას ყურადღება უნდა მიექცეს ასევე იმას, ასახსნელი სიტყვა რომელი ჯგუფის არსებითი სახელითაა გადმოცემული. კრებითი სახელით გამოხატულ მისამართ სიტყვას მხოლობით რიცხვში წარმოდგენილი წევრ-კავშირი უნდა შევუწყოთ : **იმ ხალხმა — რომელმაც; იმ ერს — რომელსაც...**(და არა: იმ ხალხმა — რომლებმაც; იმ ერს — რომლებსაც...).

ელისაბედ გაზდელიანი

მოქმედებითი ბრუნვის ალომორფები სვანურში

სვანურში, სხვა ქართველური ენების მსგავსად, ბრუნვათა პარადიგმაში მოქმედებითი ბრუნვა გამოიყოფა. თანამედროვე სვანურში ამ ბრუნვის ძირითადი ფუნქცია მოქმედების იარაღის გამოხატვაა (ა. ონიანი).

მოქმედებითი ბრუნვის ალომორფებია: **-უში**, **-შუ**, **-უშ**, იშვიათად გვხვდება **-შუ** (< **უშ**) და **-შ** (-უ და -უ) ხმოვნითი ნაწილების გარეშე.

დღევანდელი სვანურის ყველა დიალექტში მოქმედებითის გამოსახატავად, ძირითადად **-უში**, **-შუ** ალომორფებია გავრცელებული. მათი გამოვლენა დამოკიდებულია სახელის ფუძის როგორობაზე: თანხმოვანზე დასრულებულ სახელებთან ძირითადად **-შუ**, ხოლო ხმოვანზე დასრულებულ სახელებთან **-უშ** ალომორფები დასტურდება.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, **-უში**, **-შუ** ნიშანთა შორის ამოსავლად მიჩნეულია **-უშ** ვარიანტი, ხოლო **-შუ** მიღებულია **-უს** მეტათეზისის შედეგად, რაც სვანურში ჩვეულებრივი მოვლენაა (შდრ. **თეუშ** < *თუშეკ < თოკი; **ფირუშ** < *ფურირ < ფური...).

თანხმოვანზე დაბოლოებული სახელები: ქანკიდს **ფაჭნ-შუ** ზეთ (ბზ., ქრ. 120) „გამოიტანეს ყამით ზეთი“; ხუაშუტდიდ **ლიც-შუ** (ბქ., ქრ. 260) „ვრეცხავთ წყლით“; **ტგტ-შუ** ანგოშლე (ლშხ., 87, 3) „ნაცრით გააგსო“; **ლაფაცხირ-შუ** ამშახეს (ლნტ., ქრ. 297) „ფოცხით მუშაობენ...“

ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებთან მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისეული -უ სახელის ბოლო ხმოვნების ფონეტიკურ ცვლილებებს იწვევს, განსაკუთრებით — ზემოსვანურ დიალექტებში; ქვემოსვანურში იშვიათი გამონაკლისის გარდა, ცვლილებები არ ხდება.

ზემოსვანურში სახელის ბოლო -ა და -ე ხმოვნები -უს გავლენით, ასიმილაციით -ო'დ იქცევა და თვითონ ხშირად იკარგება. მაგ.: **ქადზეგზე** **ძალო-შ** (< **ძალა-უშ**) ბზ., ქრ. 165 „გაგზავნა ძალით“; **ლგჯო-უშ** (< **ლგჯე-უშ**) ჩადბარსლი (ბზ., ქრ. 65) „რძით დაბანს“;

ხსლხს უჩხო-შუ (*< უჩხა-ტუ*) ჩვიმით გაძლებდა (ბქ., ქრ. 191) „ხალხს წვიმით გაძლებდა“; ქუინლგმენო-შ (*< ქუინლგმენე-ტუ*) გუეში კალუ (ბქ.) „საქონლით (სულდგმულით) საგსე ეზო (კალო)“.

ზემოსგანურ დიალექტებში -ო‘ზე დასრულებულ სახელებში, სადაც -ი შეიძლება სხვადასხვა წარმომავლობის იყოს, ბოლო -ი ხან ო‘დ იქცევა, ხანაც უცვლელად რჩება. ბზ.: მიჩა ქა ლირკალი-შუ მხა ლახქემნი... (ბზ., ქრ. 73) „ჩემი გაგდებით (გარეკვით) რა მოემატება“; ნამგროთალი-შ (*< ნამგროთალი-ტუ*) სოფალუშ ანხუატდ (პოეზ., 60, 2) „გულგეთილობით (მთელი) სოფელ ამოწყდით“. ბქ.: ლგხორთეთ ლაშვისი-შუ გარ ჭედნიხ (ბქ., ქრ. 181) „შეკრებაზეც მხოლოდ მოწვევით მოდიან“; ნაგზო-შ (*< ნაგზი-ტუ*) სგტბინჩუ ანშპნი ლადელს (ბქ., ქრ. 181) ერთი კვირით ადრე ნიშნავს დღეს“.

-ო და -უ ბოლობმოვნიანი სახელები ცოტაა სვანურში, და მომქედებითი ბრუნვის -უშ ფორმანტი მათზე გავლენას ვერ ახდენს. ამ პოზიციაში ხშირად ადგილი აქვს -უს მეტათეზისს.

რაც შეეხება -უშ ალომორფს, ის ხშირად გვხვდება სვანურ პოეზიაში, როგორც ხმოვანფუძიან, ისე თანხმოვანფუძიან სახელებთან. მაგ.: თათულ თოფ-უშ გუიდარაჭი (პოეზ., 168, 2) „თათული თოფით გვდარაჭობს“. გვხვდება -უშ ალომორფისეული -უს მეტათეზისს შემთხვევები. მარემი ზისხი-შუ ლგლაფი (პოეზ., 168, 21) „ადამიანის სისხლით შეღებილი“.

დღევანდელი სვანურის ბალსზემოურ და ქვემოსვანურ დიალექტებში, ზოგჯერ — ბალსქვემოურშიც, აღნიშნული -უშ ფორმანტი მოქმედების ვითარებას გამოხატავს და მიმღებებს დაერთვის. მაგ.: ჭედნიხ ლაჭნურ-უშ (ბზ., ქრ. 9) „მოდიან ჭიანურის დაკვრით“; ჭაჭუ-უშ ხოდისგ ნიშანს (ბქ., 175) „ძალით უდებს ნიშანს“; ჩვამზგრიხ ამენი ლაჭუის-უშ (ლშხ., 212, 15) „დალოცავენ ამინის თქმით“; ზურალ ლაჭომ-უშ ანღრძა (ლნტ.) „ქალი სირბილით მდიოდა“.

საკვლევია -უშ და -უშ ალომორფთა ურთიერთმიმართების საკითხი.

ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი

მიზეზისა და მიზნის ზმნისართები სვანურში

ზმნისართთა ჭვეულებს შორის, როგორც ცნობილია, მიზეზისა და მიზნის ზმნისართებს მნიშვნელოვანი აღვილი უჭირავთ, თუმცა სხვა ზმნისართებთან შედარებით მათი რაოდენობა მცირერიცხოვანია.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება აღნიშნულ ზმნისართთა როგორც სტრუქტურულ-სემანტიკური, ასევე ეტიმოლოგიური ანალიზი სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მასალის გათვალისწინებით.

1. მიზეზის ზმნისართები: **ამღა** (ზს., ლშხ.), **ამიღა** (ბქ.), **ამაღა** (ლნტ.) „ამიტომ“, **ეგღა** (ზს., ქს.), **ეგიღა** (ბქ.) „იმიტომ, იმისთვის“ და ა.შ.

აღნიშნული ზმნისართები რთული შედგენილობისაა. გამოიყოფა ნაცვალსახელური ელემენტები **ამ-**, **ეგ-** და სუფიქსი **-ღა**.

დიალექტებში დადასტურებული ა და ი ხმოვნები შეიძლება განვიხილოთ როგორც ჩანართი ელემენტები.

2. მიზნის ზმნისართები: **ამნარ** (ზს., ლნტ.), **ამნარ** (ლშხ.), **ამინარ** (ბქ.) „ამისთვის“, **ეგნარ** (ზს., ლნტ.), **ეგნარ** (ლშხ.), **ეგნარ** (ბქ.) „იმისთვის“. აღნიშნულ ზმნისართებში თვალნათლივ გამოიყოფა ნაცვალსახელური ელემენტები — **ამ-** და **ეგ-**; რაც შეეხება გ. კაჭარავას მიერ დასახელებულ ზმნისართებში გამოიყოფილ **-ნარ** ფორმანტს, რაც ვფიქრობთ, სადათა. ჩვენი აზრით, იგი ასე დაიშლება: **ნ-არ**, **სადაც-არ-ს** საკითხი გასარკვევა.

მიზეზისა და მიზნის ზმნისართის მნიშვნელობით გვხდება, აგრეთვე: **ამნიანიდ** ბზ., **ამნალიდ** ბქ., **ამნიანიდ** ლშხ., **ამნიანიდ** ლნტ., „ამისთვის“ და **ეგნეანიდ** ბქ., **ეგნანიდ**, **ეგნალიდ** ბქ., **ეგნიანიდ** ლშხ., **ეგნიანიდ** ლნტ., „იმიტომ, იმის გამო“ ფორმები, რომლებიც რთული აგებულებისაა.

გ ი ო ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

პირის ნიშანთა სისტემის ზოგადი საკითხები

პირის ნიშანთა სისტემა ძველ ქართულში გაცილებით რთულია, ვიდრე ახალ ქართულში. გამოითქვა აზრი, რომ პირისა და რიცხვის ნიშნები სხვა სისტემიდან არის გადმოსული; კლასოვნი უღლებიდან პიროვან უღლებაზე გადასვლის შემდეგ კლასის ნიშანთა გადააზრიანება მოხდა პირის ნიშნებად (არნ. ჩიქობავა).

პირის ნიშანთა სისტემის ცვლილების თვალის გადევნება საინტერესო დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს:

ძველი ქართულიდან მოყოლებული, დღემდე პირის ნიშანთა სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა; ზოგი აფიქსი დაიკარგა: სუბიექტური მესამე პირის ნიშნები **-დ,** **-ნ,** **-ედ,** **-ენ** (ე. წ. ობიექტის მრავლობითობის), **ს-...** ზოგმა ფუნქციური დატვირთვა შეიცვალა, მოხდა ზოგი აფიქსის რეინტერპრეტაცია — პირის ნიშანი იქცა სტილისტურ ელემენტად (**ჰ-**, **ს-...**)...

ცვლილებათა დინამიკის გათვალისწინება, ვფიქრობთ, ადასტურებს იმ ვარაუდს, რომ ეს აფიქსები სხვა სისტემიდან გადმოსული ელემენტებია; პირის ნიშანთა სისტემის ჩამოყალიბების პროცესი არ დასრულებულა, გრძელდება.

თამარ ვაშაკიძე

„სცემს“ მეშველი ზმნა ძველ ქართულში

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში (ორიგინალურსა თუ ნათარგმნში) საკმაოდ მრავლად დასტურდება **სცემს** მეშველზმნიანი ფორმები.

სცემს მეშველი ზმნა აწარმოებს როგორც მოქმედებითი („რა-მეთუ ჭორციელსაცა თანა სიმდიდრესა შვილიერებითაცა პატივ-სცა“; „და ვითარცა უაშ-სცა უამმან, სივლტოლად და მიდამომალვად იყო“...), ისე ვნებითი („მოძლოუარი და მოსურნე ცხოვრებისა ჩრენისა

პატივ-იცემის ყოვლისა მიერ მორწმუნისა“; „და რადთა ცხოველი იგი ხატი მას შინა **თაყუანის-იცემოდის** მათ მიერ“...) გვარის ფორმებსა.

სახელურ კომპონენტებად დასტურდება: ა) არსებითი სახელი („უკუეთუ ჰმელად **გზა-სცეს**, განაგოს სიმდიდრე თვისი“...), ბ) ზედ-სართავი სახელი („და **ნათელ-სცემდით** მათ სახელითა მამი-სადთა“...), გ) საობიექტო მიმღება („ვიდრემდე **განსასუენებელი-სცეს** უფალმან“...), დ) გაარსებითებული ზმნა („და უამითი-უამდ მიგალნ მამად და **ნუგეშინის-სცემზ** სიტყვთ და საქმით“...), ე) მასდა-რი („**ბრძოლა-სცეს** მათ და ერეოდეს მათ და მოწყვდნეს იგინი მისთვის“...).

სცემს მეშვეოლ ზმნას იყენებს საწარმოებლად კაუზატივის ფორმათა ერთი ნაწილიც. მათი სახელური კომპონენტი ვითარებით-ბრუნვისფორმიანი მასდარია („და **კურთხევად სცემდა** და მისცემდა თითოეულსა ეკლესიასა ღალასა“...).

მეშვეოლზმნიანი ფორმის სახელური წევრი წარმოგვიდგება წრფელობითი („ოხრად იგი საყვრისად **ზარ-სცემდეს** ყოველთა დაბა-დებულთა“...), სახელობითი („ვიდრემდე **განსასუენებელი-სცეს** უფალმან“...). და მიცემითი („რადთა არა იძლიო საქმითა და ნუკა **ადგილ-სცემ** ეშმაკსა დამკვდრებად შენ თანა“...) ბრუნვის ფორმე-ბით. წარმოშობით იგი (სახელური კომპონენტი) შეიძლება იყოს: ა) სუბიექტი („და რადთა ცხოველი იგი ხატი მას შინა **თაყუანის-იცე-მოდის** მათ მიერ“...), ბ) პირდაპირი ობიექტი („უკუეთუ ჰმელად **გზა-სცეს**, განაგოს სიმდიდრე თვისი“...), გ) უბრალო დამატება („**წარწერად სცა** დომენტიანოსს და თეოდორეს ზემოვ კერძოხვე იგი შეჩრენებად მწვალებელთავ“...).

მცირე ნაწილს **სცემს** მეშვეოლზმნიანი ფორმებისა ეძებნება შე-საბამისი ორგანული წარმოების ვარიანტები („**მოღებად სცა** ჯუარი-სა ცხოველისა ზეთი და გარდაიყვანა იგი მტილად თვისაგან“, შდრ.: „**მოაღებინა** შიო ნაკუერცხალი და დაისხნა“...). სინთეზურ ფორმათა უქონლობა სხვადასხვა მიზეზით აიხსნება.

საინტერესო ჩანს ორგანული და ანალიზური ვარიანტების ურთიერთმიმართების საკითხი.

სცემს მეშვეოლზმნიან ფორმათა ერთი ნაწილი ფრაზეოლოგიუ-რი გამოთქმებია.

ლევან კელაურაძე

აქტიურ და ინაქტიურ ბრუნვათა ნიშნების რეკონსტრუქციისათვის საერთო-ქართველურ- მედიტერანულში

1. საერთო-ქართველურისათვის (სქ) სახელობითი ბრუნვის ნიშნად რეკონსტრუირებული *-ე და *-ი მორფემები უძველეს საერთო-ქართველურში, სავარაუდოდ, აქტიური ბრუნვის ნიშნებს წარმოადგენდნენ. ეს, წარმოშობით დეიქტური, მორფემები მოქმედ პირს, როგორც ჩანს, მსმენელ-მოლაპარაკესთან მიმართების, მათთან „სიახლოვე-სიშორის“ მიხედვით აღნიშნავდნენ.

2. სქ *-ე და *-ი მორფემებთან შუმერული ენის ერგატივის -e და ბურუშული ენის ერგატივის -e ნიშანთა შეპირისპირების საფუძველზე საერთო-ქართველურ-მედიტერანული (სქმ) ენობრივი ერთიანობისათვის აქტიური ბრუნვის ნიშნებად (იმავე ფუნქციებით, რაც მათ ქართველურ რეფლექსებს უნდა ჰქონოდათ) *-e და *-i მორფემებს აღვადგენთ.

3. ინაქტიური ბრუნვის ნიშნად კი სქმ ენობრივი ერთიანობისათვის, აღნიშნულ ენათა სათანადო მონაცემთა გათვალისწინებით, ნულოვანი მორფემა — Ø — უნდა აღდგეს.

ქართველურ ენობრივ სამყაროში არამარკირებული ბრუნვა, რომლის ფუნქციასაც გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის აღნიშვნა წარმოადგენდა, მხოლოდ ძველმა ქართულმა შემოინახა წრფელობითი (//სახელდებითი) ბრუნვის სახით.

შუმერულ, ბურუშულ და ბასკურ ენებში აღნიშნული ბრუნვის ნიშნად ამოსავალი Ø ნიშანი შენარჩუნდა.

4. გვიანდელ სქ-ში აქტიური ბრუნვა (განსაზღვრულ კონსტრუქციათა მიხედვით) ორ — აქტიურ და სახელობით — ბრუნვად გაიხლია, ამასთან ამოსავალი ნიშნები სახელობითმა ირგუნა, რომელმაც იმავდროულად (გარდამავალ სრულსპექტიან კონსტრუქციებში) ინაქტიური ბრუნვის ფუნქციებიც შეითავსა. ყოველივე ამან

(გარდამავალ სრულასპექტურიან კონსტრუქციებში) აქტიური ბრუნვის ხელახალი მარკირების საჭიროება წარმოშვა, თუმცა ამ ბრუნვის ახალი ნიშნის ჩამოყალიბების პროცესი ცალკეულ ქართველურ ენებში დამოუკიდებლად განხორციელდა.

ფუნქციაშეზღუდული ინაქტიური ბრუნვა კი თანდათანობითი გაქრობის გზას დაადგა.

5. შუმერულსა და ბურუშულში ამოსავალი აქტიური ბრუნვიდან ერგატივი, ხოლო ინაქტიურიდან აბსოლუტივი განვითარდა.

6. ბასკური ენის აქტიური ბრუნვის ნიშანი -k მეორეული ჩანს. ის შეიძლებოდა მეგრულ-ლაზური ნაცვალსახელურ-ზმნიზედური წარმომავლობის -j ნიშანთან დაგვეკავშირებინა.

ბასკურის მიცემითი ბრუნვის ნიშანი -i (და ძირითადი ფონდის ლექ-სემებში დაცული ბოლოკიდური -i-ც?) შესაძლოა სქმ აქტიური ბრუნვის -i ნიშნიდან მომდინარეობდეს.

გუჩი კვარაცხელია

ლექსიკური სემანტიკა და თანამედროვე პარადიგმები

არნ. ჩიქობავა „პროპედევტიკის“ სამივე გამოცემაში (1935, 1939, 1946 წწ.) სიტყვის მნიშვნელობის პრობლემებისაღმი მიძღვნილ თავს ასე იწყებს: „სემასიოლოგია ანუ სემანტიკა...“ თუმცა შემდგომში ამ სინონიმური წყვილიდან იგი ხმარობს მხოლოდ „სემასიოლოგიას“ — „სემანტიკა“ სახელმძღვანელოში აღარ გვხვდება. 1952 წელს გამოცემულ „ენათმეცნიერების შესავალში“ კი ტერმინმა „სემანტიკამ“ აშკარა უპირატესობა მოიპოვა: თითქმის ყველგან, შესაბამის კონტექსტში გამოყენებულია „სემანტიკა“, სინონიმთა წყვილად წარმოდგენის დროსაც მან პირველი ადგილი დაიკავა (მხგ., ენათმეცნიერების დარგების ჩამოთვლისას: „მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკოლოგია, სემანტიკა ანუ სემასიოლოგია...“).

ტერმინ — სემანტიკის შემოღებისა და „სემასიოლოგიის“ პარალელურად მისი ხმარების შესახებ ლიტერატურაში აღნიშვნულია, რომ სემანტიკა, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა, XIX საუკუნის მიწურულს შეიქმნა. ენათმეცნიერების ამ სფეროს სახელმდებლად ითვლება ფრანგი მეცნიერი მიშელ ბრეალი, რომელმაც 1897 წელს გამოსცა ნაშრომი „Essai de Sémanistique, სადაც ტერმინი „სემანტიკა“ პირველად შემოვიდა სამეცნიერო სიტყვასმარებაში და დღესაც იხმარება ფრანგ და ინგლისელ მეცნიერთა მიერ. მის სინონიმად XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისიდან რუსი და გერმანელი ენათმეცნიერები იყენებდნენ ტერმინ „სემასიოლოგიას“, რომელიც დღეს უპირატესად „ლექსიკური სემანტიკის“ სინონიმად გამოიყენება.

ლექსიკური სემანტიკის, როგორც სემანტიკური დისციპლინის, შესწავლის ობიექტს სიტყვის მნიშვნელობა წარმოადგენს. სიტყვასვე შეისწავლის ლექსიკოლოგიაც, რომელიც ლექსიკურ სემანტიკზე ბევრად ხანდაზმულია (ტერმინი „ლექსიკოლოგია“ პირველად ჩნდება 1765 წელს დიდროსა და დ'ალამბერის ფრანგულ ენციკლოპედიაში). თანდათან ყალიბდება ლექსიკური სემანტიკის საგნისა და პრობლემების კვლევის ტრადიცია. ცხადია, რომ ლექსიკოლოგიისა და ლექსიკური სემანტიკის სფეროები გადაიკვეთება. ამასთანავე, საკითხთა ერთი წყება, რომელსაც ლექსიკოლოგია შეისწავლის, არ განიხილება ლექსიკურ სემანტიკაში და პირიქით. საერთო საკითხების განხილვაც თითოეულ მათგანში განსხვავებული სისრულითა და სილრმით მიმდინარეობს, და რაც მნიშვნელოვანია დისციპლინარული დიფერენცირების თვალსაზრისით, სიტყვის მნიშვნელობისადმი განსხვავებული მიღვომით.

ყოველივე ამას თავის დროზე აღნიშნავდა არნ. ჩიქობავა. ლექსიკურ სემანტიკაში სიტყვის მნიშვნელობათა აღწერა დღეს გაგებულია როგორც ენის სრული აღწერის ინტეგრალური ნაწილი; თავის მხრივ, ენის აღწერა მოიაზრება როგორც ფორმალური „მოწყობილობა“, რომლის მეშვეობით ხორციელდება ადამიანთა ენობრივი მოქმედების მოდელირება.

ლექსიკური სემანტიკის სფეროში დამუშავებული თეორიები განსხვავებულ მეცნიერულ პარადიგმებში ერთიანდებან. მოხსენებაში განხილული იქნება ზოგიერთი მათგანი (იზოლაციონისტური, ან-თროპოცენტრული, სოციოკულტურული).

ქვემოგურული მეტყველების სპეციფიკა „ჭანჭათის სადღეგრძელოს“ მიხედვით

გურული კილო ენობრივი თვალსაზრისით მრავალფეროვანია. იგი „ორ კილოკავად იყოფა: ზემოგურულად და ქვემოგურულად. ზემოგურული მოიცავს ჩოხატაურულ თქმას და ოზურგეთულის ნაწილს...ქვემოგურული კილოკავი აერთიანებს ლანჩხუთურ და ოზურგეთულ თქმებს. იმავდროულად სხვაობაა თვით თქმების შიგნით“ (ჯორბენაძე, 1989:515).

ქვემოგურული კილოკავის, კერძოდ, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭანჭათის მეტყველებაზე დაკვირვება საინტერესო სურათს იძლევა. სოფელი სამ რაიონს შორისაა მოქცეული. ჭანჭათის მკვიდრთა მეტყველებაში ერთდროულად თავს იყრის ზემოგურულისა და ქვემოგურულის თავისებურებანი.

სოფელი უბნებადაა დაყოფილი:

ორთვის-სოფლის დასაწყის ჰერთვა. უხუცესების გადმოცემით, თესავდნენ სიმინდს, მაგრამ ნიადაგის სიმწირის გამო მოიწევდნენ **ორ ოუას**. აქედან წარმოიშვა სახელწოდება ოროკი;

უურიათი-ხშირი, გაუვალი ტყე საშიში ყოფილა გამვლელ-გამომვლელისთვის. ამის შესახებ ერთ-ერთ სოფლელს ლექსი შეუთხზავს:

„....ასე უთხრა თავის ბიჭებს,
რომ არ შეგხვდეთ რამ ხიფათი,
ენას კბილი დააჭირეთ,
გამოიბით **უური ათი**“.

ღვინალა-გადმოცემით პურ-ღვინისაგან წარმოიშვა. აბ უბანში კრეფლენ ყველაზე მეტ ადესას. ღვინალაში მცხოვრები ჭანჭათლები განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით გამოირჩევიან.

ტონიასეული-ვინმე ტონიას უკავშირდება, რომელიც სოფლის ცენტრში ცხოვრობდა, შემდეგ სხვაგან გადასულა საცხოვრებლად. აქ დღესაც იკრიბებიან სოფლელები და საუბრობენ ქვეყნის ავკარგზე.

გიხური — „საყარაულო ადგილი ჭანჭათში“ (ალ.ღლონტი), რომელსაც სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა.

გურული კილოს თავისებურებანი ასახულია ლექსებში, გამოცანებში, ნამდვილ ამბებში, პირად წერილებში. პირადი წერილები, ძირითადად, ფრონტიდანაა გამოგზავნილი. შეიძლება ითქვას, ენბრივი თვალსაზრისით სწორედ ისანია საინტერესო.

1. ფონეტიკური პროცესები ჭანჭათელთა მეტყველებაში შეუზღუდავად ვლინდება: შეინიშნება ი ხმოვნის რეფლექსი ხმოვანზე ფუქტებით აბოლობულ სახელებთან: „მოკითხვა დეიდაისას“; „ნენაის გამომცხვარი ჭადი მენატრება“; „ნორაი გასათხოვარი დამხვდება“. ვხვდებით ასიმილაციის, დისიმილაციის, ბგერის დაკარგვის, სუბსტიტუციის შემთხვევებს: „მოკითხვა ბიძესას“; „ამას ხუთმეტი მანეთი უნდა“; „გეოქცა, ძალი გიეკიდა“; „ვერაფელი გახდა“.

2. მორფოლოგიური: ა)თანხმოვანთურიანი საკუთარი სახელები წოდებითში სახელობითის ფორმითაა:

, „სალამი დედა, რეზო და ანზორი“.

ბ)თავისებურად მბრუნვავი არსებითი სახელი ამბავი სრული ფუძითაა გამოყენებული: „მაწუხებს თქვენი ამბავის გაგება“.

გ)ორმავი მრავლობითის ფორმებია: „მოკითხვა ყველას: ბიძანებო, დეიდანებო...“

დ) რიცხვითი სახელის არასწორი დაწერილობაა: „**2 ნახევარი თვეა ფრონტზე ვარ**“.

დ) „ეს“ ჩვენებითი ნაცვალსახელის ნაცვლად გამოიყენება: **აგი, მაგი.** პირის ნაცვალსახელები ნათესაობითში დაირთავენ -ს ნიშანს: „ჩვენს ირგვლივ ასეა“.

ე)ჩანს **-გან ჭან** თანდებულთა მონაცვლეობა: „**ამხანაგებიდან დაჩაგრული მეც შევიცვალე**“.

დ) ზნები და სახელზნები ძირითადად დიალექტური ფორმითაა ნახმარი: „ხელს ვარებ“, **ჰიცლილი;** უპირატესობა ენტება მიმღეობურ ფორმებს: **ცნობილობს;** **ვტყობილობ;** **ვდებულობ...**

3. სინტაქსური: ატრიბუტული მსაზღვრელი საზღვრულთან ხშირად ფუძის სახითაა: „**ბატონ** მიხეილის ვეძებთ“; „**შეომარ** ბიჭების მისამართი მომწერეთ“; არის შერეული პარადიგმაც: „**შავშა** სტიქიამ ჭანჭათში შემოაღწია“; იშვიათია ინვერსიული წყობის შემთხვევები: „**გახვეულმა ცეცხლის ალში**“ მრავალი დაჭრილი გამოვიყვანე“; ნაწილაკდართულ განსაზღვრებით ნაცვალსახელთან საზღვრული მრავლობითშია: „მომწერეთ ყოველივე ამბები“;

დარღვევებია ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეთანხმებაში: „დღეები მიღიოდნენ“; **ზოგჯერ წინადადებაა უშემასმენლოა:** აბა კარგად, მხნედ და მარჯვედ!

წინადადებაში არაა დაცული სიტყვათა რიგი: „გნახეთ კარგად!“

შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრებს არა აქვთ ერთნაირი რიცხვის ფორმა: „**ფიქრით, სიზმრებით** თქვენთან ვარ“;

ჭანჭათელთა მეტყველებაში ხშირად ისმის სხვათა სიტყვის ნაწილაკებიდან -ო:

„...როცა იწყება ხვნა-თესვა, ისმის ტრაქტორთა გუგუნი,

კაფე-თესეო, ზევიდან რა ჩამოგვძახის?... (გუგული).

ტექსტებში(როგორც ლექსებში, ისე ნამდვილ ამბებში) მრავლადაა **მიმართვის ფორმები, დანართები და ჩართულები;** წოდებითში დასმული სახელი ხან თავშია, ხან შუაში, ხანაც ბოლოში: „ერთად **ძმებო, ერთად დებო, ერთად ჩემო სოფლელებო!**“

,ხო, **ჭირიძე,** ბედნიერი ვიქნებით!

პროსოდიული -ო ხმოვანი სალექსო ტაეპებში გასარითმავად გამოიყენება.

წინადადებაში ემოციას აძლიერებს ჰიპერბოლა: „შიში ძვალ-რბილში ატანს“.

4. ლექსიკა: აღსანიშნავია მრავალფეროვანი დიალექტიზმები და დიალექტური ფრაზეოლოგიზმები: „გათხოვდი, ნენა!“; „დააყოლა თავისი სიგლახე“; „შავად შემოსა ბევრი ჭიშკარი“; „თავის მოფხანიზა არ მცალია“; შეინიშნება ბარბარიზმები: „აგი კარიჩნი ვისია?“; „**ნემცები** გვესვრიან“; „მწერეთ მაგ ადრესით“; „ჩვენი ზემლიაკი იყო.

რომან ლოლუა

ლატერალური თანხმოვნები საერთოლეზგიურში და მათი კავკასიის ალბანური შესატყვისები²

სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოლეზგიური კონსონანტიზმის რეკონსტრუქციის რამდენიმე ცდა მოგვეპოვება, რომელიც ლატერალური თანხმოვნების ფუძე-ენაში აღდგენასა და შესატყვისობათა პოვნიერებასაც ითვალისწინებს:

ბ. თალიბოვი საერთოლეზგიურისათვის აღადგენს მხოლოდ ორ გლოტალურ ლატერალურ აფრიკატს (ტ, ტ’).

*ლ, *ტ, *ტ’ და *ლ’ ლატერალებს საერთოლეზგიურისათვის აღადგენს ე. ბოკარევი.

ლეზგიურ ენათა მონაცემებით ხერხდება ხუთი ლატერალური თანხმოვნის რეკონსტრუქცია, ესენია: *ლ, *ლ’, *ტ, *ტ’ და *ლ’. ჩვენი დასკვნები ეხმიანება ბ. გიგინეიშვილის მოსაზრებას; როგორც მკვლევარი ვარაუდობს, საერთოდალესტრურში *ლ, *ლ’, *ლ’, *ტ, *ტ’ და *ლ’ ლატერალები გვეონდა, ხოლო საერთოლეზგიურში, არჩიბულის გამოყოფამდე (როგორც ჩანს, არჩიბული პირველი გამოეყო საერთოლეზგიურს) *ლ’ და *ტ სხვა რიგის ბგერებში გადავიდნენ (*ლ’ > *ქ; *ტ’ > *ქ’).

ს.-ლეზგ. *ლ > არჩ. ლ’; ლეზგ. ქ/ ლ’; თაბ. ლ’; აღ. ვ < / ხ’; რუთ. ვ < / ხ’ / > ტ: წახ. ლ/ლ: კრიწ. ლ’; ბუდ. ვ (< *ლ’): უდ. ლ/ლ: კავკ.-ალბ. ლ/? ხინ. ქ; შდრ. ხუნდ. ტ’: ანდ. ტ’: ახვახ. ტ’: დიდ. ლ’: დარგ. გ || ქ’ || ჰ: ლაქ. ქ/ლ:

არჩ. უილ’: ლეზგ. ირი- (< *ირლ’-ი-): თაბ. ურლუ-: აღ. ვერი- (< *ვერლ’-ი-): რუთ. ვისუ-: წახ. ვილგ-: კრიწ. ველ-გ-: ბუდ. ვიდი-: უდ. ვულ’: კავკ.-ალბ. ვულ’: ხინ. ვიკ „შვიდი“; შდრ. ხუნდ. ანტ’-: ანდ. ჰოტ’-უ: ახვ. ატ’-უ-: დიდ. ოლ’: დარგ. უერჲ (ურახ.): ლაქ. არულ...

² ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: 189/2-120/12).

ს.-ლეზგ. *ლ' > არჩ. ლ' / ლ' > ლეზგ. ღ' > თაბ. ხ' > აღ. ხ' > რუთ.
 ჲ < || ხ' > წახ. ხ' > კრიწ. ხ' > ბუდ. ხ' > უდ. კ: კავკ.-ალბ. კ (ან ხ?) > ხინ.
 ჯ: შდრ. ხუნდ. ლ' > ანდ. ლ' > ახვახ. ლ' > დიდ. ლ' > დარგ. ღ' || გ || ქ: ლაკ. ხა:

არჩ. დილ' > ლეზგ. რულ'უ-: თაბ. მირხ'უ-: აღ. მერხ'ი-: რუთ.
 რიხ'გ-: წახ. მიხ'გ-: კრიწ. ვეხ'გ-: ბუდ. ვეხ'გ-: უდ. უქ' > კავკ.-ალბ. უქ' (ან უხ?): ხინ. ზექ' „ექვსი“; შდრ. ხუნდ. ანლ' > ანდ. ონლ'ი-: ახვ. ინლ'ი-: დიდ. ილ' > დარგ. ურილ'-|| ურექ' > ლაკ. რახად...

ს.-ლეზგ. *ტ' > არჩ. ტ' > ლეზგ. ქ' > თაბ. ქ' > აღ. ქ' > რუთ. გ/გ': წახ. გ/გ' > კრიწ. ქ' > ბუდ. ქ' > უდ. ყ: კავკ.-ალბ. ყ: ხინ. კ/ქ' > შდრ. ხუნდ. ტ' > ანდ. ტ' > ახვახ. ტ' > დიდ. ლ' > დარგ. ც || გ: ლაკ. ც:

არჩ. ბოტ' > ლეზგ. დაქ' > თაბ. დაქ' > აღ. დაქ' > რუთ. დაქ' > ბუდ.
 დექ' > უდ. ეყ: ხინ. ლექ'ა „ხორცი“; შდრ. ანდ. რიტ'ი: დიდ. რელ'ა: დარგ. დიყ (ურახ.) || დიგ (წუდახ.): ლაკ. დიკ...

ს.-ლეზგ. *ლ' > არჩ. ლ' > ლეზგ. ღ' > თაბ. ხ' > აღ. ხ' > რუთ. ჲ < || ხ' > წახ. ხ' > კრიწ. ხ' > ბუდ. ხ' > უდ. ხ: კავკ.-ალბ. ხ: ხინ. ხ' > შდრ. ხუნდ. ლ' > ანდ. ლ' > ახვახ. ლ' > დიდ. ლ' > დარგ. ხ' > ლაკ. ხ' > ლ/ჲ:

არჩ. ელ'ას: თაბ. ა-ღ-ხ'უხ': აღ. ლარხ'ას: რუთ. ხ'ჲდ, ლი-ხ'ინ:
 წახ. ყაფა-ვ-ხ'ას: ბუდ. არახ'არ: უდ. ლახ'ეს: კავკ.-ალბ. ძე-ხ'ეს: ხინ.
 ჩე-ჷ-ირი (< *ჩე-ხ'ი-ირი) „დადება“, „ჩამოდება“; ლეზგ. ავახ'იზ „ჩა-
 გორება“, „ჩამოსვლა“, აკახ'იზ „ჩამოყრა“; შდრ. ხუნდ. ლ'-ეზე: ახვ.
 ბი-ლ'-ურ-ულ': დარგ. [ქა]-ბი-ხ'ეს: ლაკ. ბი-ჷ-ინ (< *ბი-ხ'ი-ინ) „და-
 დება“, „ჩამოდება“...

ს.-ლეზგ. *ლ' > არჩ. ლ' > ლეზგ. ღ (< *ღ'?): თაბ. ჰ (< *ხ'): აღ. ხ' > რუთ.
 ჲ < || ხ' > წახ. ხ' > კრიწ. ხ' > ბუდ. ხ' > უდ. ხ: კავკ.-ალბ. ხ: ხინ.
 ხ' > შდრ. ხუნდ. ლ' > ანდ. ლ' > ახვახ. ლ' > დიდ. ლ' > დარგ. ხ' > ჰ:
 ლაკ. ჰ (< *ხ'ა):

არჩ. ლ'ან/ ლ'ენე: ლეზგ. დად (< *ღ'ად ?) || მიწ'ი: თაბ. შიდ
 (< *ხ'იდ): აღ. ხ'ედ, ხ'ითაა || შეერ, შეირი (ბურკ.): რუთ. ხ'ჲდ, ხ'იმი:
 წახ. ხ'ან, ხ'ინენ: კრიწ. ხ'ჲდ, ხ'იჯ: ბუდ. ხ'აღ, ხ'იმ: უდ. ხე: კავკ.-
 ალბ. ხე: ხინ. ხ'უ „შეალი“; შდრ. ხუნდ. ლ'ან: ანდ. ლ'ენ: ახვ.
 ლ'ენი: დიდ. ლ'ი: ხვარშ. ლ'ან: დარგ. ჰინ (< *ხ'ინ): ლაკ. ჰინ (<
 *ხ'ან)...

ლატერალური სპირანტები საერთოლეზგიურში ძალიან მაღლე — არჩიბულის განცალკევების შემდეგ და უდიურის გამოყოფამდე, შეერწყნენ ერთმანეთს, ანუ გახდნენ ნეიტრალურები ინტენსივობის თვალსაზრისით, ხოლო შემდეგ ნეიტრალურმა ყრუ ლატერალურმა სპირანტმა წინაველარული ყრუ სპირანტი (ხ) მოგვცა. ამგვარ განვითარებას ადასტურებს ორივე ლატერალური სპირანტის ერთგვარი რეფლექსაცია ლეზგიურ ენებში, თუ არ ჩავთვლით არჩიბულ ენას, რომლის ჩვენებაც ლ-სა და ლ-ს ცალ-ცალკე რეკონსტრუქციის საშუალებას გვაძლევს.

ლატერალური აფრიკატები მოიშალა შედარებით გვიან. ფონეტიკური პროცესები განვითარდა დამოუკიდებლად არჩიბულში, უდიურში, ხინალურებისა და საერთოსამურულ ერთობაში. ვფიქრობთ, რომ ლატერალურმა აფრიკატებმა პირველ ეტაპზე მოგვცა წინაველარული აფრიკატები.

აღსანიშნავია, რომ კაგვასისის ალბანური მოყვანილ შესატყვისობათა ფორმულებში იგივე კორესპონდეციებით არის წარმოდგენილი, რაც უდიურში დასტურდება. ეს უკუაგდებს კაგვასისის ალბანურში ლატერალურ თანხმოვანთა არსებობის შესახებ გამოთქმულ ვარაუდს (ს. მურავიოვი, ი. გიპერტი, რ. ლოლუა) და ამყარებს ალბანურის ტრადიციულ გაიგივებას უდიურთან.

ბ. თალიბოვი და ე. ბოკარევი საერთოლეზგიურისათვის *ტ' ფონემას ვარაუდობენ. ვფიქრობთ, არ გვაქვს არანაირი საფუძველი, რომ დავუშვათ ამ ბერის არსებობა საერთოლეზგიურ ფუქ-ენაში; ჩვენთვის სრულიად ცხადია, რომ ამ ბერამ ცვლილება განიცადა ჯერ კიდევ არჩიბულის გამოყოფამდე და, ამდენად, მისი პოსტულირება საერთოლეზგიური ფუქ-ენისათვის მხოლოდ პაპოთეტურადაა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ჭ კორესპონდენცია ლაკურშიც და დარგულშიც გვხვდება. ეს გვაძლევს საფუძველს, რომ *ტ' > *ჭ პროცესის დაწყება ვიგრაულოთ ჯერ კიდევ საერთოდალესტრურ ქრონოლოგიურ დონეზე (რიგ დიალექტებში).

რომ დავუშვათ *ტ' ბერის არსებობა საერთოლეზგიურში, მაშინ ამ ბერის პოსტულირება უნდა მოხდეს აღმოსავლურ-სამურულ და დასავლურ-სამურული ერთობისათვის, რაც ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ბერის

ინტენსიური ვარიანტი სხვა ლატერალური აფრიკატების მსგავსად საერთოსამურული ერთობის დაშლამდე გადავიდა სავარაუდოდ ინტენსიურ წინაველარულ აფრიკატში (კ).

ბ. გიგინეიშვილი საერთოლეზგიურისათვის *ტ' > *ქ პროცესს ვარაუდობს, რასაც ვერ გავიზიარებთ. თუ ეს პროცესი მართლაც განვითარდა წინარელეზგიურში, მაშინ რატომ არ დაემთხვა ერთმანეთს საერთოდაღესტნური *ტ'-სა და *ქ-სა რეფლექსები ლეზგიურ ენებში? ვფიქრობთ, რომ საერთოდაღესტნური *ტ' საერთოლეზგიურში გადავიდა ველარულ სუსტ აბრუპტიულ აფრიკატში (პირობითად — *ქ1), რომელმაც შემდგომ ორი განსხვავებული კორესპონდენცია მოგვცა ლეზგიურ ენებში (*ქ და *ყ). სისტემის სიმეტრიულობის თვალსაზრისით ლოგიკურია, რომ *ტ' > *ქ1 პროცესის პარალელურად *ლ' > *ქ1 პროცესიც ვივარაუდოთ.

თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა ძ ე

ტერმინისათვის „ემფატიკური ა“

ქართველი ენათმეცნიერები ყოველთვის დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ ტერმინთა შერჩევის საკითხებს. არსებობს უამრავი მაგალითი იმისა, თუ როგორ ქმნიდნენ და ხვეწიდნენ ისინი ტერმინებს.

ერთ-ერთი ასეთი ტერმინია „ემფატიკური ა“, რომელსაც ქართულ ლინგვისტიკაში სხვადასხვა სახელით ვხვდებით, თუმცა ყველაზე ხშირად მაინც „ემფატიკურ ა“-ს უწოდებენ..

ტერმინის შექმნა ნ. მარის სახელს უკავშირდება. სწორედ მან უწოდა მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში ბრუნვის ფორმებზე დართულ ა-ს „ემფატიკური ა“. ა. შანიძე მას ხან „ნართაულ ა“-ს უწოდებდა, ხან — მავრცობს.

ა-ს ფუნქციონირების საკითხი ძველი და ახალი ქართულის მონაცემთა მიხედვით შესწავლილი აქვთ არნ. ჩიქობავას, ა. შანიძეს, ქ. ძოწენიძეს, თ. ზურაბიშვილს, გ. ფოცხიშვილს, გ. დეეტერს, შ. აფ-

რიდონიძეს, თ. უთურგაიძეს... გამოთქმულია რამდენიმე მსგავსი თუ განსხვავებული მოსაზრება. მაგალითად, მას ფონეტიკური ბუნებისა-დაც მიიჩნევენ, რადგან ჩნდება თანხმოვნიანი ამოსაგლის შემდეგ. მის დანიშნულებად მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილის შემოსაზღვრა-საც მიიჩნევენ, ასევე ა-ს დართვას სტილისტიკურ საჭიროებას უკავ-შირებენ.

აღნიშნულ ფუნქციებს განვიხილავთ იმის საჩვენებლად, რომ ტერმინი „ემფატიკური“ სასურველია იყოს იმ შემთხვევაში, თუ მას ექნებოდა გამომსახველობითი, გაძლიერებითი, ან ხაზგასმის ფუნ-ქცია. მაგრამ, რაკი ეს დანიშნულება აღნიშნულ ა-ს არც ძველ ქარ-თულში ჰქონდა და არც ახალში აქვს, ტერმინი „ემფატიკურის“ გა-მოყენება გამართლებულად არ მიგვაჩნია.

ქეთევან მარგიანი - სუბარი

ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ერთი ტიპისათვის სვანურ ენაში

სვანურ ენაში ქვეწყობის უკავშირო (ხშირად — უკორელა-ტოც) ფორმაა უფრო მეტად გავრცელებული; მართალია, მის გვერ-დით დამკვიდრებულია ქართულისებური კონსტრუქციაც, მაგრამ ეს უკანასკნელი ზოგჯერ ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს და ქართულის კალკად ჩანს; აღნიშნული მოვლენა განსაკუთრებით პი-რობით-შედეგობით კონსტრუქციას ეხება (თუმცა არც სხვა ტიპის დამოკიდებულიანი რთული წინადადებებისთვისაა უცხო):

ლადი ჩრდილიჩნი, მგხმრ ლიჭმეს დეჭ ლიჩოდ — „დღეს [თუ] გაწვიმდება, ხვალ ვერ ვთიბავთ („თიბვას ვერ ვიზამთ“);

სი ადრი, მიდ კუედნი — „შენ [თუ] წახვალ, მეც წამოვალ“...
სალიტერატურო ძეგლებიდან დასტურდება, რომ უატრიბუ-ტო (უკავშირო, უკორელატო) ჰიპოტაქსი საშუალ ქართულში ჯერ კიდევ პროდუქტიულია:

„აქათ სამ წელ არ მოვიდე, მაშინ გმართებს გლოვა, ფლასი“ („ვეფხისტყაოსანი“ 169,3);

.მ ო ვ კ ვ დ ე. თავსა ნუ მოიკლავ“... (იქვე 787,3).

დღევანდელი სალიტერატურო ქართულისთვის კი აღნიშნული მოვლენა უცხოა.

განსაკუთრებით ყურადსალებია ის ფაქტი, რომ სვანური უკავშიროსაუკორელატო რთული წინადადების ზმნა-შემასმენელი ყოველთვის რომელიმე ინფერენციული (საკუთრივ სვანური) მწკრივით არის გამოხატული (ინფერენციული აწყოთი, მყოფადის ინფერენციული სახეობით...) და არა ქართულისებური კატეგორიული ზმნური ფორმებით.

ჩვენი აზრით, **სვანურში ჰიპოტაქსური კონსტრუქციის შედარებით არქაული ტიპის შენარჩუნებას ხელი შეუწყო:** ა) ინფერენციული (ეპისტემიკურობის, პირობითობის სემანტიკის შემცველი) ზმნების არსებობაშ ენაში; ბ) ახალი რთული კონსტრუქციის შექმნისთვის მოტივაციის არარსებობამ: წიგნის ენამ სხვა მოთხოვნები წამოაყენა, სხვა სივრცე მოითხოვა (**უმთავრესი მიზეზი!**) და იგი საანალიზო მიმართულებითაც უფრო მეტად განვითარდა, უმწერლობო ენამ კი მხოლოდ ზმნის განსაკუთრებული მოქნილობითა და ინფორმაციული ტევადობით „ისარგებლა“ და ბევრი რამ ორგანულ ფორმებში ასახა; შესაბამისად, რთული ქვეწყობილი წინადადების ტიპიც, სპეციფიკური (ინფერენციული) მწკრივებით გამოხატული შემასმენლის ხარჯზე, ძველი ფორმით შენარჩუნდა, თუმცა მის პარალელურად სალიტერატურო ენის ანალოგით (და არა აუცილებლობით) თანდათანობით კონსტრუქციის სრულყოფილი (კავშირიანი, კორელატიანი) ფორმაც დამკვიდრდა;

თ ა მ ა რ მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე

დაქტილური სისტემები

ყრუთა თემები ჟესტური ენით ურთიერთობისას დაქტილურ ანბანს გამოიყენებენ საკუთარი არსებითი სახელების გადმოსაცემად და ასევე ამა თუ იმ სიტყვის დასაკონკრეტებლად და დასაზუსტებლად. დაქტილური ანბანის გამოყენება ხდება ჟესტური ენის ზეპირი და არა წერილობითი კომუნიკაციისას. მისი გამოყენების ფორმა და ადგილი განსხვავებულია ნებისმიერი სამეტყველო ენის ანბანისაგან. დაქტილური ანბანი არ არის ჟესტური დამწერლობის ფორმა. ჟესტური დამწერლობის სხვადასხვა ფორმა არსებობს, აქ გამოიყენება ე.წ. ნოტაცია — ეს არის ტექსტის ჩაწერა ჟესტური სისტემით.

მსოფლიოში სულ არსებობს 40 დაქტილური ანბანი. ყველა მათგანი შეძლებისდაგვარად იმეორებს შესაბამისი სამეტყველო ენის ანბანის გრაფიკას. ერთი და იგივე დაქტილი შესაძლოა სხვადასხვა ანბანში სხვადასხვა დაქტილებას წარმოადგენდეს.

დაქტილური ანბანი წარმატებით გამოიყენება მანორალური მეტყველებისას. ბაგეების მოძრაობის წაკითხვისას მაყურებელ-კომუნიკატორ პირს მანორალურად მოსაუბრე ეხმარება სიტყვის სწორად გაებაში დატილურ-კონტაქტური მეტყველება არსებითად განსხვავდება დერმოგრაფიისგან, რაც გულისხმობს ხელისგულზე ასოების წერას. ურთიერთობის ამ ფორმას (დერმოგრაფიას) გამოიყენებენ უსინათლო ყრუ-მუნჯები, რომლებიც აგრეთვე იყენებენ ე. წ. ტაქტიკურ ანბანს, სადაც ხელის მტევნისა და თითების განსაზღვრულ უბნებზე შეხება აღნიშნავს კონკრეტულ ასოებს.


მოხსენებაში განვიხილავთ დაქტილურ სისტემებს, დაქტილურ ანბანთა საკლასიფიკაციო კრიტერიუმებსა და დაქტილირების კანონებს.

საბჭოთა პერიოდში ქართული ჟესტური ენა განიცდიდა რუსულის გავლენას. რუსული ჟესტური ენა საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის ხალხების ჟესტურ ენებს და საბოლოოდ მივიღეთ ერთიანი საბჭოთა ჟესტური ენა, რომელიც წარმატებით გამოიყენებოდა ყრუთა საკომუნიკაციოდ ამ სივრცეში. ყრუ აღამიანები დღესაც


ინარჩუნებენ ურთიერთობას ამ ენაზე. მიმდინარეობს ჟესტურ ენათა ნაციონალიზაცია და დაწყებულია რეინტეგრაციის პროცესი. ძველი ქართული დაქტილური ანბანი, რომელიც დღემდე გამოიყენება ოგმის წევრების მიერ, ცხადია, იმეორებს რუსულს. აქ მხოლოდ ქართულისთვის დამახასიათებელი რამდენიმე განსხვავებული ასოა დამატებული.

ყრუთა თემთან ინტენსიური მუშაობის შედეგად მათთან ერთად ჩვენ შევქმნით ახალი ქართული დაქტილური ანბანი. ფაქტობრივად ეს გახლავთ პირველი ქართული დაქტილური ანბანი. უპირველეს ყოვლისა, კი შევიმუშავეთ თეორიული ბაზა, რომელიც საფუძვლად დაედო ქართული დაქტილური ანბანის შექმნას.

რუსული დაქტილური ანბანი ქართული დაქტილური ანბანი
(გველი)



ახალი ქართული დაწესილური ანბანი



კობა მითაგვარია

ზოონიმების შემცველი გვარები სხვადასხვა სისტემის ენებში

გვარების წარმოქმნის გზები და საშუალებანი მეტად მრავალ-ფეროვანია. სხვადასხვა სისტემის ენებში, კერძოდ, რუსულში, ინგლი-სურში, ქართულსა და აღილეურში მრავლად გვხვდება ცხოველების, ფრინველების და მწერების სახელშოდებისაგან წარმოქმნილი გვარები.

ბევრი მათგანი წინათ ადამიანის საკუთარ სახელად ან მეტსა-ხელად უნდა ყოფილიყო გამოყენებული და ამ გზით შევიდა გვარის შემადგენლობაში, ზოგს კი უთუოდ სხვა მიზეზი დაედო საფუძლად, რომ გვარად ქცეულიყო (ჭ. ჭუმბურიძე).

როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი (ჭ. კოკო-ვი, ჭ. ჭუმბურიძე, ვ. მალრაძე, ა. რიბაკინი, ვ. ნიკონოვი, ბ. უინბეგა-უნ) ადილეურში, რუსულში, ინგლისურსა და ქართულში ზოონიმების შემცველი გვარები ათეულობით დასტურდება. განსხვავებული ვითარებაა მეგრულსა და სვანურში. მეგრულში ზოონიმის შემცველი ოცამდე გვარია, ხოლო სვანურში — ზოგი ავტორის მიხედვით —

თითო-ოროლა ზოონიმის შემცველი გვარი დასტურდება (ვ. მაღრაძე, ქ. მარგიანი).

ადილეურ გვარებში ყველაზე ხშირად გვხვდება **ჰა „მაღლი“** ფუძე, რომლის მეშვეობითაც 40-მდე გვარი არის ნაწარმოები (ნ. ია-კოვლევი, დ. აშხამაფი, ზ. კუმახოვა, ჭ. კოკოვი, ბ. უინბეგაუნი). რაც გამოწვეული უნდა იყოს ძალლის კულტით ადილებთან: **ჰამგინი**, **ჰაბაგი**; ხშირია **ჰაგ „ცხენი“** (**ჰაგლანდი**, **ჰაგლიგნ**, **ჰაგლგსთან...**); **ბაჭარ „მელა“** (**ბაჭარა**, **ბაჭანა**, **ბაჭა „კრაზანა“** (**ბაჭამბაზი**, **ბაჭაცი**, **ბაჭახიპენი**); **ბლანდი** „გველი“ (**ბლანდნაჭი**, **ბლანდიაჭი**).

ინგლისურ ონომასტიკონში ხშირია გვარები **cock** „მამალი“ (**Handcock**, **Hellcock**, **Geffcock**), **wolf** „მგელი“ (**Wolfin**, **Wolfenden**, **Wolfryd**); **fox** „მელა“ (**Foxall**, **Foxwell**, **Foxen**).

რუსულში ზოონიმების შემცველი გვარების მრავალფეროვნებაა: ფრინველების სახელწოდებებისგან ნაწარმოები გვარები (**Воронин**, **Голубев**, **Воробьев**, **Орлов** და ა. შ.); ცხოველთა სახელწოდებების შემცველი გვარები (**Быков**, **Баранов**, **Волков** და ა. შ.), მწერების სახელწოდების შემცველი გვარები (**Комаров**, **Жуков**).

ქართულ გვარსახელებში მრავლადაა ცხოველთა, ფრინველთა, თევზთა თუ მწერთა სახელებისგან ნაწარმოები გვარები.

ცხოველთა სახელები გვაქვს შემდეგ ქართულ გვარებში **ვეფუძაძე**, **კვერნაძე**, **მელაძე**, **არჩვაძე**, **ირგმაძე**, **შველიძე**, **ცხვარიაშვილი**, **სარაძე** და ა.შ.

ფრინველთა სახელებისგან წარმოქმნილი გვარებია: **ქაკაბაძე**, **შევარდნაძე**, **კაჭკაჭიშვილი**, **სირაძე**, **ჩიტიშვილი**, **ჩხიცვაძე**, **ქათამაძე**, **მამალაძე** და ა. შ.

თევზებისა და მწერთა სახელები გვხვდება გვარებში: **თევზაძე**, **კალმახელიძე**, **კოლუაშვილი**, **ფუტკარაძე**...

მეგრულში ზოონიმების შემცველი ორ ათეულამდე გვარია: **მელიავა**, **ჯიქია**, **ფოცხვერია**, **ქაცარავა**, **კურდლელია**, **ხოჭავა**, **ტორონჯაძე**, **ჩიტაია**, **კოლონია...** (ზ. ჭუმბურიძე). ხოლო სვანურში **ცინდელიანი** (**შდრ. მეგრ. ცინდალი**) (ვ. მაღრაძე), **უშევანი** (**შდრ. ძვ. ქართ. უშევი „ხარი“**) (ქ. მარგიანი).

როგორც ვხედავთ, გვარების წარმოქმნის გზები და საშუალებანი მეტად მრავალფეროვანია. ზოონიმების შემცველი გვარების უმეტესობა მარტივი შეერთებით მიიღება.

რუსულსა და მეგრულში სუფიქსური წარმოება გვაქვს (რუს.

Бык-ов, Волк-ов, Мед-ов, Коза-ва), კომპოზიტური ზოონიმების შემცველი გვარების მრავალფეროვებამ და ანალიზმა გამოავლინა ის საერთო და განსხვავებული, რაც სხვადასხვა სისტემის ენებს აქვთ გვარების სემანტიკისა და სტრუქტურის თვალსაზრისით.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ტოპონიმები ფრონეს ხეობაში

ფრონეს ხეობა ქართულისა და იმერეთის საზღვარზე მდებარეობს. იგი საინტერესოა ტოპონიმთა წარმოებისა და მათი ეტიმოლოგიის თვალსაზრისით. გეოგრაფიულ სახელთა წარმოება ემორჩილება ისეთ წესს, რაც დამახასიათებელია საზოგადო სახელებისათვის. ტოპონიმები საზოგადო სახელებს შეიძლება ემყარებოდეს (საზოგადო სახელი იქცევა საკუთარ სახელად).

ასეთი ტიპის სახელები გვხვდება როგორც მაკრო- ისე მიკრო-ტოპონიმიაში და მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია.

ჩვენ მიერ აღწერილი მასალები შევადარეთ „1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთრის“ ტოპონიმიასთან, მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი სწავლულების ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების „აღწერებთან“, ასევე მეცხრამეტე საუკუნის პრესის მასალებთან.

კომპოზიტურ გეოგრაფიული სახელები, ტოპონიმ-შესიტყვება კარგად ჩანს ამი თუ იმ პუნქტის ტერიტორიულ დახასიათება (რომელი ეპოქის სახელია, როდისაა წარმოშობილი და სხვ).

ასეთი ტიპის გეოგრაფიულ სახელებში ძირითადად გვაქვს ორი წევრი, იშვიათად სამი მსაზღვრელ-საზღვრულის სახით.

ისტორიული: ხუნდისუბანი, ღარისთავი, მთავარეული, ტყისუბანი, ურმისახელი, ხტონის ხევი, საქართველოს ციხე, ახალშენი, ქვენატკოცი...

ახალი: გიორგიშვილინდა, ქვათეთრი, სამწყალი, ჭმურუხევი, ბზების ხევი...

მიკროტოპონიმები: სიქტურაანთ დანითაულები, გობეჭიშვილების უბანი, ბერაშვილების მიწები, აბედის ღელე, ხუციანთ ტბები, მესხიანთ უბანი...

გამოიყოფა კომპოზიტურ სახელთა სხვადასხვა ტიპები, რომელთა შესწავლა-მიმდინარე ეტაპზე აუცილებელ საქმედ მიგვაჩნია.

სალომე ომიაძე

დისკურსული კომპეტენციის დეფიციტი პოლიტიკურ რიტორიკასა და მასშედიის ენაში

თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში აუდიტორიის გაოცება ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად იქცა. იგივე უნდა ითქვას პოლიტიკურთან გადაჯაჭვულ მასობრივ-საინფორმაციო დისკურსზეც, რომლის ძირითადი ფუნქცია ინფორმირების საშუალებით ზემოქმედებაა. აღნიშნული ინფორმირების ხერხები შესაქცევ-გასართობ ხასიათს იმთავითვე გულისხმობს, მაგრამ შექმნილი ვითარების ანალიზი ცხადყოფს, რომ მომხმარებლის, კონკრეტულ შემთხვევაში — მკითხველის, მსმენელის, მაყურებლისა თუ მთლიანად ელექტორატის მისამრობად გაჩაღებული პოლიტიკური თუ მასმედიური თამაშები, არცთუშურინარია ენის განვითარების თვალსაზრისით.

საგანთა და მოვლენათა აღწერის სიზუსტე დისკურსის ტიპზე, კომუნიკაციური სიტუაციის რაგვარობაზეა დამოკიდებული. თუ პირველადი სამეტყველო უანრები კონსიტუაციურია და მათი საგნობრივი შინაარსი უმეტესად დაკვირვების შედეგია, რაც, თავის მხრივ, ამ შინაარსის ცვალებად ხასიათს განაპირობებს, მასმედიის ენაში, განსაკუთრებით კი პოლიტიკური დისკურსის ამსახველ უბანზე, ნათელი

და სტაბილური მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულები უნდა ჭარბობდეს.

კვლევამ გვიჩვენა, რომ თანამედროვე მასობრივი კულტურის გავლენით კომუნიკაციური კომპეტენციის საერთო დონემ დაიწია, შეინიშნება პერიფერიული კომუნიკაციური პრაქტიკის ცენტრალიზაციის ტენდენცია — ლექსიკური ფონდის გაღარიბება, გრამატიკულ საშუალებათა გამარტივება, გამონათქვამის ემოციური შინაარსის წილის გაზრდა რაციონალური შინაარსის წილთან მიმართებით, მეტყველების გულგარიზაცია, რაზედაც ვრცლად მოხსენებაში ვისაუბრებთ.

მერაბ რობაჭიძე

„ვეუკიტყაოსნის“ ერთი ტაეპის მნიშვნელობის დადგენისათვის

(„სჯობს საყვარელსა მოყვარე რაზომცა დაუძაბუნდეს“)

1. „ძაბუნ“ ირანულიდან ნასესხები სიტყვაა ქართულ ენაში; მისი ძირითადი მნიშვნელიბაა „და სუს ტება“, „დამარცხება“; „შეპყრობა“; „დატყვევება“; „შეიწრება“. იუსტინე აბულაძის „ვფხ“-ის ლექსიკონში შესულია სიტყვა „დაზაბუნება“ ასეთი განმარტებით: დალაჩრება, მონურად ქედის მოხრა, გამ ხრდალება. იხ. ზაბუნი, ვინა ძაბუნი; კრებულში შესულია აგრეთვე სპარსულ-ქართული სიტყვების ინ დექსი, მათ შორისაა „ზაბუნი“ (საზაბუნო), რითიც დადასტურებულია ამ სიტყვის სპარსული წარმო მავლობა. მზია ანდრონიკაშვილის ნაშრომში „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობი ბი დან“ ეს სიტყვა არაა შეტანილი, მაგრამ მასში მოცემულია მსგავსი სიტყვების ირანულიდან შე მოს ვლის ფონეტიკური კანონზომიერება, რომლის მიხედვით საშ. სპარს. z-ს ქართულში თავიდურ პოზიციაში შეეძლო მოეცა როგორც ზ, ისე ძ. როგორც ვხედავთ, ქართულში ირანულიდან შემოსულ „ზა ბუნ“ სიტყვას ქართულში

თავკიდურ პოზიციაში შეეძლო მოეცა როგორც „ზაბუნ“, ასევე „ძაბუნ“, რა საც გვიდას ტურებენ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები. ზედ ფონეტიკური ვარიანტები გვხვდება ძველი ქართული ენის ლექსიკაში (ზორვა // ძორვა, ზრახვა // ძრახვა, ზახილი (ძახილი), ზროხა // ძროხა, ზოება // ძო(გ)ება).

2. საკითხი ეხება „ღაძაბუნება“ სიტყვის მნიშვნელობის დადგენას ვფხ-ის ერთ სტროფში, რომელშიც ვკითხულობთ: «სჯობს საყვარელსა მოყვარე რაზომცა დაუძაბუნდეს» (833.2 — 1957 წლის გამოცემა) პოემაში გვხვდება კიდევ ამ სიტყვის სხვადასხვა ფორმა: დაგძაბუნდი, დაძაბუნდეს, საძაბუნო — ყველგან დასუსტების, სისუს ტის მნიშვნელობით. მიჩნეულია, რომ მოხმობილ ტაეპში საჭიროა «არ» ნაწილაკის აღდგნა, წინააღ მდევ შემთხვევაში შინაარსი შეუსაბამო სახეს იღებს იმ აზრით, რომ საყვარლისადმი მოყვარის «და ძაბუნება» მოყვარეს ლირსებას ულახავს და ასეთი რამ რუსთაველის ხელიდან არ გამოვიდოდაო (ა. შანიძე). შესაბამისად, მკვლევარის აზრით, უნდა იყოს «არ დაუძაბუნდეს», რაც სტროფს დაუბრუნებს პირვანდელ სახესო. ისმის კითხვა — რამდენად სწორია ეს შეხედულება, გამომდინარეობს თუ არა ის რუსთაველის ეპოქის სულიდან და პოემიდან, რომელშიც რაინდული სიყვარულია ხოტბაშესხმული? ვფიქრობ, ამგვარი გააზრება არ უნდა იყოს სწორი.

3. «ვისრამიანში»-ში არაერთხელ ვხვდებით ამ სიტყვას. ძაბუნის (დაძაბუნების) არსის გასაგებად სინათლის შეტანა შეუძლიათ ასეთ ადგილებს ამ თხეულებიდან, რომელიც თავისი ლექსიკით ახლოს დგას ვფხ-თან: რამინი ამბობს: „არა მაქვს თმობისა ღონე, აღარა ვარ გულსა ზედა პატრონი... ოდითგანია ჩემნი ჭირნი, ოდითგან დამიძაბუნა მიჯნურობამან! ვიცი, რომელ წესია მიჯნურთა ძაბუნობა, სნეული ვარ და უსუსურად მყოფი, მიჯნურობისაგან დაძაბუნებული (რამინის წერილი ვი სის) მე მიწყით ძაბუნი ვარ. მისგან კიდე თუცა ესრე უბედური არ ვიყავ, მე გული ესრე ვერ დამიმონებდა; მიჯნურობა ძაბუნია. შენვე დაუმდაბლდი მიჯნურობასა“. რომანის მოხმობილი ადგი ლები საცნაურყოფს, რომ „დაძაბუნება“ არის მიჯნურის სულიერი მდგომარეობა, „გულის ჭირით“ გა მოწვეული „სნეულება“.

4. ვახტანგ VI-ის გამოცემაში ასეთი კომენტარია მოწოდებული: „სჯობს საყვარელსა მოყვარე რა ზომცა დაუძაბუნდეს“ = «რაც რამ ამ სოფელს კაცს შეუყვარდება საყვარელი ის არის და მოყვარე ქრისტე არის; ახლა ამბობს რაგინდარა ქრისტეს საწყენი რომ ქნას კაცმა და შეუყვარდეს ცოდვით ქრისტე **დაძაბუნებულად** ჰყვინდეს, ის უთქვამს მაინც ქრისტე გიჯობსო და სჯობსო». როგორც ვხე დავთ, ვახტანგი ამ ტაებში რელიგიურ სიყვარულს ხედავს და „მოყვარეში“ ქრისტეს წარმოგვიდებენს; ცოდვის ჩამდენი თავის თავში ქრისტეს აძაბუნებს. ჩვენ ვფიქრობთ, კომენტარი ნაძალადევი და ხელოვნურია. ვახტანგი მთლიანად ამ სტროფში რელიგიურ გაგებას აქსოვს, რაც არ გამომდინარე ობს არც განსახილველი სტროფის შინაარსიდან, არც პოემის სულიდან, რომელიც რენესანსული სიყვარულის მზიური სუნთქვით, გაგებითა და ცნობიერებითაა განმსჭვალული.

5. ნათააქ „ვფეხ“-ის თავის სასკოლო გამოცემაში ჩვენთვის საინტერესო ტაების სიტყვას ასე გან მარტავს: „დაუძაბუნდეს — გაუგულჩვილდეს, მოულბეს (მნიშვნელობა სწორადაა მიგნებული)“. ყუ რადლებას იქცეს დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის განმარტება: მიკნურობამ დამიძაბუნა, **любовь сковала меня**, ვისრ. 154; 127; შესაძლებელია, ჟეშმარიტება ვიპოვოთ და დავინახოთ ამ განმარტებაში, თუ მას გავიაზრებთ სიყვარულის გრძნობით გამოშვეული “სხეულებით“, „გულის ჭირით“, რაც შეუყვარებულ შია აღძრული სატრფოს მიმართ.

6. ავთანდილი დაძაბუნებულია, არა იმ გაგებით, რომ ფიზიკურად დასუსტებულია ანდა მოქცეულია შეუყვარებულის ძლიერი ნების ქვეშ, არამედ იმით, რომ მისი ძლიერი საიყვარულო განცდა-გრძნობები მიმართულია (ორიენტირებულია) სატრფოსადმი, რომელსაც ეთაყვანება; ის სავსეა, დასნეულე ბულია სიყვარულის სენით (ვნებით), „გულის ჭირით“. აქ „დაძაბუნება“ მკაცრად განსაზღვრულ შინა არსა იქნას, რაც ჟეშმარიტი სიყვარულისთვის მოუცილებელია. ეს ის გრძნობაა, როცა მიკნურის „გული წასულია“ და იგი „უგულოდაა“ დარჩენილი. ასეთი სიყვარული „დაბნედა“-სთან მიახლებაა, სადამდისაც მიდის ავთანდილი, მაგრამ მას არ ეპუება: (წინა 832 სტროფში ნათქვამია: „რა მიეახლის დაბნედად, ვერ ხელ-ჰყვის დაძრვად ენისად“; მაგრამ ავთანდილი ძლიერი ნებისყოფის პიროვნებაა

და დამთრგუნველ გრძნობას ებრძის: 833 - „თქვა: “ჩემო, შენი შორს მყოფი კრულია, ვინცა დაღუმდეს, / რათვან შენ დავრჩა ვო-ნება, გული შენერვე დაბრუნდეს, თვალთა მტირალთა შეხედვა შენი-ვე სწად დეს და უნდეს“: როგორც ვხედავთ, ავთანდილი ვერ ეგუება იმას, რომ იგი და ბრედამდეა მისული და „ენის დაძრაც“ აღარ ძა-ლუს, მას გაცნობიერებული აქვს, რომ სატრფოს გან მოშორება ემუქრება „შეკვრით“, რაც „დაღუმებას“ (ა. შანიძეს კონიექტურის სახით შემოაქვს „დაღუნება“, რაც აგრეთვე არ არის სწორი, კონტექ-სტი მოითხოვს სწორედ „დაღუმებას“) იწვევს; თავის თავს ჩაგო-ნებს, რომ “თვალთა მტირალთა შეხედვა შენივე სწადდეს და უნდეს“ და აქვე დას ძენს, რომ „შეკვრა—დაბრედას“ სჯობს ისეთ მდგომარე-ობაში ყოფნა, როგორიცაა „დაბაბუნება“. ამგვა რად, როგორც ვხე-დავთ, „დაბრედას“ პოემის ავტორი უპირისპირებს „დაბაბუნებას“, როცა ამ ბობს: სჯობს, საყ ვა რელსა მოყვარე რაზომცა დაუძაბუნ-დეს“. ეს კი ის მდგომარეობაა, როცა გამიჭნურებუ ლი ადამიანი გულსა და გონებას არ კარგავს; სულ სხვა მდგომარეობაშია ტარიე-ლი — იგი დაბრედი ლია, მას გული, ცნობა და გონება წართმეული აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ მდგომარე ობაში იგი ბრძენი რაინდია. ძლიერი ნების ადამიანს, როგორიცაა ავთანდილი, ეს არ ემართება მიუხედავად იმისა, რომ იგი მიახლოებულია „დაბრე-დასთან“, როცა ენის დაძრაც შეუძლებელიაა, მაგრამ იგი ცნობიე-რებას არ კარგავს, შეგნებულად ებრძის დამთრგუნველ გრძნ ბას, რადგან ასეთ მდგომარე ობას ამჭობინებს „დაბაბუნების“ მდგომარეობა-ში ყოფნას — „სჯობს, საყვარელსა მოყვარე რაზომცა დაუძაბუნდეს“.

7. „გულის ჭირი“, როგორც მიჯნურობის სულიერ მდგომარეო-ბა, კატეგორიულად გულისხმობს „და ძაბუნებას“, რაც სამიჯნურო „დაუძლებურებაა“ („დავუძლებურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არ-სით არი“), სნეულებაა. მოყვარე უძაბუნდება საყვარელს; „დაბაბუნე-ბა“, საზოგადოდ, დამახასიათებე ლია მიჯნურობისთვის; როგორც „ვისრამიანშია“ ნათქვამი — «წესია მიჯნურთა ძაბუნობა».

მედეა საღლიანი

ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში შემავალ ძირითად ზმნათა სემანტიკური შესაძლებლობანი სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მიხედვით

ისევე, როგორც ქართულში, სვანურშიც გვხვდება ისეთი სიტყვათა კავშირები, რომელშიც მნიშვნელობა ჩაკეტილია მკაცრად განსაზღვრულ ფრაზეოლოგიურ გარემოცვაში, თუმცა ერთგვაროვნება ამ მხრივ ქართულსა და სვანურში ნამდვილად არ არის, და ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან, როგორც ა. თაყაიშვილი მიუთითებდა, არა მხოლოდ ენებს შორისაა განსხვავება სიტყვათა შეკავშირების მხრივ, არამედ ერთი ენის ფარგლებში, მის სხვადასხვა ეტაპებს შორისაც.

მოხსენებაში საუბარი იქნება სვანურ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში შემავალ იმ ძირითად ზმნებზე (მაგ.: **ლიგნე** „დგომა“ თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებითთან, რომელთა დეომაც რეალურად შესაძლებელია. მაგ.: **ლგგ** „დგას“ — **ქირ** „სახლი“, **მეგემ** „ხე“, **ლაყურა** „საწოლი“, **ჭიქ** „ჭიქა“, **მაშინა** „მანქანა“ და ა. შ., მაგრამ იგივე ზმნა გვხვდება შემდეგ შესიტყვებებში: **ბალდ ლიგნე** (ზს.), **ბალდ ლიგენე** (ლნტ.) „დაფლეთა, ნაფლეთებად ქცევა, დახევა (ზედმიწ. — ფლეთად დგ-მ-ა)“; **გინჯილდ ლიგნე** (ზს.), **გგნჯილდ ლიგნე** (ლშხ.) „დაფლეთა, დაგლეხა (ზედმიწ. — გლეჯ-ად დგ-მ-ა)“; **გრაშდ ლიგნე** (ზს.), „ფერფლად ქცევა (ზედმიწ. — ფერფლად დგ-მ-ა)“; **გუშაპდ ლიგნე** (ბზ.), **გუშაპდ ლიგენე** (ლნტ.) „დახრუკვა, დაწვა, ფერფლად ქცევა, ცეცხლში შთანთქმა (ზედმიწ. — ფერფლად დგ-მ-ა)“...; **ლიკედ** „აღება“ თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებითთან, რომელთა აღებაც რეალურად შესაძლებელია. მაგ.: **იკედ** „იღებს“ — **ლეჭუებს** „საჭმელს“, **ბარგს** „ავეჯს, ნივთებს“, **ბაჩს** „ქვას“, **ხილს** „ხილს“, **ცექს** „ფერფლს“ და ა. შ., მაგრამ იგივე ზმნა დასტურდება შემდეგ შესიტყვებებში: **აქპნი ლიკედ** (ბზ.), **აქპნეაშ ლიკედ** (ბქ.), **აქპნი ლიკედ** (ლშხ.), **აქანი ლიკედ** (ლნტ.) „მისალმება (ზედმიწ. — სალმის აღება)“; **ბოლეკდ ლიკედ** (ზს.) „ძირფესვიანად ამოგდება, ამოწყვეტა (ზედმიწ. — ბოლოკა-დ აღება)“; **ცხარპრთეული ლიკედ** (ბქ.) „აბუჩად აგდება (ზედმიწ. — ფრჩხილების კენზე აღება)“; **ბრიგი ლიკედ** (ბზ.) „უეცარი გარდაცვალება, ფეხების გაფშეკა (ზედმიწ. —

ბრაგვან-ის აღება)“...; ლიპედ „მოსვლა“ თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ სულიერის აღმნიშვნელ არსებითან, რომელთა მოსვლაც რეალურად შესაძლებელია. მაგ.: კედნი „მოვა“ — მარე „ადამიანი“, ზურალ „ქალი“, გან „ხარი“, მუშგური „სტუმარი“, თხერე „მგელი“ და ა. შ., მაგრამ იგივე ზმნა ხშირად გამოიყენება შემდეგ შესიტყვებებში: ხოლა კუჭი ლიპედ//ფისარ კუჭი ლიპედ (ლშ.) „გაბრაზება (ზედმიწ. — ცუდი კუჭ-ის მოსვლა//ფის-იან-ი კუჭ-ი მოსვლა); შდგქდ ლიპედ (ზს.) „ასაკში შესვლა, ვინმეს (ჩვეულებრივ მოხუცის) ასაკამდე მისვლა (ზედმიწ. — კბილად მოსვლა); შერობაშ ლიპედ (ჩბ.) „მოღლა, მოქანცვა, დაშვრომა, მოთმინებიდან გამოსვლა; თავმობეზრებულობა (ზედმიწ. — მაშვრალ-ობ-ის მოსვლა); ხოლა გუმი ლიპედ (ლშ.) „გაბრაზება (ზედმიწ. — ცუდი გულ-ის მოსვლა“ და ა. შ.), რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ფრაზეოლოგიზაციის პროცესში. აღნიშნული ზმნები დაჯგუფებულია მათი სემანტიკური შესაძლებლობის მიხედვით.

ვფიქრობთ, მსგავსი ზმნების სრულად აღწერა და სემანტიკური შესაძლებლობის მიხედვით დაჯგუფება მეტად საინტერესო იქნება სვანური ფრაზეოლოგიზმების სრულფასოვანი შესწავლისათვის.

მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ სვანურში გარკვეული სიტყვის ირგვლივ შექმნილ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს მოძმე ქართულ ენაში, ხშირ შემთხვევაში, არ გააჩნია რიცხობრივად ტოლი პარალელები. როდესაც არამონათესავე ენებს შორის ხდება შედარება, ეს გარკვეულ კითხვებს იმდენად არ აჩენს, მაგრამ როდესაც მონათესავე ენათა სიტყვათკავშირებს შორის ასეთი შესამჩნევი და განსხვავებული სხვაობაა, ეს უკვე გასაკვირია და, ჩვენი აზრით, უფრო სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს.

მურმან სუხიშვილი

აუსლაუტის უ დაბოლოების შესახებ ძველ ქართულში

უ ხმოვანზე დაბოლოებული სახელები ძველ ქართულში, როგორც წესი, ერთმარცვლიანია და ამ ერთადერთ მარცვალს სწორედ -უ ქმნის; რუ-ე, დრკუ-ე, ცრუ-ე, ყრუ-ე და მისთ. (გამონაკლისია რედუპლიცირებული ძუძუ-ე). ორ- და მეტმარცვლიან ფუქტით აუსლაუტში -უ უკვე ძველ ქართულში უბრჯგუდ (ტ) არის ქცეული: დათუ-ი, თაგუ-ი, იდაყუ-ი... (ი. იმნაიშვილი 1957, 119-122).

უ და უ ფონემათა ასეთი დისტრიბუცია აუსლაუტში ერთ- და მეტმარცვლიან ფუქტებს შორის ძველ ქართულში მოქმედი მახვილით უნდა ყოფილიყო გაპირობებული (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, შდრ., უთურგაიძე 1976).

ფუქტის ბოლოკიდურ (ა, ე, ო, უ) ხმოვანთაგან ქართულში, როგორც ცნობილია, უ-ს გარდა ყველა ხმოვანი გვევლინება მაწარმოებელი სუფიქსის როლში, აუსლაუტის უ ფონემის დერივაციული ფუნქცია კი მიჩქმალულია, — ის ძირისეულადაც გაიაზრება: „ეს ფუქტები მარტივი ჩანს, ბოლოკიდური ფუქტისეული ხმოვანი ძირეულად მიიჩნევა, მაგრამ საკმარისია ზოგი მათგანი გავაანალიზოთ ქართველური ენების ჩვენებათა გამოყენებით, რომ სენებულ ფუქტია სიმარტივე საეჭვო გახდეს“ (ჩიქობავა 1942, 6).

ყრუ-ე და დრკუ-ე სიტყვებში შედარებითი ანალიზის შედევად ბოლოკიდური -უ გამონაწევრდება, ოლონდ ერთ შემთხვევაში ამოსავლად სახელის ფუქტები (ყურ-) მოიაზრება: ყურ- > *ყურ-უ > ყრ-უ (ჩიქობავა 1938; 1942, თოფურია 1940, კლიმოვი 1964...), მეორე შემთხვევაში — ზმნური ფუქტები: *დერკ-უ > დრკ-უ (ჩიქობავა 1942), *დრეკ-უ > დრკ-უ ან დრკ-ა > დრკ-უ (უთურგაიძე 1976).

აუსლაუტის უ ხმოვნის სუფიქსურობა უფრო გამოკვეთილია ისეთ ერთმარცვლიან ფუქტებთან, რომელთაც ზედსართაული (resp. მიმღეობური) მნიშვნელობა აქვთ: კსუ-ე, „უხეში“, ბრკუ-ე „ბლუ“, ცრუ-ე „ტყუილი; მატყუარა“ და სხვ. (შდრ., საგნობრივი მნიშვნელობის აღმნიშვნელი ერთმარცვლიანი ბუ-ე / ბუვ-ი, რუ-ე / რუვ-ი, თუმ-ცა ამ უკანასკნელში საგნობრივის გარდა ზმნური (მოქმედების შედე-

გის „ღრუ“, „ხვრელი“) მნიშვნელობაც გამოიხატება, შდრ.: „ნაწლევნი შეიწყნარებენ რუგთა შინა მათთა ნივთსა, მას უშუერსა... და მიერ განსთხევენ“. მ. სწ. 176, 24.

ქველი თუ ახალი ქართული ენის მასალის საფუძველზე -უ სუ-ფიქსად გამოიყოფა შემდეგ ერთმარცვლიან ფუძეებში: ბრ-უ, ღრჯ-უ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000), ღღლ-უ (კლიმოვი 1976), ბნდ-უ, ღღლ-უ, ღრჯ-უ (ჭორბენაძე 1980) და სხვ. ამ ფორმანტის რეალურობა უპირატესად როგორც ქართულ, ასევე ზანურ და სვანურ ზმნურ ფუძეებთან შეპირისპირებით მოწმდება, შდრ.: ბრ-უ — ბრ-უნ-ავ-ს, მეგრ. ბურ-ინ-ი, ღრჯ-უ — ღრეჯ-ს, სვან. ლი-ღჯ-გნ-ე, ღღლ-უ — ღღლ-ეზ-ს, მეგრ. ღღლულ-აფ-ა, ჭან. ონდღლულ-უ, ბნდ-უ — ბნედ-ს და სხვ. დიალექტური (ხევს.) ზირწ-უ „წივილ-კივილით შეცხადება“ ფორმალურად და სემანტიკურადაც ასევე ზმნური **ძრწუნ** ფუძის ვარიანტი ჩანს (არაბული 2001).

ქართულ-ზანურ დონეზე რეკონსტრუირებულ მარტივ *ყურ- და წარმოქმნილ *ყურ-უ სახელების ზანური ვარიანტების განსხვავებული ფონემატური შედგენილობა (ცუჭ-ი და ცურ-უ) გამორიცხავს მეგრ. ცურ-უ („რეგვენი“ < „ყრუ“) დერივაციული ფორმისათვის ამოსავლად *ყურ- ძირი: მეგრულსა და ჭანურში სახელურ ფუძეთა აუსლაუტში რ > ჭ-ს (პალატალიზაცია -ი ფორმანტის ზეგავლენით), შდრ.: საერთო-ქართვ. *ყურ- ქართ. ყურ-ი : მეგრ./ჭან. ცუჭ-ი; სახელური ცურ-ძირიდან წარმოების შემთხვევაში მეგრულში ცურ-უ-ს ნაცვლად მოსალოდნელი იყო *ცუჭ-უ (შდრ.: მეგრ. ცუჭ-ა „რეგვენი“, ჭან. ცუჭა „ყრუ“); ამასთან, სადავო ჩანს ქართ. ყრუ-ს ყურ- სახელური ფუძის რედუცირებული (*ყრ-უ < *ყურ-უ) ფორმიდან მომდინარეობის საკითხიც, რადგანაც ისტორიულად ქართულში მხოლოდ ორ- და მეტმარცვლიანი სახელური ფუძეები იკუნშებოდა (უთურგაიძე 1976).

ასე რომ, საცილობელი შეიძლება გახდეს ქართ. ყრუ და მეგრ. ცურუ დერივაციულ ფორმათა არა მარტო ამოსავალი ფუძის რაობის, არამედ ამ ფორმათა გენეტიკური მიმართების საკითხიც.

ცალკეულ ფუძეთა ისტორიულ-შედარებითი ანალიზი საერთო-ქართველურ დონეზე აუსლაუტის -უ-ს ფორმანტისეულობას და ამგვარ ფუძეთა ზმნურ წარმომავლობას მიანიშნებს, შდრ.: ქართ. ღრძ-უ / ღრძ-ო : სვან. ღიჯ-უ ბქ., ლშხ. „დაღრეჯილი“, ლი-ღჯ-გნ-ე „გაღიზიანება“ (ჩუქუა 2000-2003).

თე ၅ ტეტელოშვილი

ტრანსლაციასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხისათვის

ტერმინ **ტრანსლაციათ** აღინიშნება გრამატიკული მოვლენა, რომელის დროსაც „სრულმნიშვნელოვანი სიტყვა ერთი გრამატიკული ქლასიდან გადადის მეორეში“. სიტყვის „ქლასი“ და ფუნქცია იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ „ქლასის“ ცვლილება იწვევს სიტყვის ფუნქციის ცვლილებას და — პირიქით.

ტრანსლაციის ვრცელი ენათმეცნიერული შესწავლა დაკავშირებულია ფრანგი მეცნიერის — ლუსიენ ტენიერის — სახელთან. ქართულ ლანგვისტიკაში ტერმინ **ტრანსლაციის** სახელით აღნიშნული გრამატიკული მოვლენის შესწავლას არცთუ ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს და სულ ამდენიმე ნაშრომს მოიცავს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ის გრამატიკული საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ტრანსალციისთვის, არაერთი ქართველი გრამატიკოსის შესწავლის ობიექტი გამხდარა.

ტრანსლაციის კვლევისას იკვეთება გარკვეული საკითხები, რომლებიც, ჩვენი აზრით, საინტერესოა არა მარტო ტრანსლაციის სრულყოფილი შესწავლისათვის, არამედ ზოგი გრამატიკული შეხედულების განსხვავებულ ჭრილში წარმოჩენისთვისაც.

სიტყვის ტრანსლაციებისთვის გამოიყენება როგორც მორფოლოგიური ელემენტები (ტრანსლატივები), ისე სინტაქსური საშუალებები. მაგალითად:

- სიტყვა „ქუდისგან“ მაადიექტივებელი ტრანსლატივის — **იანის** — დართვით ვოლებთ აღიერებენ: **ქუდ-ი** → **ქუდ-იან-ი** — **სუბსტანტივი** → **ადიექტივი** (ტრანსლაციის მორფოლოგიური საშუალება);
- წინადადებაში „მე გათამამებული ვარ **ლამაზებისაგან**“ (ქეგლ, ტ. IV) ადიექტივი გვევლინება სუბსტანტივის ფუნქციით, მასასადამე, გასუბსტანტივებულია (ტრანსლაციის სინტაქსური საშუალება).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაისმის კითხვა: სად არის ტრანსლაციის ადგილი — მორფოლოგიასა თუ სინტაქსში?

თუ დავუშვებთ, რომ ტრანსლაციის შემთხვევაში მოცემული სიტყვა იცვლის ფუნქციას, რომელ მეტყველების ნაწილს უნდა მივაკუთვნოთ ტრანსლირებული ვარიანტი? მაგალითად, ზემომოყვანილ წინადაღებში („მე გათამამებული ვარ **ლამაზებისაგან**“) დადასტურებული სიტყვა-ფორმა „**ლამაზებისაგან**“ ზედსართავ სახელად უნდა განვიხილოთ თუ არსებითად?

ამ და ტრანსლირებულ ფორმათა შესწავლისას გამოკვეთილ კიდევ რამდენიმე სხვა საკითხს ვრცლად გავაანალიზებთ მოხსენებაში.

Лариса Тупцокова

О некоторых глагольных частицах адыгейского языка

Глагольные частицы адыгейского языка не являлись предметом специального монографического исследования. Этому вопросу уделялось внимание, например, в некоторых научных исследованиях и статьях З.И. Керашевой, М.А.Кумахова, Б.М. Берсирова, в «Грамматике адыгейского языка» Г.В. Рогава и З.И. Керашевой... Однако, по сей день остается целый ряд нерешенных вопросов по изучению глагольных частиц.

Так, нет единого мнения ученых – языковедов и в самом их определении. М.А. Кумахов выделяет их как **глагольные суффиксы**. Глагольные суффиксы, хотя многие из них непродуктивны или малопродуктивны, разнообразны в функциональном отношении (с. 245). Другие авторы (Г.В Рогава и З.И. Керашева в «Грамматике адыгейского языка») называют их **глагольными частицами**. Здесь дается наиболее полная характеристика функциональных особенностей глагольных частиц и описываются их словоизменительные способности. Г.В. Рогава и З. И. Керашева в своей грамматике коснулись не всех глагольных частиц адыгейского языка, а также вопроса их продуктивности. Там же авторы рассматривают именные частицы **-гъуай (-гъей), -гъош1у (-гъуаф1з), -к1ай (-к1ей)** и др.

Нужно отметить семантически важную особенность глагольных частиц – их связь с категорией модальности, то есть, выражения эмоциональной оценки говорящего к объективной действительности.

Глагольные частицы, не выделенные в литературе, можно разделить на три группы.

1) Фонетические варианты рассмотренных глагольных частиц:

-х-: *сыуук1ыгъа-x* «ты меня уже убил» (Нэмэйк1 къыхэмыйгъэхъажьми сыуук1ыгъах, Зура. «Если даже не добавишь еще чего-то, ты и так меня уже убил, Зура.» (Ю.Т.). Имеет значение завершенности. М.А Кумахов определяет **-х-** как суффикс глагола.

-к1аe-: *иши1угъо-k1ae-u* «довольно зажиточно» (Василь ятэ иунагъю иш1угъоk1aeу псэущтыгъэ. «Семья отца Василя жила довольно зажиточно» (Т.К.). Имеет увеличительную (амплификативную) функцию. Г.В. Рогава и З.И. Керашева включают **-к1ай-** в глагольные частицы.

-го-: *ыш1э-го-рэн* «пока не знает» (Джыри ешак1э ыш1эгорэн. «Он пока не знает, как надо удить» (Т.К.). Ограничительная функция «пока» (ограничивает продолжительность действия финитного глагола).

-къу-: *сыхэу-къу-агъ* « я ошибся» (Аш нахъ ш1у1у1ок1э сыпщыгугъыщтыгъ, ау сыхэукъуагъ. «Я надеялся, что ты будешь лучше, но я ошибся» (Ю.Т.). Показывает ошибочность, неудачность характера действия.

2) Глагольные частицы с отличной семантикой:

-хэ-: *үфэя-хэ-p* «ты совершенно не хочешь». (... О уафэулэуныр уик1ас, ау уиныбджэгъу горэ бгъэулэунк1э үфэяхэн. « Ты любишь для них хлопотать, но совершенно не хочешь беспокоить кого-нибудь из друзей (Ю.Т.)». Имеет значение категоричности, оттенок несогласия.

-к1ы-: *хэлъэцы-к1ы* «он прихрамывает». (Ныом ыльэгъурэр к1элэ ишыгъ, лъэпэ-льаг, к1опц1э нэгу, костюм ч1ыпц1э щыгъ, 1элзэныкъомк1э чемоданыр ы1ыгъ, адрэ 1эм плащ п1уак1эр едзэктыв, къыхэмыйшыпзу, ау гуфапльэу, усплыпэмэ хэвш1ык1эу хэлъэцык1ы. «Старушка видит подтянутого молодого человека, стройного, смуглолицего, одет в темный костюм, в одной руке держит чемодан, через другую перекинут черный плащ, едва заметно, но присмотревши видно, что он заметно прихрамывает (Т.К.). Некоторые глагольные основы на **к1ы** (*ик1ын*, *хэк1ын*) потеряли свое первоначальное значение глагола и выполняют функции частиц.

3) Нововыявленные глагольные частицы:

-ие-, -ые-, -ия-: *и1эн-ие-ба* «есть же», *агъэши1эгъон -ые-p* «не удивились бы», *ицысэбгъэлъэгъун-ия* «ты мне там разве показал бы» (Гъунэ горэ и1энниеба, мазэ мэхъушь гъогум сытет. «Есть же какой-то предел этому, уже месяц, как я на дороге» (Ю.Т.).

-я-: *пльэк1ынхэ-* я «ну разве ты смог бы» (Ау мош фэдэ унагъом щебгъэ1эзэнхэ пльэк1ынхэ! - уцыр щытзэ къошыным игъухъажьыгъ.

«Ну разве ты смог бы в такой семье ее лечить! – стоя в кувшине растение завяло» (Т.К.). Оттенок сожаления.

-а: **сытебгъэтысхъана** «ты разве посадишь меня на коня» (- Адэ шым сыртбгъэтысхъана? – ы1уагъ к1алэм. «Ты разве посадишь меня на коня? – сказал парень» (Адыгские сказки).

როსტომ ფარეული ძე

შედარებითი „ბრუნვის“ საკითხისათვის ჩეჩენურში

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით ჩეჩენურში გამოყოფილია რვა ბრუნვა: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, ერგატივი, თანაობითი, განმსჭვალვითი, შედარებითი და მიმართულებითი (პ. უსლარი, ღ. იმნაიშვილი, ი. იაკოვლევი, ი. დეშერიევი...).

ამ ბრუნვათაგან პირველი ოთხი მიჩნეულია ძირითად ბრუნვად, დანარჩენი ოთხი კი — თანდებულიანად. ძირითადი ბრუნვები გამოხატავენ სინტაქსურ ურთიერთობებს, თანდებულიანები სივრცობრივი ურთიერთობების გამომხატველი ბრუნვებია.

ჩვენი აზრით, ე. წ. შედარებითი არ წარმოადგენს ბრუნვის ფორმას. იგი გამოხატავს საგნის სხვა საგანთან ტოლობას ან მეტნაკლებობას და იწარმოება **-ლ** ფორმანტით. მაგ.:

სახ. გოვრ „ცხენი“

შედ. გოვრ-ა-ლ „ცხენისოდენა“, „ცხენზე“ (მეტი ან ნაკლები)

სახ. ჩიმ „ფიფქი“, „ფერფლი“

შედ. ჩიმ-ა-ლ „ფიფქისოდენა“, „ფერფლისოდენა“, „ფიფქზე“ (მეტი ან ნაკლები), „ფერფლზე“ (მეტი ან ნაკლები)...

სახელის ამ ფორმას აქვს **(ა)ლლა** ალომორფიც, რომელსაც ტოლობის აღნიშვნის ფუნქცია აქვს.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, **-ლ** ფორმანტის ფუნქცია არის შედარების გამოხატვა, იგი წარმოქმნის ელემენტია და თანდებულებთან კაშშირი არა აქვს.

მაშასადამე, ჩეჩენურში შედარებითი „ბრუნვის“ ფორმა ბრუნვას არ წარმოადგენს, იგი ამოსაღებია ბრუნვათა პარადიგმიდან.

ნათელი ფარტენაძე

შავშურის სინტაქსურ თავისებურებათა შესახებ

შავშური მეტყველება მეტად სინტაქსო სურათს იძლევა სინტაქსური თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით ეხება მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობასა და ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეწყობის საკითხებს, თუმცა არც ქვემდებარისა და დამატება-ობიექტების სინტაქსური კონსტრუქციებია უმნიშვნელო, ამ კუთხითაც საკმაოდ სინტაქსო სურათი იკვეთება.

1. **მსაზღვრელ-საზღვრული.** შავშური მეტყველებისთვის ძირითად დამახასიათებელია მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური წყობა. ატრიბუტულ მსაზღვრელად **არსებითი სახელი** იშვიათად გვხვდება:

ზედართავი სახელი ხშირად ფუძის სახითაა წარმოდგენილი როგორც სახელობით, ასევე მოთხრობითსა და ნათესაობით ბრუნვებში:

„თუ **კოჭლ თემური** არა მოსქოვიც ოსმალუსა იყო“; „გოგოვ, გოგოვ ფაციავ **ახალ კაბა** გაცია“; „ელაპარაკა იმან **დიდ ვინცხამა** უთხრა ქი გოუშვითო“; „**ძველი ინსებმა** იცოდნენ ბათუმი, ჩევიდოდნენ, მევიდოდნენ“; „**ძველ მუხტის** ქალია, ის ალაპარაკეთ ახლა, ჩემიდან გეყოფიან“...

გვაქვს პირდაპირი წყობის ისეთი შემთხვევები, როცა მიცემით ბრუნვაში ფუძის სახით წარმოდგენილ მსაზღვრელს საზღვრული ყოველთვის ფუძის სახით ეწყობა:

„**ჩვენებურ კაც** უთქვამს, რაზე მიეცი ქალიო?“; „**მუხის რკო** მაგარია, ისაც მაგარია, იხლამული, **ყვითელ ჩიჩეგ** ისხამს“; „ერქექალი ცოტა დიდუანი არიან, ის ჰაზირ **მარტივ თაფლ** ჭამს“...

იგივე სურათი გვაქვს **რიცხვითი სახელით** გადმოცემულ მსაზღვრელთან:

„ესკობარს ეტყვიან, **ორ წელწად** ესკერი ვიყავ, ჯარი-გია?“;
„**თხუთმეტ დღე** დადგებოდა, ჰამა ისა ადგა ახლა“...

გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც მიცემით ბრუნვაში მდგარი მსაზღვრელი საზღვრულს ნაწილობრივ ეთანხმება:

„ამ დრო, ანი, ერთი ლიტრა ძეს ამ დრო იმდენი ქი ყაშული, კოვზი იანი მაწონში ჩადევ, ამეიღე, შაყენებ, იანი“...

გვხვდება თავისებური შეწყობის შემთხვევაც, მიცემით ბრუნვაში, როცა მსაზღვრელი უნდა იყოს წარმოდგენილი ფუძის სახით და საზღვრული ირთავდეს ბრუნვის ნიშანს, შავშურში პირიქით გვხვდება, გაურკვეველი რაოდენობის აღმნიშვნელი მსაზღვრელი დაირთავს ბრუნვის ნიშანს, საზღვრული კი ფუძის სახითაა: „უცოცხლიან ბევრს ხალხ აქ“...

ნაცვალხახელთავან ატრიბუტულ მსაზღვრელად ხშირად გვხვდება კუთვნილებითი ნაცვალსახელები. შავშურში პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელები (როგორც მხოლობითი, ასევე მრავლობითი რიცხვის) სახელობით, მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვაში თითქმის არ დაირთავს ბრუნვის ნიშანს, ის ძირითადად ფუძის სახითაა წარმოდგენილი. კერძოდ:

„ოთუზბეშ თანე ჩუჯუღლარ აკითხვინა **ჩემ კაცშა**“; „ერთი მოგვქებნა ფასაფორთით, **ჩემ სიძემ** მოძებნა, ორ-სამი წელია“...

არის შემთხვევა, როდესაც კუთვნილებითი ნაცვალსახელი მოთხრობით ბრუნვაში გაფორმებულია სახელობითი ბრუნვის ნიშნით.

„**ჩემი ბაბოძა** იმიყვანა, ავათ ვიყავი“...

შეიძლება ორივე ნაწილი ფუძის სახით იყოს წარმოდგენილი:

„ახლა ხარები მარტო **ჩემ სიმამრ ყავს**“; „**ჩემ მამამთილ** ქალი ყავდა, გადმოდიან, გაქუცვენ და წადიან“...

ინკრისიული წყობა გაცილებით ნაკლებია, ისიც იმ შემთხვევაში, როცა მსაზღვრელი რიცხვითი სახელია:

„**შვილი ოთხი** თანე მყავს“; „ხევწურული ანაი მყავს, **ძმა ერთი თანე**“...

სუბსტანტიური მსაზღვრელი. შავშურ მეტყველებაში სუბსტანტიური მსაზღვრელი უმეტესად პრეპოზიციურია. ხშირია სუბსტანტიური მსაზღვრელი ბრუნვის ნიშნის თანხმოვანდაკარგული ფორმით შეწყობა სახელობით ბრუნვაში მდგარ საზღვრულთან:

„ვერ მევგონე დიდ სახლი, **კლდი თავი**“; „ლობიო არის აგარულაი, **ხაშრი ლობიო**“...

ასეთი ფორმების გვერდით გვხვდება ფუძის სახით წარმოდგენილი სუბსტანტიური მსაზღვრელიც: „არა აქ, არა **სიმინდ კოტორი**“...

იშვიათია პირუკუ შემთხვევები, როცა მიცემით ბრუნვაში მსა-ზღვრელი სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშანს, მაგრამ საზღვრულია ფუძის სახით წარმოდგენილი:

„ყრალი სული უდის ანწლის ფურცელ“...

ინვერსიული წყობა უმეტესად გვაქვს მაშინ, როცა საზღვრული შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია:

„კახიძები ნათესავია ჩემი“; „ჩვენი ციხეა ბაზგირეთისა“ ...

2. ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმება

შემასმენელი მრავლობითშია ქვემდებარესთან ისეთ შემთხვევებში, სადაც უნდა ყოფილიყო მხოლობითში და პირიქით, მხოლობით-შია, როცა უნდა შეწყობოდა მრავლობითის ფორმით:

„ჩემი სიმამრი ახლა იზმით არიან“... „ქერი, ბუდღა-ფურნესი ქი აცხობენ, თეთრი, წითელიც არიან“... „აქ არგინ არ დარჩებიან“; „არავინ არ არიან იქა ახლა“... „ხალხი ვინ არიან ეს კიდი იქა?“; „ჯიბის თერეფის მაყარი ფულს გადააყრიან“... „აქ თელი გურგი არიან“; „ესკი მილეთი არიან, თელი კაი არიან“. „თურქეთში ბევრი ხალხი ცხოვრობენ“; „ბევრი ხალხი მეიყრებიან“... „ბევრი გადმო-ვდენ, თაქსი ქვეშეშეთში გადახტა, ამავყვანეთ“; „ხუთი კომლი რჩე-ბიან, ბევრი წადიან“... „წადიან რძალ-შვილი“; „დედამთილ-მამა-თილ არ ყავს, მემიკდენ“... „თქვენში ჰასტნები არის?“; „იქიდან გადმოვდოდა ბულები დეიჭედებოდნენ მიერევოდა, შევდოდენ მო-რევში“...

3. ქვემდებარის ბრუნვები. იცის' ზნასთან ქვემდებარე გვხვდება სახელობით ბრუნვაში: „ხოჯა (=ხოჯამ) იცის გურჯული...“. ხშირია გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარის ერგატიული კონსტრუქცია: „დათვება და გელეგბა მეერივნენ...“; „დოუშტვინეთ, უკან მეიქცა ხოჯამა“... დატიურ კონსტრუქციებში ქვემდებარე უმეტესად ფუძის სახითაა წარმოდგენილი: „ერთი მერიემად ყოფილა, დათვ მუტა-რავს და ბაღვი ყოლია...“; „დედაბრებ უთქმიან, ბაბოი გვყავდა იქა, მომკდარა იქ“... პირდაპირი დამატება პირველ სერიაში ნაცვლად მი-ცემითი ბრუნვისა გვხვდება სახელობითი ბრუნვის ფორმით ან ფუ-ძის სახით. ირიბი დამატება კი უმეტესად ფუძის სახით: „შორვებში კაგალ არ გუურევთ...“; „მარტო ყართოვ ვთესავთ, სიმინდ არ

ვთესავთ, წამალი არ გვაქ...“; „იმა არაფერი არ ქვია, იმა **სუკი** ეტყვიან...“; „კაცები ფული გაყრიან, წევლენ...“; „თქვენ ჭამთ ღორი ხორცი?...“; „მე ველაპარიკებოდი ჩემ დედამთილ, მამამთილ...“; „ქათამ რას ეტყვით, ქათამ?!... ასევე გვხვდება უბრალო დაძტების თანდებულიან ფორმათა მონაცელეობა: „კროჭებში, ქილიკებში კოლოფებ აკეთებენ **შეშიდან**“; „დათვიდან ეშინია, გაქცევა უნდოდა, და ვერ წასულა“...

ნათია ფონიავა

თანხმოვანთკომპლექსები აბაზურ ზმნურ ძირებში

აბაზურ ზმნურ ძირებში რეალიზებულ თანხმოვანთკომპლექსებს განვიხილავთ სინქრონიული ასპექტით. მასალა მოვიძიეთ ვ. ტუგოვის რედაქტორობით გამოცემული „აბაზურ-რუსული ლექსიკონიდან“.

მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ერთი მორფემის ფარგლებში აბაზურ ზმნურ ძირებში გვხვდება სამწევრა (ა-ლა-რგ-ჩხახ-რა „დახვევა“) და ოთხწევრა (ა-ქ-თშათშ-რა „თუხთუხი“) ბევრათმიმდევრობებიც, მაგრამ ყველაზე გავრცელებულია ორსევგენტიანი კომპლექსები.

აბაზურ ზმნურ ძირებში, დისტრიბუციული თვალსაზრისით, გამოიყოფა ანლაუტის, აუსლაუტისა და ინტერვოკალური პოზიციის თანხმოვანთკომპლექსები.

აბაზურში გვხვდება ოდენ თანხმოვნებისგან შემდგარი ზმნური ძირებიც. მათში შედის როგორც იდენტურფონემიანი (ა-ლ-ჯვა-შა-რა „გარეცხვა“), ისე არაიდუნტურფონემიანი ბევრათმიმდევრობები (წა-ფყ-რა „რაღაცის ძირში მოჭრა“), თუმცა მათი ნაწილი მიღებულია **CVC** სტრუქტურის ძირთა ინლაუტის ხმოვნის რელუქციით (**ფჲ-რა „ჭმუჭნა“** (შდრ. აფხ. ა-ფჲ-რა „id“)).

იდენტურთანხმოვნიან ძირებში არ მონაწილეობენ სონორები და სონანტები.

ანლაუტშიც, იდენტურფონემიანი ჯგუფების გარდა, წარმოდგენილია არაიდენტურფონემიანი ჯგუფები, რომლებიც ქმნიან ჰარმონიულ (აბა-რ-ფხა-რა „ერთმანეთის გათბობა“) და არაპარმონიულ თანხმოვანთკომპლექსებს (პ-ლა-ქშა-რა „ცემა რაღაცით“).

აბაზურიც, აფხაზურის მსგავსად, უპირატესობას ანიჭებს თანხმოვანთა დეცესიურ შეერთებას.

აბაზურ ზმნურ ძირებში ბგერათკომპლექსები ყველაზე გავრცელებულია ანლაუტში, შედარებით ნაკლებად ინლაუტშა და აუსლაუტში. სამივე პოზიციის თანხმოვნთკომპლექსების დაწვრილებითი ანალიზი მოხსენებაში იქნება წარმოდგენილი.

ჭაბუკი ქირია

მყოფადის წრე ლაზურში

1. მეგრულში, ქართულის ანალოგიურად, პირველი სერიის ზმნური ფორმებისთვის გამოყოფენ ორ წრეს: აწმყოსა და მყოფადის.

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით ლაზური მყოფადი კავშირებითი მეორისგან -რე ან **მინონგინონჟნონ** ელემენტების დართვით ნაწიარმოები ნაკვთია: **ბჟარარებარამინონ...** „დავწერ“

ამავე დროს შენიშნულია, რომ პროდუქტიულია **აწმყოზმნის-წინი** წარმოება მყოფადის გამოსახატავად, თუმცა ამ გარემოებას ყურადღება არ ექცევა პარადიგმების წარმოდგენისას, რაც ჩვენი აზრით, არ არის ლოგიკური: **თუ გვაქვს ფორმა, ამ ფორმას სათანადო ადგილი უნდა მივუჩინოთ სისტემაში.** ჩვენთვის **მყოფადის ნაკვთია ზმნისწინიაწმყო** (დოპჭარუმ „დავწერ“), ხოლო **ბჟარარებჟარამინონ** მოდალურელემენტიანი კავშირებითი მეორეა (იმასთან დაკავშირებით იხ. ჩვენი: მყოფადის ნაკვთის სტატუსისათვის ლაზურში (ჭანურში), საენათმეცნიერო ძიებანი, XII, თბ. 2002).

2. ლაზურში უნდა გამოიყოს **მყოფადის ხოლმეობითის ნაკვთიც**, — იმავე მარტივი მიზეზის გამო: **გვაქვს სათანადო ფორმები**

(წარმოების მექანიზმი აქაც ქართულისა და მეგრულის ანალოგიურია — **ზენისწინი+ უწყვეტელი**), მაგ.:

...ნე ვით მანათი **გომლინუბტი** (ჩიქ., I, 950); „არც ათ მანეთს
დაგუარგავდი“;

ჭიტა ენვერიქ ბითთუმ კახი-ნა ძატუ, ნენა **გამანთხიბტუ**, თო-
ლევა **გამუგზაპტუ** და ოწერტუ (ჩიქ., I, 486)

„პატარა ენგური ყოველთვის კაცს რომ ნახავდა, ენას გამოუყოფდა, თვალებს გადმოკარგდა („გამოუწოდა“) და უყურებდა“;

დოიურატიკონი... ექვერდუტუ დო მელაბტუ (ჩიქ., I, 444); „რომ დაგეყვირა, შეშინდებოდა და ჩამოვარდებოდა . . .

3. ქართულისა და მეგრულის ანალოგიურია ვითარება **ბეჭყა-დის კავშირებითთან** დაკავშირებითაც, მაგ.:

ჩქინ-თი დიხა მო **მეფებრათ** ფარაონ (ყიფშ., 6); „ჩვენც მიწას
ნუ მივყიდიდეთ (მივყიდოთ)“;

ჩქინ ვარ გამაფეხათ-ში, ჩქინი დიხაშა დერიშა თურქი ვარ მულუნ დო ჩქინ-თი დიხა მო **მეცნაფტათ** ფარათე! (ყიფშ., 6); „ჩვენ თუ არ გავყიდით, ჩვენს მიწაზე, ჩვენს აღიიღებზე თურქი არ მოვა, და ჩვენკ მიწას ნუ გავყიდიდეთ“ (ნუ მივცემდეთ ფულით)“;

სი მო **გაშეურინეტას**, დივის ჩქიმდე მუთ ვარ ახენენ (დიუმეზ., 64); „შენ ნუ შეგიშინდებოდეს, დივი მე კირათერს მიზამს“;

მთელ კონტინენტზე ჰქონდან პაქ რეიბლანდ, არ-თელ ოხორ-მუშის მოდოსექიდუტაზ-ია (ღიუმეზ., 72); „ყველა კაცი ხვალ აქ შეიყაროს, ერთიან კი თავის სახლში არ დარჩებოდეს“;

4. ልაክሬሽ ደሳታቻዎች በመግኘፅ የሚከተሉ ነው፡፡

ემ ვახთის მან ოკითხუ დო ოჭარუ **ქომიჩქუტუკონი**, ნე ვით მა-ნათი გომდინუპტი დო ბაშფორთი-თი ორდო დოვიტებტი (ჩიქ., I, 95); „მაშინ მე რომ წერა და კითხვა მცოდნოდა, არც ათ მანეთს დავყარგვავდი და პასპორტსაც მალე ავილებდი („გაგეოთებდი“).“

უთოლე ქოჩიქ თქვერებ: „არ თოლი კომილუტუკოდა“-ში, ღორმოთიქ სუმ ქომუტუში, ვართი ხვამუ (ხალხ. 252); „უსინათლო (უთვალო) კაცს უთქვამს: ერთი თვალი მქონოდათ და ომერთმა სამირომ მისკვა, არც დალოკვა“.

დუნდას მუთ ვარ მინონ, ბერე-ჩქიმი ტახტი-ჩქიმიზ ნა გელახედა-სენ **ქომეჩქიტუკო**-მა (დიუმეზ., 40); „ამქვეყნად ორაფერი მინდა, ჩე-მი შვილი ჩემს ტახტზე რომ მცოდნოდაო“;

ამგვარად, **მყოფადის წრის ნაკვთები არა მხოლოდ ქართულსა და მეგრულში, არამედ ლაზურშიც დასტურდება.**

ლაზური ზმნის ფორმათა პარადიგმაში წარმოსადგენია **მყოფა-დის პირობითის** ნაკვთიც, რაც აქამდე მხოლოდ მეგრულის სპეცი-ფიკად მიიჩნეოდა.

ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი

**შრავალგზისობის გამოხატვა თანამედროვე ქართულში
(კ. გამსახურდიასა და მ. ჯავახიშვილის პროზის
მიხედვით)**

ქველი ქართულისაგან განსხვავებით, თანამედროვე ქართულში არ არსებობს მრავალგზისობის მორფოლოგიური გამოხატვა, მრა-ვალგზისობა ძირითად აღწერითად გამოიხატება: ხოლმე, მრავალ-გზის, მუდამ და ა. შ. ლექსიკური ერთეულების მეშვეობით.

საანალიზო მასალად შევარჩიეთ კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, „ხოგაის მინდია“ და მ. ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“ იმიტომ, რომ ამ ნაწარმოებებში მოქმედება ხდება იმ ენობრივ არე-ალში, სადაც მრავალგზისობა გამოიხატება მორფოლოგიურად. ღვა-ინტერესებს, თუ გამოიყენებენ ავტორები ხოლმეობითის არქაულ ან დიალექტურ ფორმებს მრავალგზისობის გამოსახატავად.

კ. გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენასა“ და „ხოგაის მინდია-ში“ ძირითადად აღწერით წარმოებას მიმართავს. მრავალგზისობა, უმეტეს შემთხვევაში, „ხოლმე“ ნაწილაკის მეშვეობით გამოიხატება, რომელიც ძირითადად აწყობს, უწყვეტლისა და | თურმეობითის ფორმებს დაერთვის:

„დიდოსტატის მარჯვენა“:

აწევო:

„ცხენი გულთმისანია, მხედრის განწყობილებას **შეიცნობს ხოლმე** წინასწარ“.

უწყვეტელი:

„ამას **ეტყოდა ხოლმე** ზვიადს: შენმა მსტოვრებმა თუ მუდამ მართალი თქვეს, შიმშილისაგან ამოსწყდებიანო უცილოდ“.

I თურქმეობითი:

„აღმოსავლეთისკენ გადალალა ორუბლები, შემოდგომის ცა მოიწმინდა და ისეთი კაშკაშა მთვარე დაადგა სვეტიცხოველს, როგორც **მინახავს ხოლმე**“.

მრავალგზისობა გამოიხატება ლექსიკური ერთეულით — „**მრავალგზის**“.

„ზვიადი სარკინოზებთან ნაბრძოლი იყო **მრავალგზის**“.

ზოგჯერ ზემოაღნიშნულ თხზულებებში მრავალგზისობა გამოხატულია უწყვეტლის მწკრივის მეშვეობით:

„დამდნარ ერბოში **დაგცურავდით** და ქერის ლუდით **ვიჰყიბებოდით**“.

„ხოგაის მინდიასა“ და „თეთრ საყელოში“ მწერლებს შესაძლოა გამოყენებინათ ხოლმეობითის მწკრივები ხევსურული მეტყველების ილუზის შესაქმნელად. კ. გამსახურდიამ „ხოგაის მინდიაში“ გამოიყენა აწმყოს ხოლმეობითის „**არნ**“ ფორმა, მაგრამ ასეთი ფორმები არ გვხვდება ხევსურულ დიალექტში:

„ქისტები რათ **არნ** უსჯულო, დედი, სრუ ყველას თავსი რჯული აქვ“.

მ. ჯავახიშვილმა „თეთრ საყელოში“ რამდენიმე შემთხვევაში გამოიყენა ॥ ხოლმეობითის მწკრივის ფორმები:

„ერთხელ კიდევ მოვიხედე. კოშკის თავზე მთვარე **ამოვიდის**“.

ამ შემთხვევაში, ბუნებრივი იქნებოდა, მწერალს ॥ თურმეობითის მწკრივი გამოყენებინა — „**ამოსულიყო**“. ზმნა „**ამოვიდის**“ არასწორადაა გამოყენებული — ამ შემთხვევაში შინაარსობრივად მრავალგზისობა არ იგულისხმება.

ნატო შავრეშიანი, მედეა საღლიანი

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებისათვის სვანურში

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, როგორც ცნობილია, რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს ანუ განსაზღვრავს მთავარ წინადადებაში სახელით გამოხატულ წევრს, ან გადმოგვცემს აღნიშნულ წევრთან განსაზღვრებად დაკავშირებული მისათითებელი ნაცვალსახელის კონკრეტულ შინაარს.

ქართველურ ენებში განსახილველი დამოკიდებული წინადადება არაერთგვაროვან სურათს გვიჩვენებს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად „ჭანურისათვის უჩვეულოა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება“, რაც არნ. ჩიქობავს აზრით სავსებით გასაგებია, ვინაიდან „რომელიც“ სიტყვით დაკავშირებული წინადადება ქართულშიც წიგნური წარმოშობისაა და ხალხურ მეტყველებას არ ახასიათებს. ჩვენი დაკავირვებით, ნაწილობრივ მსგავსი ვითარებაა სვანურშიც, თუმცა ამ მხრივ ზემოსვანურსა და ქვემოსვანურ დიალექტებს შორისაც არსებითი სხვაობა შეინიშნება.

როგორც მრავალფეროვან სვანურ დიალექტოლოგიურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ქვემოსვანური დიალექტები, ზემოსვანური დიალექტებისაგან განსხვავებით, განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელის გამოყენებას ანიჭებენ უპირატესობას. განსხვავებაა თვით ზემოსვანურ დიალექტებს შორისაც. უნდა ითქვას, რომ **ხედუშა** „რომელიც“ წევრ-კავშირის გამოყენებას დამოკიდებულ წინადადებაში ბალსქემოური აშკარად თავს არიდებს (იშვიათად გამოყენებისას კი უნაწილაკოდ გამოხატავს მიმართებითობას), რითაც იგი მქვეთრად ემიჯნება სხვა დიალექტებს, მათ შორის ჩოლურულსაც, სადაც დასახელებული წევრ-კავშირი გაბატონებულია. მაგ.:

მი ეჭკელიბ ჭაშ მირდა, **ხედი** სამ ზაურ ხეჭუეს ერე უ'ოხტინგლოტა (ბქ.), „მე ისეთი მეუღლე მყავდა, რომელიც სამი წელი უნდა ვიგლოვო („მე ის-ყალიბ-ი კაც-ი მყავდა, რომელიც სამ წელს უნდა რომ მო-ვი-გლ-ოვ-ო“)…

ბალსქვემოურ დიალექტში აღნიშნული ჰიპოტაქსური წინადაღებები ან უკავშიროდ გვევლინება, ან სხვა მიმართებითი ნაცვალ-სახელები (ესტუ, ერუ, მა „რომელიც“ და ა.შ.) ენაცვლება. მაგ.:

არდახ ეშხუ მეჩი ეხტ-ჭაჭშ, **ხედუბას** მინე ბედუი მადლმა ხებადაუნდახ ეშხუ ქათალსერ (ლნტ., სვან. ქრესტ., 328:34-35) „იყვნენ ერთი მოხუცი ცოლქმარი, რომელთაც არაფერი ებადათ ერთი ქათმის მეტი („იყვნენ ერთი ცოლქმარი, რომელსაც მათ **ბედ-ზე** არაფერი ე-ბად-ა-თ ერთი **ქათმ-რის** მეტი“)

შდრ. ბქ. არდახ ეშხუ მეჩი ხეხტ-ჭაჭშ, **ესტუს** მამაგუეშ ხაბადგნდახ ეშხუ ქათალგნქა „იყვნენ ერთი მოხუცი ცოლქმარი, რომელთაც არაფერი ებადათ ერთი ქათმის გარდა („იყვნენ ერთი მოხუცი ცოლქმარი, ვისაც არასაქმე ე-ბად-ა-თ ერთი **ქათმ-რის** გარდა“)

ლიმზგრ ჩუ ხედუბაში ეჯ მეზგა, **ხედუბა** მეზგაისგა ზურალ ჩუ ილტუბლ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 38:24-25) „ლოცვა ჩაეშლება ხოლმე იმ ოჯახს, რომელ ოჯახშიც ქალი იმშობიარებს („ლოცვა **და-უ-შავ-დ-ება** იმ მოსახლეს, რომელ მოსახლეში^წ ქალი იმშობიარებს“)

შდრ. ბქ. ლიმზგრ ჩუ ხედუბაში ეჯ მეზგა, **მა** მეზგაისგა ზურალ ჩუ ილტუბლ (ბქ.) „ლოცვა ჩაეშლება ხოლმე იმ ოჯახს, რომელ ოჯახშიც ქალი იმშობიარებს („ლოცვა **და-უ-შავ-დ-ებ-ა** იმ მოსახლეს, რა მოსახლეში^წ ქალი იმშობიარებს“) და სხვ.

მოხსენებაში სრულად იქნება განხილული განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადაღების კავშირები თუ წევრ-კავშირები, აგრეთვე, მთავარი და დამოკიდებული წინადაღებების განლაგების (კომბინირებისა და ჩართვის) სახეები სვანურის ყველა დიალექტის (მათ შორის ჩოლურული მეტყველებისა და ლახამულური კილოკავის) მონაცემთა გათვალისწინებით.

**ოლარამ სიტყვის წარმომავლობისათვის
მეგრულში**

მეგრულში დასტურდება ლექსიკური ერთეული თლარამ „სანტიმეტრი, საზომი“ (პ. ჭარაია). მოცემული სიტყვა ნაწარმოებია ლარ- ფუძისაგან, რომელიც ქართულის მსგავსად, მეგრულშიც გავრცელებულია: მეგრ. ლარ-ი „ლარი, სიმი აბრეშუმისა; ნაქსოვი სარტყელი, ხვანჯარი“ (ა. ქობალია).

ლარ-ი იხმარება გადატანითი მნიშვნელობითაც — „სწორი“: ლარიგურა კოჩიე „ლარივით კაცია“ (ლარივით ტანი აქვს).

თლარამ დანიშნულების სახელი ჩანს, შეიძლება აღვადგინოთ ო- არ მაწარმოებელი, სადაც -არ სუფიქსისეული რ დაკარგული უნდა იყოს: *ო-ლარ-არ-.

საანალიზო ფუძის შემცველი ლექსიკური ერთეულები გვხვდება იდიომატურ გამოთქმაშიც: თლარადა || თლარა ნინა „გრძელი ენა“.

ლარ- ფუძე მონაწილეობს ზმნურ ფორმებშიც: მეგრ. ლარ-უა „გასწორება, გალარვა, ფიცრის გაწყობა, ბლანდგა“ (ა. ქობალია); ლარ-აფ-ა (გითო-ლარ-აფ-ა — სახელი გითაალარუ(6) ზმნისა - ჰეიდია) (ო. ჭავაია). ლარაფა ფორმა გვაქვს გადატანითი მნიშვნელობით: ლარაფა ნინაში „ბევრი, ზედმეტი ლაპარაკი“.

ლარ- ფუძისგან ნაწარმოები ჩანს ლარ-ა „სწორი, ვაკე ადგილი, გაშლილი სათიბი, კანაფის შვეულა კალატოზისა“ (ა. ქობალია).

ლარ- რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილია: ლარაკვაკვა — „ლარივით სწორი და კოხტა“ (ა. ქობალია) ← ლარ-ა „სწორი“ და კვაკვა „კოხტა“ ფორმებისაგან.

ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე. XLVIII-XL

LVIII. არნ. ჩიქობავამ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 1929 წელს. დაცვაზე მრავალი მეცნიერი გამოსულა სიტყვით, მათ შორის — პროფ. შ. ნუცუბიძე. მას მაღალი შეფასება მიუცია ნაშრომისათვის (განსაკუთრებით — მის თეორიულ ნაწილისათვის, რომელშიც კარგად ჩანს დისერტანტის განსწავლულობა ფილოსოფიასა და ფიქოლოგიაში) და, სხვათა შორის, უთქვაშს: პრობლემა, რომელშიც თქვენ ცხენით შემოჯირითდით... (ბ-ნი არნოლდის მიერ მოხმობილ საილუსტრაციო მასალაში **ცხენი** და **ირემი** იყო წარმოდგენილი).

არნ. ჩიქობავამ თხრობა ასე დაამთავრა: შალვა ნუცუბიძე ძალიან ნიჭიერი ადამიანი იყო, თვითონაც არ იცოდა, რამოდენა ნიჭის პატრონი იყოვთ...

LIX. 1935 წელს გამოვიდა არნ. ჩიქობავას „ზოგადი ენათმეცნიერება. I. პროპედევტიკული ნაწილი“, რომელსაც ავტორის წინასიტყვაობას წინ უძლვის „გამომცემლობის წინასიტყვაობა“ (უპრეცედენტო შემთხვევა წიგნის გამოცემის ისტორიაში), მისი ავტორები, ბუნებრივია, იყვნენ არა გამომცემლობის მუშაკები, არამედ — ე. წ. „წითელი პროფესურის“ კონკრეტული წარმომადგენლები...

შემდეგ მოწყობით წიგნის განხილვა, რომელსაც წარმართავდნენ კომპარტიისა და კომეკშირის აქტიური წარმომადგენლები. არნ. ჩიქობავას ბრალი დასდეს, რომ ის იყო „ბურუჟაზიული“ ინდოევროპეისტიკის წარმომადგენელი და ნ. მარის „მარქსისტული მოძღვრების“ მოწინააღმდეგე. ბ-ნ არნოლდს განხილვისას უთქვაშს, რომ ოთხელენტოვანი ანალიზი არ არის არც მეცნიერული და არც მარქსისტული. „წითელი პროფესურის“ ერთ-ერთ წარმომადგენელს უკითხავს: მაშტყუის გაზეთი „პრავდა“, როდესაც ნ. მარს გამოჩენილ საბჭოთა მარქსისტ მეცნიერს უწოდებსო? არნ. ჩიქობავას უბასუხებია: გაზეთი

„პრავდა“ კი არ ტყუის, არამედ ის, ვინც გაზეთის ამ გამონათქვამს არასწორ ინტერპრეტაციას აძლევსო...

ამ განხილვის შემდეგ ბ-ნ არნოლდს ქუჩაში შეხვედრია ერთი ახალგაზრდა მკვლევარი (ნ. მარის მომხრე) და მისთვის უთქვამს: რა უსამართლოდ მოგექცნენ, ბატონო არნოლდ, ძალიან ვწუხვარო... ბ-ნი არნოლდი: ჩემი სათქმელი მე იქ უკვე ვთქვი და ახალს ვერაფერს მოგახსენებო (ეტყობა აღნიშნულ პირს უნდოდა ბ-ნი არნოლდისა-თვის არამე დაეცდევინებინა).

ამ განხილვას შედეგად ის მოჰყვა, რომ არნ. ჩიქობავა გაათავისუფლეს უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობიდან, მაგრამ დაახლოებით ერთი თვის შემდეგ იღადგინეს, რაკი შეიტყვეს სტალინის უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ ნ. მარის პიროვნების მიმართ...

LX. 1950 წლის საენათმეცნიერო დისკუსიის შემდეგ, რომელ-შიც არნ. ჩიქობავას თვალსაზრისმა გაიმარჯვა, მას დაევალა ეხელმძღვანელა დისკუსიისათვის ფსიქოლოგიაში. როგორც ცნობილი ფსიქოლოგი ვ. ნორაკიძე იგონებს, არნ. ჩიქობავამ ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებს სთხოვა, წერილობით წარმოედგინათ თავიანთი თვალსაზრისები დ. უზნაძის განწყობის თეორიის შესახებ, რომ შემდგომ (დისკუსიის მსვლელობისას — კონიუნქტურის გავლენით) აზრი არ შეეცვალათ... დისკუსიაში არნ. ჩიქობავას წყალობით გაიმარჯვა საღმა აზრმა და განწყობის თეორია გადარჩა (მას „ბურუუზიულის“ იარლიყი მოეხსნა).

ამ დისკუსიაში ხელის შეშლა დიდი იყო, ბ-ნი არნოლდი დაუფარავდა ამხელდა იმ ადამიანებს, მათ შორის თანამდებობის — პირებსაც, რომლებიც დისკუსიის სწორი მიმართულებით წარმართვას ხელს უშლიდნენ. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ 1952 წელს არნ. ჩიქობავა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლეს...

სამედიცინო ლექსიკა ქართველურ ანთროპონიმიაში

ცალკეულ საგანთა, მოვლენათა, ცხოველთა, ფრინველთა, მცენარეთა, ნივთიერებათა, **ხელობა-საქმიანობათა** ან სოციალური ყოფის ამსახველი ლექსიკა, ჩვეულებრივ, ისტორიული დასაბამია ონომასტიკონისა. მთელ მსოფლიოში, თითქმის ყველა ერსა თუ ენაში, საზოგადო სახელი გაცილებით აღრე შეიქმნა, ვიდრე საკუთარი, ეს უკანასკნელი კი საფუძვლად დაედო აფიციალური გვარის წარმოშობას.

„გვარსახელი ადამიანის საკუთარი სახელის ისტორიული კატეგორია. მისი გრამატიკულ-სემანტიკური მოდელები საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურებს შეესაბამება. გვარსახელი თავად იძენს სოციალური მახასიათებლის ფუნქციას“ (შ. სურგულაძე, ჭ. ოდიშელი). მოსახლეობის ზრდა, ტომებს შორის ურთიერთობის გაცხოველება და ხალხის მრავალრიცხვან კოლექტივად ჩამოყალიბება აუცილებელს ხდიდა არა მარტო იმის ცოდნას, თუ რა პქვია ამა თუ იმ პირს, არამედ — რა **ხელობის კაცია** იგი, ვისი შთამომავლია, სადაურია ა. შ. ამრიგად, სახელის გვერდით გაჩნდა კიდევ მეორე, დამატებითი სახელი, რომელიც აზუსტებდა პიროვნების ვინაობას, მეტ ცნობებს იძლეოდა მასზე და თანაც ავდგილებდა ერთი სახელის მქონე პირების — სეხნიების გარჩევას. სწორედ ამ დამატებითი სახელისგან წარმოიშვა გვარი, როგორც პიროვნული სახელის თანმხლები, განუყრელი ნაწილი (ზ. ჭუმბურიძე).

„ქართველური ანთროპონიმიკა იმდენად სუსტადაა შესწავლილი, რომ ჯერ კიდევ ნაადრევია მის გენეზისასა და სპეციფიკურ ნიშნებზე მსჯელობა. ჩვენი ძველი, ქრისტიანობამდელი ანთროპონიმები ფრაგმენტულადაა შემონახული და არავის უცდია მათი ცოტად თუ ბევრად სრული ნომენკლატურის აღდგენა. **სრულიად გაუთვალისწინებელია საკუთარ სახელთა ხალხური ტრადიცია** და თვით ის მასალაც კი, რაც შედარებით მდიდრულადაა ასახული ძველ საისტორიო თხზულებებსა და სიგელ-გურებებში. ასე რომ, **ქართველური ანთროპონიმიკა არ სარგებლობის იმ ყურადღებით, რისი უეჭველი ღირსიც არის**“ — წერდა ალ. ღლონტი 1965 წელს. მას შემდეგ გავიდა თითქმის ნახევარი საუკუნე და, რაღა თქმა უნდა, რამდენადმე

შეიცვალა საქმის ვითარება: გამოქვეყნდა ცალკეული ლექსიკონები და გამოკვლევები ქართული, სვანური თუ მეგრული მასალების გათვალისწინებით. რაც შეეხება ლაზულს და ქართული ენის ისტორიულ ან თანამედროვე სამხრულ დიალექტებს, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ძალზე ცოტაა გაკეთებული; ხალხური სამედიცინო ტერმინოლოგიის კვლევის თვალსაზრისით კი ბოლო არეალში მხოლოდ სქემატურად გვაქვს შესწავლილი სამეცნიერო პრობლემები. ამიტომ ამჯერად ჩვენ დავინტერესდით იმ სამედიცინო ლექსიკით, რომელიც ქართველური ანთროპონიმიკის ერთ-ერთი კომპონენტი აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველოლოგთა უმრავლესობა მხარს უჭერს ოფიციალურ ქართულ გვართა შუასაუკუნეობრივ ისტორიას, ჯერ ერთი, „მატიანე ქართლისად“ VI-X საუკუნეებშიც წარმოგვიდგენს მათ (რომელთაგან ზოგი დღესაც იხმარება!), და მეორეც, როგორ შევუხამოთ გავრცლებულ თეორიას ისეთი სტრუქტურებით, რომელთა ფუძეები უთუოდ აღდგება საერთოქართველურ დონეზე, რადგანაც დღემდე ზუსტი ფონოლოგიური კანონზომიერებით გამოიჩინა. და ქართველურ ენათა კლასიკურ ბგერათშესატყვისობებს ამჟღავნებენ?

ქართული	მ-ჲედ-ლ-ი-ძე / მ-ჲედ-ლ-ი-შვ-ილ-ი / მ-ჲედ-ლ-ურ-ი
მეგრული	ჲკად-უ-ა
სვანური	მუ-შკუდ-ი-ან-ი ← მგ-შქად

ან კიდევ:

ქართული	კაც-ა-ძე / კაც-ი-ა-შვ-ი-ლი / კაც-ელ-ა-შვ-ი-ლი / კაც-ო-შვ-ი-ლი / კაც-ობ-ა-შვ-ი-ლი / კაც-იტ-ა-ძე / კაც-იტა-ც-შვ-ი-ლი
მეგრული	კოჩ-ია / კოშ-ია; კოჩ-ალ-ა-ძე / კოჩ-ალ-ი-ძე (აჭარა, მესხეთ-ჯავახეთი), კოჩ-უა-შვ-ილ-ი / კოჩ-ი-ა-შვ-ი-ლი / კორ-ჩ-ა-ძე / კოჩნ-ი-ძე (ტაო-კლარჯეთი)
სვანური	ჭუშ-ილ-იან-ი (XIII ს.) ← ჭაშ-ილ-იან-ი (?)

რასაკვირველია, უთუოდ მიგვითითებენ: პირველად საზოგადო სახელში (**კაც-ი, ჲკად-უ-ა,...**) გაჩნდა კანონზომიერი ფონემატშესატყვისობა, რომელიც შემდეგ აქვთან მექანიკურად გადავიდა ჯერ საკუთარ სახელში (**კაც-ა / კაც-ია, მ-ჲედ-ელ-ა,...**), მერე კი გვარშიო,

მაგრამ მხოლოდ ქართული სტრუქტურებიც რომ გვაჭვს მეგრული, ლაზური ან სვანური გრამატიკული ინვენტარით (შდრ. მეგრული ჰედ-ია, სვანური გაც-ან-ი...), და თანაც უძველეს გვარებში?! ყველაზე მეტად კი საინტერესოა კოც-ია-შვ-ილ-ი (ქართულ-მეგრული კონტა-მინირებული ფორმა?), რომელიც აშეარად ადასტურებს ქართველო-ლოგის ერთ-ერთ დებულებას იმის შესახებ, რომ კონსონანტური ბე-რადგადაწევები უფრო ძველი ეპოქისაა, ვიდრე ვოკალური, ე. წ. კოცი-აშვილზე უადრესია კოჩია „შვილი“.

მაშასადამე, აუცილებელია ფუძის ფონოლოგიური სტრუქტურის გათვალისწინება ანთროპონიმთა ისტორიის კვლევისას არა მხო-ლოდ ქართველურ ენებში, რასაც შესაბამის გამოკვლევებში (ლინ-გვისტთა თუ არალინგვისტთა) ვერ ვამჩნევთ! ძველი მასალების ამ თვალსაზრისით გადახედვაც კი, ვიქრობთ, უთუოდ შეგვაცვლევინებს აზრს ოფიციალურ გვართა გვიანდელი წარმომავლობის შესახებ.

რაც შეეხება სამედიცინო ტერმინოლოგის შემცველ ქართულ გვარებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი რაოდენობა საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება დანარჩენ პროფესიათა აღმნიშვნელი ფუქე-ბიდან მომდინარე გვარსახელებთან შედარებით, აქაც დაახლოებით იგივე სიტუაციაა: **გამოყოფა საში ძირითადი ფენა — ძველი** (მკურნალიძე, წამალაიძე / წამალაშვილი, მახლაური), **მოგვიანო ეპოქისა** (აქიმიშვილი / აქიმაძე) და **ახალი** (ექიმიშვილი, დოხტურიშვილი, ფერშანაშვილი).

სხვადასხვა დროს სამხრეთ საქართველოს მაღალ არისტოკრატიას წარმოადგენდნენ: მხარგრძელები, ორბელები, თორელები, ჯაყელები და **მანკაბერდელები**. ჩვენი ყურადღება მიიქცია ბოლო გვარ-მა თუ ზედწოდებამ, რომელიც შესაძლოა (ძალზე ფრთხილი ვარაუდის საფუძველზე!) კარაბადინის, ანუ სამკურნალო წიგნის მცოდნე საგვარეულოზე მიუთითებდეს (თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ **მანკაბერდი** ტოპონიმიც იყოს). გარკვეულ ფონეტიკურ გარდაქმნათა უწინარესობა-შემდგომადიბის პროცესი ასე წარმოგვიდგენა:

*მა-კარაბადინ-ე → *მა-კარაბადნ-ე → *მა-კარაბად-ე → *მა-კა-კარაბდ-ე → *კარებდ-ე → *მა-კაბერდ-ე → *მა-ნ-კაბერდ-ე → *მა-ნ-კა-ბერდ-ე+ელ-ი → მანკაბერდელი

მოსალოდნელია, რომ **უაში-არ-აშვილი / უაშიერაშვილი** და **უვავილაძე / უვავილაშვილი** სამედიცინო ლექსიკის ამსახველი გვარები იყოს (შდრ. **უაშ-ობ-ა „მომსვრელი სენი“, ნ. ჩუბინაშვილი; უუ-ავ-ილ-ი „სენია“, საბა**).

ვფიქრობთ, რომ **მახლაური** ← ***ჰა-ხალ-ა-ურ-ი**, რომლის ძირი დღემდე დაცული მეგრულ ლა-ხალ-ა / ლა-ხარ-ა ლექსიმაში, ავადმყოფობას რომ აღნიშნავს (შდრ. ქართული ენთროპონიმი ლა-ხურ-ა) და სვანური სტრუქტურის სიტყვაა.

ალბათ, ქართული **წამალაიძის** შესატყვისი უნდა იყოს სვანეთის საეკლესიო კრების „სულთა მატიანეს“ პალიმფსესტურ (XI ს.) მოსახენებელში დადასტურებული გვარი **ჭამ-არ-იან** (ვ. სილოვავა). თუ ეს ასეა, მაშინ სპეციალურ ლიტერატურაში (გ. როგავა) დღემდე არსებული ვარაუდი ქართული **წამ-ალ-** და სვანური **ჭემ-** („თივა“) ფუქტა ფონოლოგიური კავშირის შესახებ უნდა გადაისინჯოს, გაიხაზოს **წამ-** / **ჭამ-** ძირთა მიმართების საკითხი და საერთოქარველური ენის დონეზე უნდა აღდგეს არა **წემ-** ან **წამ-** / **ჭამ-** (გ. კლიმოვი) არქიფორმები, არამედ მხოლოდ **წამ.**

ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ კვლევას ამ მიმართულებით და შევეცდებით დავადასტუროთ „აქიმობის“ შესაბამისი ლექსიკა არა მხოლოდ ქართული, არმედ სვანური, მეგრული და ლაზური მასალების იხედვითაც, როგორც ანამედროვე, ისე ისტორიულ ჭრილში. რაც ერთობ რთული (არა მარტო ლინგვისტური) პრობლემების წინაშე გვაყენებს; სამაგიეროდ, მუშაობის პროცესში ძალას შეგვმატებს დიდებული სულხან-საბას განმარტება: „აქიმი სხუათა ენაა, ქართულად მკურნალი ჰქვიან, რომელიც სნეულთ მლხენელია“.

ი რ ი ნ ე ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, თ ა მ ა რ გ უ ჩ უ ა

მე-19 საუკუნის ქართულში არსებული

რუსიციზმების შესახებ

(მ. ჯავახიშვილის წერილების მიხედვით)

მე-17-18 საუკუნეებიდან საქართველოში განვითარებულ ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით იწყება რუსულ-ქართული კონტაქტების გააჭიურება, რამაც მე-19 საუკუნიდან, საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ, ბუნებრივია, ინტენსიური ხასიათი მიიღო. საქართველოში რუსული ენის ცოდნის აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა მთარგმნელობითი საქმიანობა, ორენოვანი ლექსიკონებისა და გრამატიკების შედგენის აუცილებლობა. რუსული ენის გავლენა საგრძნობი გახდა ქართული ენის ლექსიკაზე. ნასესხობებმა (რუსიციზმებმა) სალიტერატურო ენაშიც შემოაღწია, განსაკუთრებით გაიზარდა რუსულის გავლენა საბჭოთა პერიოდში, როდესაც ენობრივმა კონტაქტებმა ბილინგვური ხასიათი მიიღო. რუსული ლექსიკა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში შემოიჭრა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მღიდარი სამწერლობო ტრადიციების მქონე ქართულ ენაში ეს გავლენა სესხებისა და კალკირების ზღვარს არ გასცილებია.

ზემოაღნიშნულ ფაქტს თავის დროზე ბევრი ქართველი მწერალი თუ საზოგადო მოღაწე ეხმაურებოდა. მათ შორის ერთ-ერთი იყო მიხეილ ჯავახიშვილიც. მწერალი თავის პუბლიცისტურ წერილებში ქართულ ენასთან დაკავშირებულ არაერთ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად მე-19 საუკუნის სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულ რუსიციზმების თემასაც ეხება, განიხილავს რა მათ შეცდომათა კონტექსტში. მაგალითად, მწერლის შენიშვნით, ამგვარი შეცდომებია:

• „ის მუდამ ვინმეზე იყო შეყვარებული“ — უნდა იყოს: ვინმე უყვარდა („დროა თავიდან ამოვიგდოთ უცხო ვლიბიťся ვ...“ — მ. ჯავახიშვილი);

• „სიტყვას ვერ ბედავენ დააცდინონ“ (რუს. слово не смеют

приронить) — უნდა იყოს: ხმა ვერ ამოულიათ, კრინტი ვერ დაუძრავთ;

- „ერთი მეორეს გამოეკიდებოდნენ“ (რუს. гонялись друг за другом) — უნდა იყოს: ერთმანეთს დასდევდნენ;
- „ახალგაზრდა აფიცერი, ვიწრო მელას პირისახისა“ (რუს: с острым лисьим лицом) — უნდა იყოს: მელური სახით;
- „მიახლოებული ჩინოვნიკია“ (რუს: приближенный) — უნდა იყოს: დაახლოვებული, მახლობელი;
- „ეძნელებოდა გრიგოლის ასეთ მანერების შერიგბა,, (რუს. не мог привыкнуть) — უნდა იყოს: ვერ შეეგუა, ვერ შეეჩვია;
- „გამოხიბლულიყო“ (რუს. разочеровался) — უნდა იყოს: გული აიცრუა, გაუტყდა;
- „იჯდა კაცი მაღალ ქუდში“ (რუს. в шапке) — უნდა იყოს: ქუდიანი, ქუდოვანი;
- „მისი წარმოდგენის გმირი“ (რუს. герой его воображения) — უნდა იყოს: საოცნებო გმირი.
- „იმ დროს სიმცირის გამო“ (რუს. по краткости времени) — უნდა იყოს: მცირე დროის გამო;
- „ჩვენ გავიზარდეთ“ (რუს. отрастили) — უნდა იყოს: გავიზარდებით. („მაგ.: отрастили — წვერი გავიზარდეთ და мы выросли — ჩვენ გავიზარდენით.. ესეც საგულისხმოა: ქართულს მეც რუსულით ვხსნი, რადგან ზოგისთვის ეს უფრო გასაგებია“ — მ. ჯავახიშვილი);
- „გადამყიდველი“ (რუს. перекупщик) — უნდა იყოს: ჩარჩი, ქორგაჭარი;

საინტერესოა, რომ ხშირად უცხო ენიდან პირდაპირი თარგმნის გზით შემოსული და ქართული ენისათვის ნორმის თვალსაზრისით არაბუნებრივი და არასწორი ფორმები ფრაზეოლოგიზმებად იქცევა ხოლმე. ამ ტიპის შემთხვევებზე საუბრობს მიხეილ ჯავახიშვილიც, როცა მე-19 საუკუნის ქართულში არსებულ შემდეგ ფორმებს შენიშნავს:

- „ერთ ფასში იყიდება“ — უნდა იყოს: ერთ ფასად იყიდება;
- „საქმე ქუდშია“ — რუს. дело в шляпе;
- „სიტყვა ეჭირა“ — რუს. держал речь;
- „კბილებით საფანტს კვნეტდა“ — რუს. зубами отбивал дробь;
- „წავიდეთ ქვეყანაზე“ — რუს. пойдем на миравую.

ასევე ქართულში ხშირად გვხვდება შემდეგი სახის სიტყვათფორმებიც: არასასიამოვნო, არამდიდარი, არასწორი და ა.შ. მ. ჯავახიშვილის შენიშვნით, ენას ავიწყდება, რომ არსებობს „არას“ ანტიპოდებიც და შესაბამისად უნდა გვქონდეს: უსიამოვნო, ღარიბი, მრუდე და ა. შ. „не прямая улица, нехороший, небольшой, небогатый, — оо саад აქეს სა-თავე ასეთ სიმახინჯეს — ბრძა წაბაძვაში, დასასრული კი ენის სრულ დაგონჯებასა და გაღატაკებისაკენ მიდის“.

თუმცა მწერალი ერთგან იმასაც შენიშნავს, რომ აბსოლუტურად ეროვნული არც კულტურა არსებობს და არც ენა. მითუმეტეს, ჩვენს საუკუნეში, როცა გავლენის სისწრაფე ყველა სფეროში ასე მატულობს.

მაგრამ, მიუხედავად ზემოთქმულისა, ეს გარემოება ხელს არ უშლის მ. ჯავახიშვილს, რომ წერილის დასასრულისკენ დასვას ასეთი რიტორიკული შეკითხვა:

„ჩვენ 50000 სიტყვა გვაქვს — ევროპიელებზე მეტი — და ისეთი ჯადოსნური ფორმები ზმნისა, რომელთა მსგავსი არც ერთ ენას არ მოებოვება. და ასეთი განძის პატრონი წარამარად უნდა სესხულობდეს უფრო ღარიბებისგან სიტყვებსაც და ფორმებსაც?!"

მანანა ჩაჩანიძე, ნატო რაზმაძე,
ნათია მაისურაძე

ლექსიკის მინიმიზაციის საკითხისათვის

ლექსიკურ ტენდენციათა საკითხები მუდმივად აქტუალურ საკითხთა რიგს განეკუთვნება (ენა ხომ ჩვენი ყოფიერების სახლია!) და დღენიადაგ საჭიროებს მკვლევართა ფხიზელ თვალს. თანამედროვე ქართულის ლექსიკური ტენდენციები, როგორც ყველაზე პრობლემური და ახალ-ახალ პრობლემათა ერთგვარი საბადო, ნაირგვარი ასპექტით (სემანტიკურ-გრამატიკული, სტილისტიკური, სოციოლინგვისტური, ეთნოკულტუროლოგიური და სხვ.) მკვლევართა მძაფრი ყურადღების საგანია. აღნიშნული პრობლემატიკა მეტად საინტერესოა ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისითაც, ვინაიდან უმუალოდ უკავშირდება ლექსიკის მინიმიზაციის საკითხებს.

ჩვენ მიერ ქეგლისათვის წარმოებული პრაქტიკული ლექსიკოგრაფიული სამუშაოები ერთ-ერთ ყველაზე სანდო წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე ქართულის ლექსიკურ ტენდენციათა ანალიზისა და ლექსიკის მინიმიზაციის საკითხთა კვლევის გზაზე. ვრცელი ფაქტობრივი მასალა, რომელსაც გვთავაზობს ქეგლის არსებული სადოკუმენტაციო ფონდი, ასევე მიმდინარე ლექსიკოგრაფიული სამუშაოები — დაწყებული სადოკუმენტაციო ფონდის ახალი საილუსტრაციო მასალებით შეგსება — მოწესრიგებითა და დამთავრებული სიტყვა-სტატიის რამდენიმე საფეხურიანი რედაქტირებით — ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის ასპექტით არაერთ პრობლემურ საკითხს უქასუხებს კიდევაც და, იქვე, ახალ კითხვებსაც ბადებს.

საკითხთა უმეტესი ნაწილი გავაერთიანეთ ცენტრალურ პარაგრაფში სათაურით ლექსიკოგრაფიის ლექსიკოლოგია. კვლევისას აღნიშნული სამუშაოს წინმსწრები გახლდათ თანამედროვე ქართულის ძირითადი ლექსიკური ტენდენციების ანალიზი, ხოლო ამავე სამუშაოს შემაჯამებელი ნაწილი — ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის ასპექტით ლექსიკის მინიმიზაციის საკითხი.

შევნიშნავთ, რომ თანამედროვე ქართულის ძირითადი ლექსი-

კური ტენდენციების განვითარების მაგისტრალურ ხაზს პირობითად წარმოვადგენთ სახელწოდებით „კონსესუსიდან დაკორექტირებამდე“ (ყველაზე აქტუალურია მოდელი: სახელი [საკუთრივ სახელი; resp. ტერმინი] არცთუ ლირიკული გადახვევით, აქვეა „კოპაბიტაციაც“ და „დატრენინგებაც“).

ლექსიკის მინიმაზიციისათვის განმსაზღვრელად მივიჩნევთ სი-ტყვა-სტატიის სტრუქტურას ლექსიკონის ტიპის მიხედვით. შესაბამისად, ლექსიკოგრაფიული ასპექტით ლექსიკის მინიმიზაციის ოთხი ძირითადი ფორმატი გვექნება:

- I. განმარტებითი,
- II. ტერმინოლოგიური,
- III. ენციკლოპედიური,
- IV. უცხო სიტყვათა ლექსიკონებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საკითხისადმი ამგვარი მიღვომა არის ლექსიკის მინიმიზაციის პრობლემის მხოლოდ ერთი კონკრეტული სფეროს, კერძოდ, ლექსიკოგრაფიის ფარგლებში მოწესრიგების ცდა, იგი არაერთი საგულისხმო დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა როგორც ზოგადად ლექსიკოლოგიაში, ისე ენობრივი იერარქიის ლექსიკურ დონეზე.

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

ლაზური ზოდა „ზღვა“ ფუძის მეგრული ეკვივალენტისათვის

როგორც ცნობილია, **ზღვა**-ჲ სახელი გვხვდება ძველი ქართულის უძველეს სამწერლო ხანმეტ ძეგლებში: „ხოლო **ზღვა**-? ქარისგან აღხროულდა“; „მიიმართა კოლტმან მან ლორებისამან კბოდესა მას ზღუად“...

ქართულ **ზღვა** სიტყვას ლაზური ეკვივალენტი ჯერ ჯიდევ მარი მროსემ დაუძებნა, შდრ. ლაზ. **ზოდა** // **მზოდა** // **ზუდა** „ზღვა“, ხოლო მისი სვანური შესატყვისი პირველად ო. უორდრობმა მოიხმო.

1950 წელს კ. ბოუდამ პირველმა სცადა საერთოქართველური არქეტიპის რეკონსტრუქცია, მისი ვარაუდით, წინარეფორმა *ზღვა სახეობისა უნდა ყოფილიყო. ამ რეკონსტრუქციაში, ძირის გახმოვანებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა სვანურ მონაცემს მიენიჭა, შდრ. სვან. **ძუღუ „ზღვა“.**

გ. კლიმოვისთვის ამოსავალი გახდა ქართულის ვითარება და მის მიერ აღდგენილია *ზღვა პროტოტიპი, თუმცა ამგვარი მიღდომით აუხსნელი რჩება ოუ ხმოვნების პოვნიერება ლაზურ-სვანურში. გაუგებარია, რას უნდა გამოეწვია ინტერკონსონატურ პოზიციაში ხმოვნის გაჩენა, თუ ის ფუქე-ენაში არ მოგვპოვებოდა.

მეგრულში ფიქსირებული **ზღვა** სალიტერატურო ქართულს ემთხვევა, რაც სამართლიანად არის ახსნილი არნ. ჩიქობავას მიერ, როგორც ნასესხობა სალიტერატურო ქართულიდან. საკითხავია, როგორი იყო საკუთრივ მეგრული შესატყვისი?

ამ კუთხით ყურადღებას მიიძყოობს სახელი ზორლათ-ი მეგრულში. ჰიდრონომის სახით **ზორლათ-ი** დასტურდება ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურში (განარჯიაშ მუხური). **ზორლათ-ი** მდინარე ენგურის მარჯვენა შენაკადია. ზღვას ერთვის ერთ კილომეტრში. მდინარე გამოდის სოფ. მეორე ოტობაიიდან, მაგრამ ზორლათ-ი მას ეწოდება ნაკარლალისა და თაყის (ლელეებია) შეერთების შემდეგ ხუთ კილომეტრზე (პ. ცხადაია).

ზორლათ-ი ფორმა ასევე ფიგურირებს რთული შედგენილობის ტოპონიმში **ზორლათ-იში** ნოტუნ-ი „ზორლათის ნაყანვი“, რომელიც სახნავი ფართობია უკვე შავ ზღვასა და თავად **ზორლათ-ს** შორის.

ჩვენი ვარაუდით, ადგილისა და მდინარის სწორედ ეს სახელი **ზორლა-თ-ი** უნდა შეიცავდეს ქართული **ზღვა** (ლაზ. **ზოღა**) ფორმის საკუთხივ მეგრულ შესატყვისს. ჩვენი დაკვირვევა იმას ამტკიცებს, რომ ზღვა მეგრულში მართლაც სალიტერატურო ენის ზეგავლენით დამკვიდრდა, ცხადია, მან ისტორიულად მეგრულში არსებული სახეობის ადგილი დაიკავა. ეს უკანასკნელის ნაშთის სახით შემოგვრჩა **ზორლათ-სი**, რომელიც ითარგმნება როგორც **ზღვეთ-ი**, შდრ. მსგავსი დერივაციისთვის ტოპ. კახა-თ-ი.

ხოლო სახელდების მოტივაციისათვის მნიშვნელოვანი ხდება ჭარბი წყლიანობის მომენტი, რომელიც მეგრულში დღესაც ზღვა სი-

ტყვის ჩართვით მიიღწევა. ამგვარივე ხედვაა ასახული ზღვაია ტოპონიმში, რომელიც დასტურდება წალენჯიხა-ზუგდიდის საზღვარზე და საიდანაც სათავეს იღებს მდ. ჭუმი. ზღვაია გვხვდება ხობის რაიონშიც, შდრ. ზღვაია „ტბორი პირველ ხორგაში“.

ამდენად, **ზორდა-თი** აღნიშნავდა ზღვასთან ახლოს მდებარე წყალუხვ ადგილს, რომელიც ხშირად იტბორებოდა და ასოცირდებოდა ზღვასთან. ამ შემთხვევაში ინტერესსმოკლებული არც ის ფაქტი ჩანს, რომ ზემოაღნიშნულ მდინარეს **ზორდათი** მხოლოდ ორი მდგენელის ნაკარღალ-ისა და თაყ-ის შეერთების შემდგომ ეწოდება.

ზღვის აღმნიშვნელი **ზოდა** ფუძის გამოყენება ტოპონიმიკაში შევნიშნეთ ლაზური დიალექტშიც, კერძოდ, გასული საუკუნის 20-იანი წლების დამოუკიდებელი საქართველოს რუკაზე ფიქსირებულია ტოპონიმი **ზოდა-ხევი**, რას ზღვისხევს უნდა ნიშნავდეს.

ნ ა ნ ა ც ე ც ხ ლ ა ძ ე

თემის ნიშანთა უნიფიკაციის ტენდენცია ქართული ენის სამხრულ კილოებში

ქართული ენის სამხრულ მეტყველებაში გამოვეთილია თემის ნიშანთა მრავალფეროვანი მონაცვლეობა, კერძოდ, კი უნიფიკაციის ტენდენცია.

განსაკუთრებით თვალში საცემია **-ავ** თემის ნიშნის გაბატონება. იგი ენაცვლება:

-ებ (*იღულავს, მიყურავ, გააყირმიშავ, ავნავს, შევაყენავ, გარიგავ, დევძინავ, მაწუხავ, გავაკეთებიავ*); **-ობ** (*ჩხუბავს*);

-ი (*ყოდვენ, დეიხწავლავს, ჩაგვარავ, ჩაყრავს*); **-ამ** (*მიგართვავ, გართვავ, გასხავ, მუასხავ*) თემის ნიშნებს.

-ავ დაერთვის ერთთემიან და ფუძედრეკად ზმნებსაც: **წმინდავს**, **წმინდავს**, **ჭამავს**, **იწერავ**, **გერიფავ**, **დეიბანავ...**

აღსანიშნავია ასევე **-ობ** თემის ნიშნის გამოყენება სხვა სუ-
ფიქსთა ნაცვლად:

ებ (ბრძანობს, იწყობს, ანთობს), -ი (მოერობს), -ავ (ცეკვობს).

ქობულეთურსა და კლარჯულ მეტყველებაში შეინიშნება **-ი** თემის ნიშნის უნიფიკაციის ტენდენცია: ის ცვლის რამდენიმე თემის
ნიშანს:

-ავ კლის (კლავს), აკრიდა (აკრავდა).

ებ ისვენის (ისვენებს).

დასტურდება **სმიაბ** ფორმაც (შდრ. სვამებ).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოვ ზმნაში სამხრულ მეტყველება-
ში შენარჩუნებულია არქაული ვითარება, გვხვდება უთემისნიშნ
ფუძეები: **თიბდა, ნაყს, ნაყდა, გალახდა, აკრიდა...** ძველი ქართუ-
ლოსთვის, როგორც ცნობილია, დამახასიათებელი იყო ზმნური ფორ-
მები: **შემოსს, აღჭოცს** და ა. შ. მათ შემდვომ დაირთეს **-ავ** თემის
ნიშანი. ეს ფაქტი სამხრულ მეტყველებაში თემის ნიშანთა გამოყენება-
ში არსებული უნიფიკაციის ტენდენციის საპირისპირო მოვლენა კი არ
გახლავთ, არამედ არქაული ვითარების ანალოგით არის გაჩერილი.

ნატო წულეისკირი

„დარდი“ და „სევდა“ — სემანტიკური ორგანიზაციის პრობლემა

სემანტიკური ორგანიზება უმთავრესი ენობრივი მოვლენაა,
რომელიც ლექსიკური ერთეულების სიცოცხლისუნარიანობას განსა-
ზღვრავს. ისეთი სიტყვები, რომლებიც ადამიანური აქტივობის მა-
ღალ სფეროებს გამოხატავენ, არააქტუალური სიტუაციების ცნობიე-
რად აგების ფუნქციის მქონენიც არიან. ლექსიკის თავისებური ნიშაა
ისიც, რომ ზოგჯერ თავს იჩენს სინონიმის პრინციპის უკმარობა.
უკმარისობის ეს განცდა კარგად ჩანს სიტყვების „დარდისა“ და
„სევდის“ ანალიზის დროს.

სიტყვები „დარღი“ და „სევდა“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა სულხან-საბასთან შემდეგნაირადაა განმარტებული:

დარღი-უსიამოვნო, შემაწუხებელი გრძნობა, გამოწვეული მძიმე მდგომარეობით, უბედურებით და მისთ., სევდა, ნაღველი...რისამე ფიქრი, ჭავრი, საზრუნავი. (ქეგლი)

სევდა-დარღი, ნაღველი, კაეშანი. (ქეგლი)

სევდა,(სავდა)-სხვათა ენაა, ქართულად შავი ნავღელი ჰქვიან. [ჭავრით შეწუხება]. (ლექსიკონი ქართული). სულხან-საბასთან „სევდა“ და „ნაღველი“ სინონიმებადაა ჩათვლილი, რაც შეეხება სიტყვას „დარღი“, იგი მის განმარტებას არ იძლევა.

როგორც ჩანს, სიტყვა „დარღი“ უდავოდ ინტრავერტულ გრძნობათა ველს განეკუთვნება, ოღონდ გასათვალისწინებელია ის, რომ იქაც მას თავისი კუთვნილი ადგილი გააჩნია. მისი ძირითადი მახასიათებლების გამო იგი „მწუხარების“ სემანტიკურ კლასში შედის.

სამეცნიერო ლიტერატურაში საუბარია იმაზე, რომ „დარღი“, როგორც წმინდა გრძნობის აღმნიშვნელი სიტყვა, შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად:

1. მიზეზის მქონე(ამან გაუჩინა დარღი),
2. კონკრეტული(შვილის დარღმა გადაიყოლა),
3. ინტენსიური(დარღი არ მასვენებს).

აბსტრაქტული „სევდა“ ხასიათდება შემდეგი პარამეტრებით: მალული, უხმო, განფენილი, უმოტივო, ხანგრძლივი.

ლექსიკოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ „სევდის“ „ნაღველით“ ჩანაცვლება შეიძლება(თუმცა სრულიად არა). არსებობს ენაში ისეთი ფრაზეოლოგიური გამოთქმები, სადაც „ნაღველის“ შეცვლა სხვა სემანტიკური ერთეულით ძნელად ხერხდება და შეიძლება ითქვას, შეუძლებელიცაა. მაგალითად, როგორიცა: მწარე ნაღველი, შავი ნაღველი, გულში ხარშავს ნაღველს, და ა. შ.

სიტყვა „დარღი“, როგორც უფრო კონკრეტული გრძნობის გამოხატულება, „გულ“ სიტყვასთან ხშირად გვხვდება, ხოლო „სევდა“, როგორც უფრო აბსტრაქტული, „სულ“ სიტყვასთანაა დაკავშირებული.

მიუხედავად იმისა, რომ მოტანილ ლექსიკოგრაფიულ ამონარიდებში „დარღი“ და „სევდა“, ერთი შეხედვით, სინონიმურ ცნებებადაა მიჩნეული, მათი ამ თვალაზრისით გატოლება ლინგვისტურ არა-

კორექტულობად შეიძლება ჩაითვალოს. ამ ტიპის შემთხვევებში, შეიძლება ითქვას, რომ „სემანტიკურ აკრძალვის“ კანონთან გვაქვს საქმე.

მოხსენებაში განხილული იქნება სხვა ლექსიკოგრაფიული მასალა და ყველა ის შესაძლო შემთხვევა, რომელიც აკრძალვის ამ წესს ექვემდებარება.

როენა ჭიკადუა

მოქმედების მრავალგზისობის ორგანული გამოხატვის ანალიზისათვის სვანურში

მოქმედების მრავალგზისობა (განმეორებადი მოქმედება) სხვადასხვაგვარად არის გადმოცემული ქართველურ ენებში. მიუხედავად იმისა, რომ ძევლ ქართულში მრავალგზისობა ორგანულად გამოიხატებოდა, ანუ მრავალგზისობისათვის „...ძევლად საგანგებო მწკრივი იყო, ...ცოცხალ კილოთა უმტესობამ და სალიტერატურო ქართულმა ეს ფორმები დაკარგა, სამაგიეროდ მათი გამოხატვა უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ ხოლმეობითის მწკრივს დააკისრა (ა. შანიძე).

მეგრულში, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ხოლმეობითს მრავალგზისობის გაგება დაკარგული აქვს და იგი პირობითის ფუძესთან არის გაიგივებული.

სვანურში მრავალგზისობა ზმნურ ლექსემებში, მასდარსა და მიმღეობაში მორფოლოგიურად არის მატერიალიზებული: ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედების ფუნქციური დაპირისპირება ფორმანტებით არის გამოხატული. ხოლმეობითი, როგორც მწკრივი, სვანურში არა გვაქვს და არც „ხოლმე“-ს გრამატიკული ექვივალენტი, თუმცა სხვადასხვა ლექსიკური ერთეულების დახმარებითაც შესაძლებელია ამ ფუნქციის გადმოცემა.

აღნიშნული საკითხი დამატებით კვლევას რომ საჭიროებს, კარგად ჩანს „სვანური ლექსიკონის“ წინასიტყვაობიდან, სადაც ავტორი ცალსახად აღნიშნავს, რომ მრავალგზისობის კატეგორიისა და ობიექტის სიმრავლის გამომხატველი (-შლ, -შლ || -იელი/-იელშლი),

-გრ, -გრჲლ) მორფემები „...ვ. თოფურიას მიხედვით ჩვეულებრივობასაც გადმოგვცემს, ამიტომაც გაგვიჭირდა ზღვრის გავლება და შესაბამისი შემოკლებისათვის (ხლ.) ზუსტი ფუნქციის მინიჭება“ (ი. ჩანტლაძე).

ამავე ლექსიკონში ეს ფორმატები განმარტებულია როგორც, ერთი მხრივ, ხოლმეობითის, მრავალგზისობის, გამეორებული მოქმედებისა და, მეორე მხრივ, ობიექტის სიმრავლის გადმომცემი ინფიქსები.

აღნიშნული ფორმანტები დაერთვის როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებს. გარდამავლებთან, როგორც წესი, მოსდევს -ი, იშვიათად -ე ბოლოსართი. გარდაუვალებთან კი ნულოვანი დაბოლოება და რამდენადმე განსხვავებული ფუნქცია აქვთ.

ჲლ... სუფიქსებს, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მრავლობითი რიცხვის ნიშნებს უკავშირებენ (თ. შარაძენიძე, ალ. ონიანი...) ზმნებში მათი ერთ-ერთი ფუნქცია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ჩვენებაა და ისინი უღლებისას სამსავე სერიაში დასტურდება. მაგ.:

ტაბლერის ანყჲლი (ბზ.) „ტაბლებს აცხობს“

ტაბლელარ ანნაყლე (ლშხ.) „ტაბლები გამოაცხო“

ლემზირბრ ახნაყჲლა (ბქ.) „სალოცავი პურები გამოუტხვია“

მეთხოვებრი ხუად ნათხუარე ათოძიენალა (ინტ.) „მონადირეს ბევრი ნადირი დაუხოცავს.

ობიექტის სიმრავლის აღმნიშვნელ სუფიქსებს ზმნაში შეიძლება **ნული** ჩაენაცვლოს: ნარბიალუნლო ლემზირბრის ანყჲლის // ანყებ (ბზ.). „ცხობის შემდეგ სალოცავ პურებს აცხობენ“. დინა ლერქუშრის აცბურჲლი // აცუბრე (ბქ.) „ქალიშვილი ტანსაცმელს გაუმოშრის“. მოქმედებაში და ზოგადი აწმყოს მნიშვნელობას იძენს. მაგ.

მნიშვნელობას ჩუ ხვიდიარჲლდ, ეჩქას წერდებრ კათხებრს აპვდებლის, უკ ხვიშგრალიდ ი ჩუ ხუთრედ (სვ. ქრ. ბზ.) „ცოტას რომ შეგნაყრდებით (დაგპურდებით), მაშინ მწდეები კათხებს დაუარიგებენ, დავილოცებით და დავლევთ“.

დინოლ ითქს მეად აცერტჲლი (ლშხ.) „გოგონა მარცვალს ხშირად ხალავს“.

მრავალგზისობა და ობიექტის სიმრავლე, მართლაც, ძნელი გასამიჯნია ერთმანეთისგან, თანაც ერთი მეორეს არ გამორჩეავს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია

სვანურში იტერატივის აღნიშვნაზე არა მხოლოდ დროში, არამედ სივრცეშიც. განსაკუთრებით ფუქტერეკადებთან, სადაც ფორმანტები -გრ, -ურ აბიექტის ნაწილებად ქცევაზე მიუთითებენ (ქუთა „ჭრის“ — ა-ჭუც-ურ-ე „,ღაუჭრის“).

მრავალგზისობის ფორმანტების შემცველი გარდამავალი ზმნები გადმოსცემენ შემდეგ მნიშვნელობებს:

1. ობიექტის სიმრავლეს (კიცი კურპილშრს ხვანყშლიდ (ბზ.) „ცომის ბურთულებს ვაცხობთ“).

2. მოქმედების გამეორებას როგორც ერთის, ისე ერთზე მეტის მიმართ (დაბარს აჭადალის (ლშხ.) „ყანებს ფარცხავენ“. ქორს ადაწყვლი (ბქ.) „სახლს ალაგებს“).

3. ობიექტის ნაწილებად ქცევას (ლოლაქ ადგგლგრე (ბქ.) „ცხვარი დაგლიჯა“).

4. მოქმედების ჩვეულებრიობას (ნიღაშტარს ძინაშრს ხუაჩ-გუნშლიდ (ლნტ.) „თიკენებს დილას (დილაობით) 『მო』ვაწოვებთ“.

5. ზოგადი აწმყოს (სოფელლისგა ხენსრას შიშდ აბჟინბლიხ (ბქ.) „სოფელში მოულოდნელ ამბავს ხელად აცნობებენ“.

რაც შეეხება გარდუგალ ზმნებს, მართალია, ზოგი მათგანი გამოხატავს მოქმედების მრავალგზისობას (**იუშუდ-იელ** ..ტრაბა-ხობს“, **იკუჩის-იელ** „დაკუნტრუშობს“), მაგრამ, გარდა ამისა, ისინი მოქმედების დაწყებითობას, სტატიკურობას და სხვა ენობრივ მნიშვნელობასაც გადმოსცემენ.

ნინელი ჭოხონელიძე

თორნ-, თორ- ფუძიანი ომონიმური ცალების წარმომავლობისათვის ქართულში

1. ქველ ქართულში საცხობის მნიშვნელობით „არტოკოპის“, „სახმილის“, „საცხობელის“ // „საცხობილეს“, „ლუქმელის“ სიტყვებთან ერთად დასტურდება **თორნე**, **თურნეც**. გამოცხობილი **თორნითა** (O, ლევიტ. 2, 4). აცხობდენ... პურსა თქუენსა **თურნესა** შინა (**თორნესა** შინა pb.)“ (G, ლევიტ. 26, 26).

ახალ ქართულში ქეგლის მიხედვით დასტურდება **თორნე** // **თონე** ლექსიმები. ძირითად სალექსიკონო ერთეულად **თონეა** მიჩნეული.

გვხვდება **თორნ-** // **თონ-**-ფუქტაგაბა როგორც ნაწარმოები სიტყვები, ისე სინტაგმები. მაგ., **თონეული** // **თორნეული** თონეში გამომცხვარი პური (ან მჭაღი); **თონი(ს)** **ლაგაში** თორნეში გამომცხვარი ლაგაში; **თონის ამონთება** ნახურები თორნის ხელახლა ამონთება; **თონეს თვალს უზამს (თვალს აურთავს, აურთმევს)** თონეში ნაკვერჩხალს გულს გაუჩხრეს გასაღივებლად და სხვ.

შდრ. ებრ., არაბ., აქად. *tinūru* (კ. წერეთ.).

2. ქველ ქართულში – **თორნე „ფარი“**: მოილო **თორნი** უძლეველი სიწმიდე O, – მოილოს ფარი – უძლეველი ლირსებისა (pb., სიბრძ. სოლ. 5, 20). შეგურიბო... ყოველნი... **თორნითა** და ჩაფხუტებითა (O, ეზეკ. 38, 5).

ქეგლში აღნიშნული სიტყვა დასტურდება როგორც **თორნი**, ისე **თორის** სახით და ქველის კლასიფიკაციით. თორნი: [მეფეს] **თორნი** მოართვეს და საბარკული (გ. ლეონ.). **თორნი** გადაიცვა [მამამზემ] (კ. გამსახ.). ლომს დაეხურა თავს მუზარადი, ტანთ საომარი ჩაეცვა **თორი** (გ. აბაშ.).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით 1. სიტყვა ბერძნული-დან უნდა იყოს ნასესხები ტ შარაფ, -āko (ლ. გელენიძე).

2. იგი ს.-ქართველური სიტყვა უნდა იყოს დაკავშირებული **თორ** „მოხვევა, ჩაცმა, ჩასაცმელი = მოსახვევა“, ქართ. თორი // თორნი (პლურალია *tantum*) : %ან. [თორ- : სვან. შდორ- // შტორ- // შდორ- *შთორ-] სიტყვებთან (მ. ჩუხუა).

3. **თორი** (თ. tor) სარტყელი, ბადურად ნაქონვი სარტყელი (აჭარული, ჩვენებურების ქართული, ინგილოური). თევზისაჭერი ბადე: „ღელეებში დედჭირავ, საჩმაოთ, თორით (შავშური).“

4. ხევსურულში დასტურდება **თორი** კნინ. **თორანი** მნიშვნელობით მოდულებული შრატის („ტკბისვლის“) ხაჭო შრატნარევი. ზისცვრისას აკეთებენ ერბოს, სატანს, კალტსა’, ხარშოს, ტკბისვლის **თორს** (შინამრეწვ.). **გათორდება** სითხეში გაიშლება, გაითქვიფება (ყველი და მისთ.).

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში **თორი** იგივე უნდა იყოს რაც სვანურის **თური** ბზ., თური ბქ., ლნტ. თურ ლშ. 1. ორთქლი, ოქშივარი. ცხტადს თური ლნტი (ბზ.) – საარაყე ქვაბს ორთქლი ასდის. 2. ნათავედი. ეშხუ ლგგრეს, ეშხუ ბოთლიკ თურის ი ალის ჩი კუიდოლთევსგა შდისგხ (ბქ. 71) – ერთ კვერცხს, ერთ ბოთლ ნათავედს და ამათ ყველას კალათაში აწყობენ.

ნინო ხახიაშვილი

ციქუ- სიტყვის სემანტიკისათვის

ქველ ქართულ ტექსტებში დასტურდება **ციქუ-ს ზმნა:** „რომლისათვის ესე გციქუ ჯაჭვთურთ“ (ეფეს. 6,20); „**ციქუს** წმიდათა მათ წინაშე“ (ანდ.-ანატ. 224,1). რომელსაც იღია აბულაძე ქველი ქართული ენის ლექსიკონში ასე განმარტავს: **ციქუ-** მოციქულობა, მსახურება (აბულაძე 1973); ზ. სარჯველაძის განმარტებით: „**ციქუა** შუამავლობა“ (სარჯველაძე 1995).

სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ **ციქუა** არის „**ოხა, გინა მოციქულობა** B. ნ. ვმოციქულობ, ვციქუ, ვციქუ, იმოციქულა, მოციქული, (მანასთანაც), სამოციქულო, საციქული“; ხოლო **ოხა** – „შველა, გინა მოხმარება ZABC...“ **მოციქულობა** ლექსიკონში განმარტებული არ არის, არის **მოციქული:** „ესე არს ღმრთისა მიერ **მოვლინებული** შულის მასწავლელად; დესპანი არს მეფისგან მეფესთან **მიგზანილი** მოციქულად საქმესა რასამე ზედა (რომელსა სპარსი ელჩად უწოდებ B); ომირა არს დესპანი ხანგრძლად მყოფი; **მომთხობელი** და **მივლინებული** არს კაცმან ვინმე ამხანაგს(ა) ანუ უაღრესსა **მიუგზავნოს** საქმესა რასამე ზედა ... ZA“. **ვმოციქულობ** მოციქულად ვალ ZAB. **ვსციქუ** შდრ. **ვციქუ** (2 კორინთ. 5,22; ეფეს. 6,20) ვიოხ, ვინა ვმოციქულობ B. **იმოციქულა** მოციქულობა ქნა (სულხან-საბა I :1991). **სამოციქულო** მოციქულთ სიტყვა ZA... **საციქუელი** სამოციქულო ZAB. **მოსახმარებელი C.** სათხოვნელი საქმართა D. სათხოვარი E“. (სულხან-საბა II :1993).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ციქვის** განმარტებისას ილუსტრაციად დამოწმებულია ერთადერთი ილუსტრაცია დავით გურამიშვილის პოემიდან: „**ციქვის** ძ. დესპანი, მოციქული. [ვახტანგ მეფებ] უბრახნა თავის მოყმეთა: ... „აწ ხელი პკიდეთ **ციქვებსა**, მავ მატყუარა ფლიდებსა!“ (დ. გურამ.) (ქეგლ VIII, 1964); შდრ.: **მოციქული** 1. **ვინძესთან რაიმე დავალებით გაგზავნილი (მიგზავნილი)** პირი, — შუამაგალი... // გადატ. მაუწყებელი, მომტანი, შემტყობინებელი (რაიმე ამბისა); წინამორბედი. ♦ **ბნელეთის მოციქული...** ♦ **ეშმაკის მოციქული** გადატ. მაცდური; მატყუარა... პირში მაქებელი ეშმაკის მოციქულიათ (ანდაზა). 2. ისტ. ელჩი (მნიშვ. 2), დესპანი (მნიშვ. 2)... 3. ეკლ. სახარების მიხედვით — იქსო ქრისტეს თითოეული მოწაფეთაგანი, რომლებიც მის მოძღვრებას ავრცელებდნენ... (ქეგლ V, 1958).

თანამედროვე ქართულში **ციქვა** ზმნა აღარ არსებობს (ის იშვიათია ძველშიც), **ციქუ-** ძირი კი შემორჩა სიტყვებში: **მოციქული** და **სამოციქულო** (ეკლესია); აგრეთვე, **საციქუელი**, რომელიც, ძირითადად, დიალექტებში გვხვდება. ქეგლის განმარტებით **საციქელი** არის „1. **საოჯახო ნივთები (ჭურჭელი, ავეჯი, და სხვა იარალი...)**, **რომლებიც შეიძლება მეზობლებმა ერთმანეთს ათხოვონ.** ავ მეზობელს ცეცხლი და წყალი საციქელი ეგონაო (ანდაზა). მოსაციქვლეს დახედე და **საციქველზე** უარი ისე უთხარიო (ანდაზა). [ეფემიამაც] რაც მეზობლებში ან **საციქელი** ჰქონდა, ან სესხი — მოიტანა (თ. რაზიკ.). 2. **ძვ. ივივეა, რაც სამოციქულო** (ქეგლ VI, 1960).

საციქველის ეს მნიშვნელობები დადასტურებულია დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონშიც: **საციქველი** სამოციქულო (ნახე ციქუა) // მდაბიურად: **სამეზობლო** სათხოვებელი, სახლში სახმარნი ნივთი, ავეჯულობა, ჭურჭელი და მისთანანი“... **ციქუა** (ცსციქუ) ოხა, მეოხება, შუამდგომლობა, შუამვლობა ანუ მოციქულობა... **მოციქული** (ე. ი. მციქველი, ნახე ციქუა) საღმრთოსა შინა წერილს ეწოდების მოწაფეთა ქენთა, ვითა მოვლენილად მქადაგებლად სახარებისა კაცთა შორის (ზატ. 10,2,...). // მსოფლიურად: მოვლენილი შუამვლად, მეოხედ, ვინა შეთულილის სიტყვის სათქმელად... (დ. ჩუბინაშვილი 1984).

ყველა ჩვენგანისათვის **მოციქულის** სახელი წმიდა მახარებლებთან ასოცირდება: **მოციქულები** სწორედ იქსო ქრისტეს 12 მო-

წაფე, მისი მოძღვრების გამავრცელებლები არიან. ამას სულხან-საბას განმარტებაც მოწმობს: „**მოციქული** ესე არს ღმრთისა მიერ მოვლინებული შეულის მასშავლელად...“ (სულხან-საბა 1991). **მოციქულებრივი ღვაწლი** — მოციქულთა მსგავსი საქმიანობა — უანგარო, თავგანწირული, ერთგული, შდრ.: „შრომობენ მოციქულებრივ, თავი არ მოაქვთ დიდადა“ (აკაკი).

არნოლდ ჩიქობავას ნაშრომში „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, ვკითხულობთ: „**მო-ციქ-ულ-** (აწმყო: ციქუ-ს) ... **ვციქუ** „ვმოციქულობ“ ე.ი. „ვიგზავნები“ (ბერძნ. απποστολοσ „გაგზავნილი“), შდრ. მეგრ. ფუძე: **ჩქა**: მი-და-ჩქუ, ჭან. მენდო-ჩქუ „გაგზავნა“... (ჩიქობავა 1942: 66).

ხოლო ჭანურ-მეგრულ-ქართულ ლექსიკონში არნოლდ ჩიქობავა წერდა:

,ჭან.	ჩქვ- შქვ-:	მენდო-ჩქუ	,გზავნა, ისამართოსადაც
მეგრ.	ჩქვ-:	მიღა-ჩქუ	, — “
ქართ.	ცქვ-:	[მო-ციქ-ულ-ი]	[ისამართოსადაც]
სვან.	ციქუ-		

...ბოლოკიდური -ვ (ჩქვ-) იკარგება მეგრულშიც და ჭანურშიც უ-ს წინ: ჩქუ- < ჩქვუ-. **ჩქა**- ძირს ქართულში შეესატყვისება: **ცქა-** || **ციქა-** || **გვ. ქართ. ციქუ-**. ეს ძირი წარმოდგენილია ქართ. მო-ციქულ-ში, რაც „გაგზავნილს“ ნიშნავს.

სვანურში **ციქუ-** ამჟამადაც იხმარება ზმნის ფუძედ (ჩიქობავა 1938: 379).

აქ მოყვანილი სვანური -**ციქუ-**- ძირის მნიშვნელობა ავტორს არ მიუთითებია. საინტერესოა, ამ მხრივ, სვანურის მონაცემები: ზმნა, რომელშიც **ციქუ-**- ძირი დასტურდება, „თვალთვალს“ აღნიშნავს: სვან. ხ-ო-**ციქუ-**-შ-ი „უთვალთვალებს“, მე-**ციქუ-**-შ-ი „მოთვალთვალე“, სვანურში ლექსიკური ერთეული **ლი-ციქუ-**-შ-ი „მალულადცერას“, „თვალთვალს“ ნიშნავს. აგრეთვე, სვანური ფოლკლორული გმირი, პერსონაჟი **ციქულ-იდ-ი** — „ჭაშუში, ფულიდი, მატყუარა, ენის მიმტანი ადამიანი“.

ზემომყვანილ მასალაში გამოიკვეთა **ციქუ-**- ძირის და მისგან ნაწარმოები სახელების რამდენიმე მნიშვნელობა: გზავნა — მივლინება (ჩამომავლი), შუამავლობა, მსახურება, დახმარება (აქედან

გამომდინარე: სახმარი ნივთები, რომელიც შეიძლება სხვას ათხოვო...); და, უარყოფითი : თვალთვალი, ენის მიტანა, ჯაშუშობა—მსტორობა. მიზეზი სემანტიკური გადასვლებისა ნათელია: მოციქული იგზავნება, ის თავისი საქმით ეხმარება, ემსახურება სხვას, ის შუამავალია ორ მხარეს შორის, თუმცა, მას, როგორც შუამავალს, უწევს ამბის მიტან-მოტანა, დაკვირვება (თვალთვალი); შესაბამისად, ის ან სიკეთეს ემსახურება, ან — ბოროტებას: მას სიკეთის მოტანაც შეუძლია და ბოროტებისაც.

ცირა ჯანჯღავა

მეგრული ბეჭა „მზე“ ნაწარმოებ სიტყვებსა და იდიომატურ გამოთქმებში

ბეჭა „მზე“ მეგრულ-ლაზური ენის მეგრული დიალექტის ძირი-თადი ლექსიკური ფონდის კუთვნილებაა და შესატყვისები მოეპოვება როგორც ლაზურ დიალექტში, ისე სხვა ქართველურ ენებში, ამიტომ, ბუნებრივია, ის საერთოქართველურ სიტყვად მიიჩნევა.

მეგრულში **ბეჭა** გვხვდება მრავალი კომპოზიტის შემადგენლობა-ში (მეტწილად — პირველ კომპონენტად):

ბეჭაეოოლუ „აღმოსავლეთი“ (ზედმიწ. „მზის ამოსასვლელი“)

ბეჭადალუ „დასავლეთი“ (ზედმიწ. „მზის ჩასასვლელი“)

ბეჭაშუძირაფუ „მზეთუნხავი“

უშხა (<*ბეჭაშხა <*ბეჭაშდღა) „კვირა“ (ზედმიწ. „მზის დღე“)

ბეჭალორონთი „მზედმერთი“

ბეჭამორინელი „გამთენია“ (ზედმიწ. „მზე მომდგარი“)

ბეჭადულირი „ჩამავალი მზე“ (ზედმიწ. „მზე ჩამავალი“)

ბეჭაჭველია „მზეწვია“ (ზედმიწ. „მზე დაწწვარი“)

ბეჭახუნა „მზის ჩასვლა“ (ზედმიწ. „მზეჯდომა“)

და სხვ.

მეგრულში **ბეჭა**-საგან აფიქსებით ნაწარმოები სახელებიც გვაქვს.

ა) სუ ფიქსური წარმოება
ბუელი || **ბუერი** || **ბუეში** „მზიანი, მზიური“
ბუალა || **ბუალარა** „მზიანობა, მზიანი ადგილი“...

ბ) პრეფიქსული - სუ ფიქსური წარმოება
ნაბუერი || **ნაბუალუ** „ნამზეური“
ობუალე || **ობუალეში** „სამზეო ადგილი“...

საკმაოდ ხშირია იდიომატურ გამოთქმებში **ბევა** სიტყვის გამოყენება.

ბევა ელმურს „მზე ამოდის“
ბევა დილმურს „მზე ჩადის“
ბევაშ სერუა „მზის დაბნელება“ (ზედმიწ. „მზის დაღამება“)
ბევაშ მაჯინე „ცოცხალი არსება“ (ზედმიწ. „მზის შემხედვარე“)
ბევაშ გოფაჩუა „გათენება“ (ზედმიწ. „მზის გაშლა“)
ბევაშ ეკინა „მზის აწევა“
ბევა პის იბონს „მზე პირს იბანს“
ბევაშ ქართა „მზის გვირგვინი“

და სხვ.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება **ბევა-სთან დაკავშირებული** ნაწარმოები სიტყვებისა და იდიომების სტრუქტურული ანალიზი.

ნინო ჯორბეგიძე

„ზ“ და „ქ“ ძირებისათვის ქართულში

ქართულ სიტყვაწარმოებაში ძალიან ხშირია **„ზე“** და **„ქვე“** პრეფიქს-მორფემიდთა გამოყენების შემთხვევები. ცალკე აღებული ეს ფუძეები თანამედროვე ქართულში უკვე აღარ გვხვდება, თუმცა აღრეულ ეტაპზე ისინი საგარაულოდ მარტივი სახითაც გამოიყენებოდა, შესაბამისად „ზევით“/ „ზემოთ“... და „ქვევით“/ „ქვემოთ“... შინაარსის გადმოსაცემად. განვითარების შემდგომ ეტაპზე ენაში მომხდარი გლობალური ცვლილებების გათვალისწინებით საჭირო გახდა ამ

ძირების გართულება, ხოლო მარტივი ფუძეები პრეფიქს-მორფემონი-დებად იქცნენ.

სავარაუდოდ, „**ზე**“/„**ჟვე**“ ძირებიც იშლება: **ზ-ე**; **ჟ-უ-ე**...

აღნიშნული ძირების გამოყენების საყოველთაოდ ცნობილი შე-მთხვევების გარდა (ზე/ჟვემო, ზე/ჟვე-ვით, ზე/ჟვე-ნა...) შესაძლებელია, იგივე ძირები მონაწილეობდნენ სხვა ფუძეების აგებაშიც. სავარაუდოდ:

ზე>მ-ზ-ე (შესაძლებელია **ზე>*მ-ზ-ევ-ი>მ-ზ-ე** ცვლილების ვარაუდიც), სემანტიკური გადასვლით: „ზემო აღვილი“; „ზევით“ > „ზემოთ მდებარე ციური სხეული“>ციური სხეულის საკუთარი სახელი; თავის მხრივ **მ-ზ-ე>*მ-ზ-ა>*ზ-ა**, სემანტიკური გადასვლით „მზე“ > „მზის ტრიალი“>, „მზის ტრიალის დრო, გარკვეული პერიოდი“>, „წელი“, „წელიწადი“ (სვანურის ანალოგიური ფუძე სხვა წარმოშობის ჩანს). აღნიშნული ძირი დასტურდება „**ზა-ფხეულ**“, „**ზა-მთარ**“ ფუძეებში, რომლებიც, სავარაუდოდ, ასე უნდა დავშალოთ:

ზა-მ-თ-არ-ი, სადაც „**მ**“ განვითარებულია, „**თ**“ — „**თ-ოვ-ს**“ ფუძეში დადასტურებული ძირი, როგორც ამას მართებულად ვარაუდობენ. ამავე ვარაუდით, „**თ-არ**“ მიმღებაა და მთლიანად კომპოზიტი აღნიშნავს „თოვლიან დროს, სეზონს“.

სავარაუდოდ, ამავე ძირთანაა კავშირებული „**უაში**“ (=დრო, ხანი) ფუძე. განვითარების საფეხურები ასე წარმოგვიღება:

ზა>*ზა-ნ-ი** (სემანტიკური გადასვლა: „წელ-ნ-ი“>„დრო“, „ხანი“)>ზა-ნ-ი>უა-შ-ი**;

ხოლო, „**ჟვე**“ ძირთან დაკავშირებით იკვეთება:

ჟ-ვ-ე>ჟვა (შესაძლებელია **ჟ-ვ-ე>*ჟ-ვ-ავ(ჟალ-)-ი>ჟ-ვ-ა** ცვლილების დაშვებაც), სემანტიკური გადასვლით: „**ჟვემოთ მდებარე მასა, მიწა, მიწის ნაწილი**“ >„**ჟვა**“.

ენის განვითარების შემდგომ ეტაპზე აღნიშნული ძირები ახალ-ახალი ფორმების წარმოებას უდებენ საფუძველს, რომელთა შორის კავშირიც უფრო თვალსაჩინოა და ეჭვს არ იწვევს.